

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი



www.ilori.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru

№231 (290) 6-13 აგვისტო 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ორგანო 30 თეთრი


# ღია წერილი (უკვე მერამდენე) ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა, მიუხედავად მოუცლელობისა, მაინც იძულებული ვართ უკვე მერამდენედ მოგმართოთ ღია წერილით, რადგან დღეს სასწორზე დევს მთელი ქვეყნის და არა რომელიმე პოლიტიკურ მიმდინარეობას მიკუთვნებულ ადამიანთა მცირე წრის ბედი!

აღარ დავიწყებ იმაზე მოთქმას, თუ როგორი საცოდავი იყო საქართველო თქვენს პოლიტიკაში მოსვლამდე, რადგან, ეს რომ არ გცოდნოდათ, არ დასტოვებდით თქვენს წარმატებულ ბიზნესს და თავს არ შერგავდით ისეთ უბედურებაში, რასაც ქართული პოლიტიკა ჰქვია. **"უბედურებაში"** იმიტომ, რომ ჯერ შევარდნაძემ, შემდეგ კი მისმა ლეკვმა სააკაშვილმა იმდენად დააბინძურეს ქართული პოლიტიკური სპექტრი, რომ ალბათ დროა იგი მართლაც გამოვაცხადოთ **"უბედურების ზონად"**.

კარგად გვახსოვს, შევარდნაძემ თავისი ულმერთო თავი რომ სანატრელი გაგვიხადა, საქართველოს სათავეში სააკაშვილის შემოთესლებით! პოლიტიკიდან თქვენი წასვლის შემდეგ ისეთ მემკვიდრეობას გვიტოვებთ **"რესპუბლიკელების"** სახით, რომ სააკაშვილი მართლაც სანატრელი შეიძლება გაგვიხდეს! კიდევ ერთი-ორი სასულიერო პირის დაპატიმრება შეთითხნილი ბრალდებით და ის **"ნაცებიც"** მოგვენატრება, რომლებიც გლდანის ეკლესიაში მოხდარი ინცინდენტის შემდეგ სასულიერო პირების ხელის ხლებასა და გეი-აღლუმების ჩატარებას ვეღარ ბედავდნენ. ერთადერთი, ვისაც დღემდე ხელზე უდანაშაულო მღვდლის სისხლი სცხია, ჯერჯერობით ედუარდ შევარდნაძეა, რომელმაც დაახვრეტინა **"თვითმფრინავების საქმეში"** ვითომდა მონაწილე მღვდელი ჩიხლაძე და ნამდვილად არ გვინდა, რომ საქართველოში ამგვარ ცოდვილთა რიცხვი გაიზარდოს. ხოლო, რა დამოკიდებულებაც აქვთ **"რესპუბლიკელებს"** ქართული ეკლესიის მიმართ, ეს მათი პოლიტიკური წარსულიდანაც კარგად მოსჩანს!

ერთი სიტყვით, სრულიად საქართველოს გულწრფელად ეჯერა, რომ თქვენ მაინც სწრაფად მოჰგვრიდით სულიერ შვებას ოცდაორი წლის განმავლობაში ჯერ ედუარდ შევარდნაძის, შემდეგ კი აშკარად შეურაცხადი მიხეილ სააკაშვილის ხროვისაგან ნაჯიჯგნ ქვეყანას, მაგრამ ვაგლახ, რომ ამაო გამოდგა ქვეყანაში სამართლიანობის დროულად აღდგენის ჩვენი მოლოდინი.

შეიძლება თქვენი კრთომა იმითაც არის განპირობებული, რომ დღეს არავითარი პოლიტიკური საყრდენი არ გაგაჩნიათ, გარდა ქართველი ხალხის უკიდეგანო ზიზღისა ნაციონალებისა და მათი ბნედიანი, მექალთანე, ზნედაცემული **"ბელადის"** სააკაშვილისადმი. ამასთან, კიდევ ერთი თქვენი დასაყრდენი სოროსის შხამიან უბეში გამოზრდილი ის **"რესპულიკელები"** არიან, რომლებიც ნაცებზე არანაკლებ ეზიზღება ქართველ ხალხს, თუმცა, კარგად ვიცით, რომ ეს სიბინძურეც ამერიკელებმა **"შემოგტენათ"** და ამიტომაც ვითმენთ მათ ამბიციურ ყელყელაობას, ყოველი შემთხვევისათვის – ამა წლის 27 ოქტომბრამდე, ვიდრე სააკაშვილს არ გავუშვებთ პოლიტიკურ მოუსავლეთში. ამრიგად, თქვენი ძირითადი პოლიტიკური კაპიტალი დღეს მხოლოდ თქვენი პირადი ფინანსები და უკიდეგანო ქველმოქმედებაა, მაგრამ ამგვარი საგზალი პოლიტიკოსს დიდი ხანი არ ეყოფა.

გმადლობთ იმისათვის, რომ პირადად თქვენი ჯიბიდან გაღებული ქველმოქმედური მილიონებით შიმშილით ხორციელი სიკვდილისაგან იხსენით უამრავი ღვაწლმოსილი ადამიანი. ჭეშმარიტად დიდი საქმე გააკეთეთ მოკლე ხანში, როცა უფასო გახადეთ სასკოლო სახელმძღვანელოები (ამით **"ნაცმაფიამ"** წელიწადში სამას მილიონ ლარზე მეტი პირადი შემოსავალი დაჰკარგა და ამიტომაც მორთეს ერთი ვაი-ვიში), დააკელით ფასები ენერგომატარებლებს და სამკურნალო პრეპარატებს, უფასო გახადეთ საბავშვო ბაღები, ხელმისაწვდომი გახადეთ ჯანდაცვა, რითაც თითოეულ ქართულ ოჯახს პოტენციურ შემოსავლად უქციეთ მათ მიერ არდახარჯული თანხა – წელიწადში დაახლოებით 800-1500 ლარის ოდენობით, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ **"არა მხოლოდ პურითა..."**, რადგან, ქრისტიანი ადამიანისათვის სულიერი სიკვდილი უფრო სამძიმოა, ვიდრე ხორციელი მიხრწნა და სიღატაკეში აღსრულება!

ჯერ ყუჩად ვართ, რადგან არ გვინდა, რომ თქვენმა სისუსტემ ნაციონალები გააძლიეროს, თორემ, ქართველებმა მოფერებაც იციან, მაგრამ, მუხრან მაჭავარიანისა არ იყოს: **"საქართველომ ჭიტლაყის ამოჭერაც იცის..."**

ქართველი ხალხი თქვენი პოლიტიკური გუნდისაგან ყველაფერს მოითმენს, რადგან გაბეზრებულია გაუნათლებელი და ჭკუაბნელი დაშნაკი სააკაშვილის ძალადობისაგან. დიახ – **გაუნათლებელი**, რადგან მისი მენტალიტეტიდან გამომდინარე, გამორიცხულია, რომ სააკაშვილს დამთავრებული ჰქონდეს ამერიკაში კოლუმბიის უნივერსიტეტი და იყოს ამ უნივერსიტეტის მაგისტრანტი.

ავიღოთ ასეთი მაგალითი: ერთ-ერთ თავის გამოსვლაში სტუდენტებთან, სააკაშვილმა ჩვეული მავნებლობით **"დაახეთქა"**, რომ 26 მაისის საპროტესტო გამოსვლებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობიდან რეალურ დროში აკვირდებოდნენ ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს აგენტები და მათ დაასკვნეს, რომ ქართველი ძალოვნების მიერ მიტინგის დაშლა ყოველგვარი დარღვევებისა და ძალის გადამეტების გარეშე მოხდაო. არ იცის ამ მართლაც ჭკუაბნელმა არაკაცმა, რომ ფედერალური საგამოძიებო სამსახურის აგენტებს ამერიკის საზღვრებს გარეთ არავითარი საგამოძიებო საქმიანობის განხორციელების იურიდიული უფლება არ გააჩნიათ. ამგვარი კომპეტენციით ამერიკაში აღჭურვილია მხოლოდ რამდენიმე სამსახური (ცენტრალური სადაზვერვო სამსახური, პენტაგონის სადაზვერვო სამმართველო და რამდენიმე სხვა სპეციალიზირებული სტრუქტურა). რაც შეეხება ფედერალური საგამოძიებო სამსახურის აგენტებს, ისინი საქართველოში მაშინაც კი არ ჩამოსულან, როცა ედუარდ შევარდნაძის ნარკობოსებმა მოკლეს ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის რეზიდენტი ვუდროფი და არც მაშინ, როცა საქართველოში ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუში (უმცროსის) ვიზიტისას ვიღაც ტერორისტმა ვოვა არუთინიანმა ხელყუმბარა ესროლა სამთავრობო ტრიბუნას. გეკითხებით ახლა, ამგვარი **"ცოდნით აღჭურვილი"** სააკაშვილი შეიძლება იყოს იურისტი და კოლუმბიის უნოივერსიტეტის მაგისტრანტი?

მით უფრო სასირცხვილოა ქართველებისათვის, რომ მას 9 წლის განმავლობაში კისერზე წურბელასავით აჯდა ეს დაშნაკი არაკაცი და შავბნელი პიროვნება. ამიტომაც გიხდით მადლობას სრულიად საქართველო!

ნაციონალთა თავხედობისაგან განრისხებულებს გვიჩნდება სავსებით ბუნებრივი შეკითხვა: ვითომ დავიხსენით კი საქართველო ნაციონალთა თარეშისაგან? თუ მათი უტიფარი გამოსვლებითა და პარლამენტში დესტრუქციული საქმიანობით ვიმსჯელებთ, ნაციონალები ამ ავადსახსენებელმა კოაბიტაციამ კიდევ უფრო გააძლიერა და ისინი აქტიურად ემზადებიან ხელისუფლების კვლავ ხელში ჩასაგდებად. ამაში კი მათ უდავოდ უწყობენ ხელს ის რესპუბლიკელები, რომელთაც თქვენ მთავარ საყრდენ ძალად მიიჩნევთ! რესპუბლიკელთა არამდგრადობასა და გამყიდველურ ბუნებაზე მიუთითებს ერთ-ერთი რესპუბლიკელის, თბილისის საკრებულოს წევრის გულიკო ზუმბაძის საქციელი, რომელმაც კრამოლური პოზიცია დაიკავა მაშინ, როცა დღის წესრიგში დადგა ქალაქის საკრებულოს ნაციონალი თავმჯდომარის ზაალ სამადაშვილის გადაყენების საკითხი, რაც მნიშვნელოვნად შეასუსტებდა ერთ-ერთი **"ნაციონალ-ფეოდალის"** გიგი უგულავას პოზიციებს, რომლის წინააღმდეგ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ქალბატონი გულიკო კატეგორიულად შეეწინააღმდეგა ზაალ სამადაშვილის გადაყენებისა და მის ადგილზე **"მეოცნებე"** გელა შიხაშვილის არჩევის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რაც ფაქტიურად გიგი უგულავას წინააღმდეგ იმპიჩმენტის დაწყების ტოლფასი შეიძლებოდა გამხდარიყო. ამით კი ნაციონალები იმ ფორპოსტსაც დაჰკარგავენ, სადაც მათ **"ფულის საჭრელი მანქანა"** აქვთ დაყენებული, მათივე ოფშორული ფირმებისა და მათ ყურმოჭრილ მონებად ქცეული სამეთვალყურეო საბჭოების სახით.

ამიტომაც არ ხერხდება ფასების კიდევ უფრო დაწევა სხვადასხვა კომუნალურ მომსახურეობასა თუ პირველადი მოხმარების საგნებზე, რასაც საკუთარი პიარისათვის თავხედურად იყენებენ ყველაფრის მკადრებელი ნაცები და მათი უზნეო **"ბელადი"** სააკაშვილი.

ანდა, გაიხსენეთ თუნდაც რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილის გააფთრებული წინააღმდეგობა და თქვენი მისამართით გამოთქმული უსაფუძვლო კრიტიკა უმაღლესი სასწავლებლების ფეოდალებად ქცეული რექტორების დათხოვნისა და მათი მოვალეობის დროებითი შემსრულებლების თქვენს მიერ დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას. ამით ხომ, უპირველესად, განათლების სფეროს ფეოდალი-ქალი, მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია და განათლების სისტემის მეორე ფეოდალი, **"ნეხვმზიდად"** წოდებული კახა ბენდუქიძე დაზარალდებოდნენ, რომელთაც კაპიკებში ჩაიგდეს ხელში მილიონობით ლარის ღირებულების მქონე სახელმწიფო ქონება და ამ შემოსავლებით დიდად ეხმარებიან ნაციონალებს?! კიდევ კარგი, რომ მიღებული იქნა აშკარად სამართლიანი გადაწყვეტილება განათლების მინისტრის მოადგილეობიდან პირწავარდნილი სოროსელის დავით ზურაბიშვილის გაბუნძულების თაობაზე, მაგრამ კიდევ რამდენი **"სოროსელი"** რჩება რესპუბლიკელთა შორის, ნეტავი თუ დაგითვლიათ?

ან იმაზე თუ გიფიქრიათ, რა ხეირს მოუტანენ საქართველოს და ქართველ ხალხს ილია ჭავჭავაძის დამსახურების გამაქიაქებელი ძმები ბერძენიშვილები, ან ქართული ტრადიციებისა და ტერიტორიული ერთიანობის წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლი თინა ხიდაშელი?

ჯერ კიდევ ნაციონალთა ხელშია ქვეყნის ეკონომიკის უამრავი ბერკეტი, რასაც დიდი ოდენობით **"შავი ფული"** შეაქვს მათ **"ობშიაკში"** და სწორედ ამ ფულით ახერხებენ ისინი სიხარბით დაბრმავებული ადამიანების მოსყიდვას, რომელთა რიგებშიც, ჩვენი დაკვირვებით, რესპუბლიკელებიც უხვად არიან, ის რესპუბლიკელები, რომელთა საშოში აღზრდილი კადრები, დღეს, სამწუხაროდ, ლამის თქვენს ერთადერთ პოლიტიკურ დასაყრდენს წარმოადგენენ.

გაიხსენეთ იოსებ სტალინის ცნობილი ფრაზა: **"კადრები წყვეტენ ყველაფერს"!** დღეს კი ამ თეზისს გაუკუღმართებულად აღიქვამენ მავანნი, რადგან მიაჩნიათ, რომ **"ყველაფრის მკადრებელი კადრები წყვეტენ ყველაფერს"**! ამიტომაც **"კადრულობენ"** ნაცები და სააკაშვილი ყველაფერს, ერთ დროს მათი თანამებრძოლი რესპუბლიკელების მოსახიბლად, რასაც, თუ გულიკო ზუმბაძის, დავით ზურაბიშვილისა და სხვათა მაგალითს გავითვალისწინებთ, ნაწილობრივ აღწევენ კიდეც!

ვიცით, რომ ამერიკელებისათვის მიცემული პირობის გამო თქვენ ზიგზაგებით გიწევთ სიარული ქართულ პოლიტიკურ არენაზე და უპირველესად თავადვე იცავთ ავადსახსენებელ ნაციონალებს ქართველი ხალხის სამართლიანი გულისწყრომისაგან, მაგრამ იმდენი მაინც უნდა მოახერხოთ, რომ ნაციონალებს ხმა ჩააკმენდინოთ, რათა თავიანთი თავხედური განცხადებებით კიდევ უფრო მეტად არ გააღიზიანონ მათი არაკაცობით ნევროზის ზღვრამდე მიყვანილი ქართველი ხალხი!

თორემ, ხალხის მოთმინებასაც აქვს საზღვარი და ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ვერც თქვენ მოახერხოთ განრისხებული ხალხის შეკავება. მერე ნახეთ თქვენ ბოძებზე ჩამოკონწიალებული და უკანალში ცოცხგათხრილი **"ნაცები"** თუ სხვა არაკაცები!

ალბათ გაცნობილი ხართ სტალინის ცნობილ ნაშრომს **"სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში"**, სადაც ბელადმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში, სოციალიმის განვითარებასთან ერთად გამწვავდებოდა კლასობრივი ბრძოლა. ამან ყველა გააოცა, რადგან ტროცკიზმისა და ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ არავინ ელოდა საბჭოთა კავშირში პოლიტიკური პროცესების გამწვავებას. მაგრამ ცხოვრებამ დაადასტურა სტალინის სიმართლე, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა ანტაგონისტური წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და მუშათა კლასს შორის, რადგან მათი ობიექტური ინტერესები ხშირად წინააღმდეგობაში მოდიოდნენ ერთმანეთთან. რაც შეეხება **"ნაცების"** 9-წლიან თარეშს, აქაც დადასტურებულია, რომ ამ ფაშისტური პოლიტიკური ძალის ინტერესები კატეგორიულ წინააღმდეგობაში მოდის ქართველი ხალხის ინტერესებთან, რაც ავტომატურად აყენებს დღის წესრიგში ქართული პოლიტიკიდან მათი ალაგმვის საკითხს. დიახ, დღეს სააკაშვილი, ნაცები და მათი სატელიტები კუთხეში არიან მომწყვდეულები და თრთიან სამართლიანი განაჩენის მოლოდინში. კუთხეში მომწყვდეული ცხოველი კი, როგორც მოგეხსენებათ, უაღრესად საშიშია, რადგან იგი ყველაფერზე წავა საფრთხისაგან თავის დასახსნელად. ამიტომაც არიან ქცეული საშიშ ძალად ნაციონალები და მათი თუნდაც ფარული მხარდამჭერი რესპუბლიკელები!

ჩვენ არაერთგზის მიგანიშნეთ, რომ საჭიროა გვერდით ამოიყენოთ პრინციპული, განათლებული და მაღალი პოლიტიკური კულტურის მქონე უანგარო მოღვაწეები, მაგრამ ვერ დაგარწმუნეთ, რადგან, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დიდია თქვენზე **"რესპუბლიკელთა"** გავლენა!

ბატონო ბიძინა!

ჩვენ არ მოგიწოდებთ, რომ შემოიძარცვოთ დღევანდელი გარემოცვა და მარტოსულად დარჩეთ საქართველოს უაღრესად **"აჭრილ"** პოლიტიკურ გარემოში (თუმცა, მაგნაირ გარემოცვას, სჯობს, მარტო რომ იდგეთ). ჩვენ მოგიწოდებთ მეტი სიფრთხილისაკენ, რადგან დამარცხებით გამწარებული ვირთხებისაგან ყოველივე ავია მოსალოდნელი. ახლა კი (ღმერთმა დაგვიფაროს), მათ რომ თქვენი ლიკვიდაცია მოახდინონ (რის გეგმასაც, ისინი, უეჭველად განიხილავენ, მათსავით არამზადა, ამერიკაში მოყუჩებულ დაშნაკ მილიარდერებთან ერთად), ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა ისე აირევა, რომ მას ვეღარ დაალაგებენ ვერც ამერიკელი, ვერც რუსი და ვერც ჩინელი **"დამლაგებლები"**.

ეს კი საქართველოს საბოლოოდ დასამარებას ნიშნავს!

განა საქართველოს დაუძინებელ მტრებს სხვა რამე უნდათ?

**როლანდ ჯალაღანია**

# გულბაათ რცხილაძე: "თუკი ერთ მშვენიერ დღეს საქართველო მართლაც აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, ნუთუ ეს რუსეთის ინტერესებში იქნება?!"

მოსკოვში **დსთ**-ს ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კონფერენციაზე, სახელწოდებით **„კრიზისი ახლო და შუა აღმოსავლეთში და სამხრეთ კავკასიისა და კასპიის უსაფრთხოების პრობლემები"**, ბევრი საინტერესო გამოსვლა იყო, რის შესახებაც **„პოლიტფორუმმა"** უკვე აუწყა თავის მკითხველებს. მაგრამ დამატებით შეიძლება, გამოიყოს, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი დეტალები, რომლებიც კონფერენციაზე ქართულ თემატიკასთან დაკავშირებით გამოიკვეთა. ქართული დელეგაციის წარმომადგენლები – პოლიტოლოგები გულბაათ რცხილაძე და ირაკლი უბილავა, აგრეთვე პროფ. ვლადიმერ ხომერიკი, რომელიც რუსეთის ქართული დიასპორების ნაწილს წარმოადგენს, თავიანთ გამოსვლებში მკაცრად მიჰყვებოდნენ კონფერენციის მოცემულ თემას. მაგრამ აფხაზური და სამხრეთოსური დელეგაციების ნაწილი თემის ფარგლებს შორს გასცდა და მათ თავიანთი გამოსვლები თითქმის მთლიანად საქართველოს მიუძღვნეს. აშკარაა, რომ კონფერენციაში მონაწილე აფხაზები და ოსები (გ. აბაევი – მოსკოვის ოსური დიასპორის საბჭოს თავმჯდომარე, ვ. გობოზოვი – სამხრეთ ოსეთის ინფორმაციის მინისტრი, რ. ხონელია – აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კათედრის გამგე, ვ. ქეცბა – იურიდიულ მეცნ. კანდიდატი) გამოხატავენ დღევანდელ აფხაზურ და ოსურ საზოგადოებაში დომინანტურ განწყობებს. ხოლო ეს განწყობები ასეთია: **„საქართველო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ყველა უბედურებაშია დამნაშავე, საჭიროა დამოუკიდებლობისა და რუსეთთან კავშირების გამყარება, საქართველოსთან კი მანამდე არ შეიძლება საუბარი, სანამ იგი არ მოინანიებს და ჩვენს დამოუკიდებლობას არ აღიარებს"**. ქართული დელეგაციის პროტესტი გამოიწვია გ. აბაევის განცხადებამ, რომ ოსი ხალხის წინააღმდეგ აგრესია 2008 წელს განახორციელა არა სააკაშვილის რეჟიმმა, არამედ ქართველმა ხალხმა. ქართველმა მონაწილეებმა ამ მონაწილეს ღირსეული პასუხი გასცეს და მას თავის ადგილზე მიუთითეს, მაგრამ ამგვარი განწყობების არსებობაც უნდა იქნას გათვალისწინებული, ნაცვლად იმისა, რომ დავკავდეთ საკუთარი თავის მოტყუებით და მივიჩნიოთ, თითქოს აფხაზები და ოსები ლამის ოცნებობენ საქართველოსთან თანამშრომლობაზე, მაგრამ აი, რუსეთი უშლის მათ ხელს... ასეთი ნონსენსი, საქართველოს მთავრობის სამარცხვინოდ, ახლახანს გამოთქვა რეინტეგრაციის მინისტრმა პ. ზაქარეიშვილმა, ტელე-რადიო **„ობიექტივის"** ეთერში გამოსვლისას.

განსხვავებული, უფრო რაციონალისტური პოზიცია გამოხატა კონფერენციის კიდევ ერთმა მონაწილემ, აფხაზეთის წარმომადგენელმა, რესპუბლიკის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ. მან მხარი დაუჭირა გულბაათ რცხილაძის მიერ გამოთქმულ იდეას რუსეთ-საქართველო-სომხეთის კომუნიკაციების აღდგენას აფხაზეთის გავლით, რადგან აფხაზეთი რუსეთის მოკავშირედ მოიაზრება, ხოლო რუსეთის ინტერესები კომუნიკაციების აღდგენას მოითხოვს. ს. შამბამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუკი რუსეთი დასვამს რკინიგზის საკითხის გახსნის საკითხს, მას მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს აფხაზეთიდან. ამგვარმა განცხადებამ სხვა აფხაზი მონაწილეების პროტესტი გამოიწვია, რომლებსაც არანაირი რაციონალური კონტრარგუმენტები არ გააჩნდათ, მათ მხოლოდ ემოციურად აღნიშნეს, რომ **„აფხაზეთში საზოგადოებრივი აზრი ამ პროექტების საწინააღმდეგოა"**. ესეც მართალია – აფხაზეთში გაბატონებულია ქართველთფობია და რკინიგზის გახსნას აფხაზები აკავშირებენ რეგიონში საქართველოს პოზიციების გაძლიერებასთან. ეს კიდევ ერთი მომენტია, რომელიც საქართველოში ესმის პრემიერ-მინისტრს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას არ ესმის მის მთავრობაში.

სერგეი შამბას გამოსვლა იმით არის ნიშანდობლივი, რომ ქართველების და აფხაზების დიალოგი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთთან საქართველოს დაახლოებაზე გადის. ამავდროულად შესამჩნევი იყო, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დიალოგის მოწინააღმდეგეებს ყველაზე მეტად სწორედ რუსულ-ქართული დიალოგისა და დაახლოების ეშინიათ, ორ სახელმწიფოს შორის უკვე დაწყებული დიალოგი მათ მოუსვენრობასა და შეშფოთებას იწვევს, რაც ლოგიკურად ამყარებს ბიძინა ივანიშვილის ახალ პოლიტიკას, მიმართულს რუსეთთან ურთიერთობების დალაგებისკენ – საქართველო სწორ გზაზე დგას.

ძალზე საინტერესო განცხადება გააკეთა აფხაზმა პროფესორმა რაულ ხონელიამ. მან მიმართა თურქ მონაწილეებს, კავკასიის კვლევების ცენტრის ხელმძღვანელ ჰასან ოგთაისა და პოლიტოლოგ აჰმედლი აჰმედ რზა ოღლის: **„თურქეთმა, როგორც სახელმწიფომ, არ აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. მაგრამ ჩვენ ძალზე მადლიერნი ვართ, და მე აქ მინდა დიდი მადლობა გამოვხატო თურქეთის მიმართ, ოცწლიანი ღია კარის პოლიტიკის გამო!"** ამ ფონზე, კონფერენციის მეორე რაუნდის ბოლოს, გულბაათ რცხილაძემ რუს ორგანიზატორებსა და ექსპერტებს რიტორიკული შეკითხვა დაუსვა: **„აი ჩვენ გვეუბნებიან, რომ საქართველომ უნდა აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. მაგრამ მე მოვუწოდებ რუს სპეციალისტებს, დაკავდნენ იმის ანალიზით, თუ რა იქნება, თუკი ერთ მშვენიერ დღეს საქართველო მართლაც აღიარებს ამ დამოუკიდებლობას – ნუთუ ეს რუსეთის ინტერესებში იქნება?!"** როგორც უკვე აღინიშნა, შეკითხვა რიტორიკულად დაისვა, კონფერენციის რუსი მონაწილეების მხრიდან ადგილი არ ჰქონია საპირისპირო გამოსვლებს, ყველანი ცოტა შეფიქრიანდნენ.

მართლაც ბევრი საფიქრალია, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში.

**საქინფორმი**



# "თუ აშშ რეალურად იგრძნობს საქართველოში გავლენის დაკარგვის საფრთხეს, ის აქ "არაბული გაზაფხულის" პროვოცირებას მოაწყობს – სამოქალაქო დაპირისპირებას, რომელიც ეროვნულ, რელიგიურ თუ სექსუალურ უმცირესობებთან უმრავლესობის შეტაკების ნიადაგზე იფეთქებს!"

ძვირფასო მკითხველო!

1. ბიძინა ივანიშვილი 8 თვეა ხელისუფლებაშია, რომელთაგან 5-ის განმავლობაში ნებისმიერ მომენტში შეეძლო ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გამოეცხადებინა და პარლამენტი **"ნაციონალებისგან"** გაეწმინდა, მაგრამ ეს არ გააკეთა, რადგან **აშშ**-მ აუკრძალა. **"ნაცმოძრაობა"** დროებით, შემდეგ არჩევნებამდე, ოპოზიციად უნდა იქცეს – **აშშ**-ს ეს ახალი კასტა ოდესღაც კონსერვატორულ საქართველოში მეტისმეტად ძვირი დაუჯდა იმისათვის, რომ ახლა მისით ციხეები გაავსონ!

2. ივანიშვილმა, **აშშ**-ის რეკომენდაციით, დაპატიმრებების შეჩერება ბრძანა და სახელმწიფოში სამართლიანობის აღდგენის ისედაც დუნედ მიმდინარე პროცესი გააჩერა. მისი თხოვნით იგივე გაიმეორა კათოლიკოს-პატრიარქმა, თუმცა 2012 წლის 1 ოქტომბერს სააკაშვილს რომ გაემარჯვა, ის ივანიშვილთან კოჰაბიტაციას კი არ დაიწყებდა, არამედ საქართველოში სისხლიან წმენდას მოაწყობდა – აი, როდის გამოადგებოდათ საგანგებოდ ამ მომენტისთვის ფარულად გაკეთებული ათიათასობით ვიდეო და აუდიოჩანაწერი!

3. საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი უკვე დიდი ხანია აღარ ლაპარაკობს სოხუმთან და ცხინვალთან დიალოგზე – ეს არ არის ახალი ხელისუფლების პრიორიტეტი იმიტომ, რომ **აშშ**-ს **სახდეპი**-ს მიერ რეკომენდებული არ გახლავთ: თუ ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის შერიგება დაიწყება, ნატოს საქართველოსთან დამშვიდობება მოუწევს, ამერიკას კი კასპიის გაყოფის წინ კავკასიაში ერთადერთი პლაცდარმის დაკარგვა არ სურს. ამავე დროს პრაიმერიზზე, ივანიშვილის ჯიბრზე, **"ნაცმოძრაობიდან"** პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი არჩევის შემთხვევაში პირველ დაპირებად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს წიაღში დაბრუნებას ასახელებს!

4. ამავე მიზეზით ივანიშვილმა არ გარისკა – არ აამოქმედა საქართველოში საპარლამენტო მოდელი, რომლის დროსაც პრეზიდენტს პარლამენტი აირჩევდა. არადა, ამგვარი განლაგებისას, როგორც **ალექსანდრე ჭაჭია** გვირჩევს, შეიძლებოდა ახალარჩეულ პრეზიდენტს აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის მოგვარება დავალებოდა, რომლებიც იდუმალი **"რეინტეგრაციის"** სახელმწიფო მინისტრ ზაქარეიშვილს არ იცნობენ და არც უნდათ, რომ იცნობდნენ...

5. და, რა თქმა უნდა, ბიძინა გრიგოლის ძე საქართველოს **ნატო**-ში შესვლის საკითხზე საერთო-სახალხო რეფერენდუმის გამოცხადებაზე არ წავიდა – **აშშ**-ს ამისი ნება რომც დაერთო, ყველა, ვინც 2012 წლის 1 ოქტომბერს **"ქართულ ოცნებას"** მისცა ხმა, ალიანსში საქართველოს შესვლის წინააღმდეგი იქნებოდა!

**დასკვნა**: **აშშ** საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, თავის ინვესტიციებს მუდამ **"ბოლო ტყვიამდე"** იცავს. ამიტომ თუ აშშ რეალურად იგრძნობს საქართველოში გავლენის დაკარგვის საფრთხეს (რაც ახლანდელი ხელისუფლების ხელში არ ემუქრება), ის აქ უკვე არა ახალი **"ვარდების რევოლუციის"**, არამედ მორიგი **"არაბული გაზაფხულის"** პროვოცირებას მოაწყობს – სამოქალაქო დაპირისპირებას, რომელიც ეროვნულ, რელიგიურ თუ სექსუალურ უმცირესობებთან უმრავლესობის შეტაკების ნიადაგზე იფეთქებს, თანაც უმცირესობებს ხელისუფლება დაიცავს!

**არნო ხიდირბეგიშვილი,**
**საქინფორმის მთავარი რედაქტორი**

# აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ყაბარდო-ბალყარეთში აფხაზეთის გენერალური საკონსულოს გახსნის თაობაზე წინადადებას ამზადებს

აფხაზეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ბატონმა ალექსანდრე ანქვაბმა და ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ მორიგ სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს საკითხი, რომელიც ძირითადად აფხაზეთის საგარეო უწყების საგარეო პოლიტიკურ საქმიანობას ეხებოდა.

„აფსნიპრესის" ინფორმაციით, პრეზიდენტმა ბატონმა ალექსანდრე ანქვაბმა ვიაჩესლავ ჩირიკბას დაავალა, რომ სასწრაფოდ მოამზადოს წინადადება ჩრდილოთ კავკასიაში, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ნალჩიკში აფხაზეთის გენერალური საკონსულოს გახსნის თაობაზე.

აღნიშნულ სამუშაო შეხვედრაზე ასევე განიხილებოდა აფხაზეთისა საგარეო საქმეთა სამინისტროს სათანადო კადრების პროფესიული მომზადების, სპეციალისტთა გადამზადების, ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების და სხვა საჭირბოროტო საკითხები.



# ამბები სამეგრელოდან

### ფოთელ სპორტსმენს წარმატება ფოთის მერმა მიულოცა

6-17 ივლისს, ქალაქ ყაზანში ჩატარდა 27-ე მსოფლიო საზაფხულო „უნივერსიადა-2013", რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა ორასამდე უცხო ქვეყნის სპორტსმენი. 180 კაციან ქართულ დელეგაციაში წარმატებით იასპარეზა ფოთელმა სპორტსმენმა ნიკო კუციამ, რომელმაც მოიპოვა ვერცხლის მედალი. დღეს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერი დავით სარსანია შეხვდა წარმატებულ ფოთელ სპორტსმენს და მის მწვრთნელს, მან კიდევ ერთხელ მიულოცა წარმატებით დაბრუნება ქვეყანაში და მშობლიურ ქალაქში. მწვრთნელს და პრიზიორს თვითმმართველობის სახელით გადაეცემათ პრემიალური თანხები, რომელიც დაერიცხებათ საბანკო ანგარიშებზე.

### სამადლობელი პარაკლისი საკათედრო ტაძარში

ფოთის იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძარში, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა აღავლინა სამადლობელი პარაკლისი იმ ადამიანებისთვის ვინაც წვლილი შეიტანა საკათედრო ტაძრის მშენებლობა-რეკუნსტრუქციაში. თითოეულ მათგანს ჯილდოდ გადაეცათ სამადლობელი სიგელი.

### ფოთის მერი „ადა"-ს კლუბის წევრებს შეხვდა

**ააიპ „ახალგაზრდა დემოკრატთა ასოციაცია"** და **„ჰაინრიჰ ბიოლეს ფონდი"-ს** ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ახალი რაიონის დევნილთა დასახლებაში დისკუსია მოეწყო. ახალგაზრდების სურვილით და თხოვნით კლუბის სტუმარი იყო თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერი დავით სარსანია. შეხვედრას სულ 25 დევნილი და ადგილობრივი ახალგაზრდა ესწრებოდა. მოზარდებმა ძალიან ბევრ ახალგაზრდულ პრობლემებს გაუსვეს ხაზი, რომლის მოგვარების პირობა ქალაქის მერმა მისცა. ძირითად და ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად გასართობი საშუალებების არარსებობა დასახელდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სხვა პრობლემებიც, რომლებზეც ახალგაზრდები საუბრობდნენ. მაგ: ფოთის კოლხეთის მდგომარეობა, სანაპირო ზოლის და ტყე პარკის დასუფთავება, კინოთეატრის მშენებლობა და სხვა... როგორც ახალგაზრდები ამბობენ, მერმა ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი გასცა. ქალაქის მერმა ახალგაზრდები მერიაში მიიწვია, შეჰპირდა ყველა პროექტის ჩვენებას და მიესალმება მათ უფრო მეტი აქტიურობით ჩართვას სამოქალაქო საზოგადოებაში

### ფოთელ მხატვართა ნამუშევრების საზაფხულო გამოფენა

ფოთის საგამოფენო დარბაზში ცამეტი ფოთელ მხატვართა ნამუშევრები გამოიფინა. ნამუშევრები შესრულებულია თექაზე, ტილოზე. გარდა ფერწერული ტილოებისა ასევე გამოიფინა სკულპტურული ნამუშევრები. გამოფენაში მონაწილეობა დამწყებმა მხატვრებმაც მიიღეს. დაახლოებით გამოფინა 50-მდე ნამუშევარი. გამოფენა გაგრძელდება თვის ბოლომდე.

### ნანა ალექსანდრიას თასი

თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიისა და საკრებულოს პატრონაჟით, 13 ივლისს სტარტი აიღო ფოთის საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალმა **"ნანა ალექსანდრიას თასი-2013"**. ფესტივალის პროგრამით ჩატარდება 9 ტურნირი: ღია ტურნირი და ბლიც-ტურნირი, 12 წლის ჭაბუკთა შორის, 12 წლის გოგონათა შორის, 10 წლის ჭაბუკთა შორის, 10 წლის გოგონათა შორის, 8 წლის ჭაბუკთა შორის და 8 წლის გოგონათა შორის. საპრიზო ფონდი წინა წლებთან შედარებით გაზრდილია და შეადგენს 33 200 ლარს. ფესტივალის მთავარი მსაჯია საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი – მარგალიტა თანდაშვილი. ტურნირებში ჩაება 9 ქვეყნის 369 მოჭადრაკე, ფესტივალის საზეიმო გახსნას დაესწრო და მონაწილეებს მიესალმა თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერი დავით სარსანია, სპორტის სამსახურის უფროსი ზურაბ ტიბუა. ფესტივალის პირველი სვლა ღია ტურნირის პირველ დაფაზე ფოთის მერმა გააკეთა.

### სპორტის დამსახურებული მუშაკი, იუბილარი... დარეჯან გეფერიძე...

თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სპორტის სამსახურის ინციატივით და ორგანიზებით, ცნობილმა ფოთელმა სპორტსმენებმა, მეგობრებმა, ახლობლებმა სიურპრიზი მოუწყვეს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ფოთის ხელბურთის კომპლექსური სკოლის ხელმძღვანელს ქალბატონ დარეჯან გეფერიძეს. იუბილესთან დაკავშირებით ფოთში სპეციალურად საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჩამოვიდა. დარეჯან გეფერიძეს იუბილე მიულოცა ქალაქ ფოთის მერმა დავით სარსანიამ და მადლიერების ნიშნად ქალაქში ხელბურთში გაწეული ღვაწლისთვის სპეციალური ჯილდო გადასცა.

### დავით სერგეენკო ზუგდიდში

24 ივლისს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ზუგდიდში იმყოფებოდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შემოთავაზებული ტერიტორიების დასათვალიერებლად, სადაც მომავალში ახალი კლინიკა უნდა აშენდეს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მინისტრს ოთხი ადგილი შესთავაზა:

1. ქალაქის ცენტრში, ზუგდიდის საავადმყოფო **„რესპუბლიკა"-ს** მიმდებარე ტერიტორია (დაახლოებით 0.8 ჰა).
2. ქალაქის ცენტრიდან 2 კმ-ის დაშორებით მშენებარე საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორია, ქალაქისა და სოფელ ახალსოფლის საზღვარზე (შესაძლოა 1 ჰა-მდე).
3. ქალაქის ცენტრიდან 6-7 კმ-ის დაშორებით, ფაიფურის ქარხნის დასახლებისა და სოფელ რუხის (ნაწულუკუს უბანი) საზღვარზე (1 ჰა-მდე ფართი).
4. ქალაქის ცენტრიდან 2 კილომეტრის დაშორებით, სპორტული კომპლექსის მიმდებარე ტერიტორია (დაახლოებით 0,7 ჰა).

გამგეობის მიერ მონიშნულ ადგილებს სპეციალისტები შეისწავლიან და მათი დასკვნის დადების შემდეგ მოხდება კლინიკის ასაშენებლად განკუთვნილი ადგილის შერჩევა

### ღონისძიება მესტიაში

22 ივლისს, მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სააქტო დარბაზში, გაიმართა ლიტერატურული სპექტაკლი **„შიშველი სატევარი"**, მიძღვნილი მერაბ კოსტავას ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. სპექტაკლი წარმოადგინა ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამაარსებელმა, რეჟისორმა და მსახიობმა იზა ვეფხვაძემ.

წარმოდგენა საკმაოდ ემოციური და შთამბეჭდავი იყო. ერთი საათის განმავლობაში მსახიობი იზა ვეფხვაძე, დამსწრე საზოგადოებას უყვებოდა მერაბ კოსტავას ტრაგედიით და პატრიოტიზმით გაჯერებულ ცხოვრების ეპიზოდებს. საღამოზე მაყურებლის წინაშე სვანური სიმღერებით წარსდგა მესტიის ქრისტიანული კულტურის ცენტრი **"ლაგუშედა"**.

წარმოდგენას ცრემლების გარეშე არ ჩაუვლია. თეატრი პოპულარიზებას უწევს მწერლობას, ხელოვნებას, ლიტერატურას თუ კულტურას. თეატრმა თავისი არსებობის 18 წლის მანძილზე დადგა 45–ამდე ლიტერატურული სპექტაკლი რომელიც 300-ჯერ მაინც ნაჩვენებია საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

### ფესტივალი „არტ-გენი" მარტვილში

7 ივლისს, სამეგრელოს ქალაქ მარტვილის სოფელ სალხინოს დადიანების საზაფხულო რეზიდენციაში ჩატარდა ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი **„არტ-გენი"** (საიუბილეო მე-10 წლის აღსანიშნავად). ფესტივალის მთავარი მიზანი იყო ტრადიციული და თანამედროვე კულტურული ფასეულობების პოპულარიზაცია ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. ფესტივალში მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული შემსრულებლები. ფესტივალზე შესრულდა ხალხური სიმღერა, ცეკვა, სახალხო პოეზია, ხალხური იუმორი, მოეწყო გამოფენები. ფესტივალის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეთა ტრანსპორტირება უზრუნველჰყო მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობამ.



### მოსკოვში ილია მეორე ასლან აბაშიძეს შეხვდა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე მოსკოვში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილ მეთაურს ასლან აბაშიძეს და მის ვაჟს, ბათუმის ყოფილ მერ გიორგი აბაშიძეს შეხვდა.

შეხვედრის ამსახველი ფოტოები **„ფეისბუქის"** საკუთარ გვერდზე გიორგი აბაშიძის მეგობარმა გოჩა გუგუნავამ გამოაქვეყნა.

**"პირველ რადიოსათვის"** მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში გიორგი აბაშიძემ განცხადა, რომ საქართველოში დაბრუნება სურს.

**"საქართველო ჩემი სამშობლოა, რომელიც ყველაზე ძალიან მიყვარს, ქართველი ვარ სულით და ხორცით. ძალიან მინდა, რომ ჩამოვიდე სულ და ბათუმში საცხოვრებლად დავბრუნდე"**, – აღნიშნა მან.

სახალხო მოძრაობა „სამეგრელო" და გაზეთი „ილორი"
გულითადად ულოცავენ ცნობილ ქართველ პოლიტიკოსს,
მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ

**ალექსანდრე ჩაჩიას**

დაბადებიდან 55-ე წელს, უსურვებენ
ჯანმრთელობას, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში,
დღეგრძელობას და უშრეტ ენერგიას, რათა ჩვეული
შემართებით გააგრძელოს მოღვაწეობა საქართველოს
გამთლიანებისათვის.



## პოეზიის კუთხე

### გურ-მარგალი

*ლევან მებონიას*

თი კოჩქ ზოჯას გოთინილო:
ომარგალე მიჸორსია,
ნამსგთ ირო ოსიზმარგ
მუშ ტრაპზონ დო ნიკოფსია...

### ქვარაშ ორცხონჯი

ქომწი, ქუჯგნო სქან გიმოშა
მოდვალა დო მიკოქუნა,
გონწყილს სქვამათ – ტაბაკისგ
ჯიმაკათაშ მიკოხუნა...

კოჩანა დო ხუს ელარნა
ვე შეილებნო? – ქეშილებე,
ართ ჭკვერული ირო რშგდას:
ჰარამობა ვეშილებე...

ირო ფარაშ შაყარუას
დღემს ვა მუღუდ მუთუნ ჯგირი,
ქვარაშ ორცხონჯიცალი რე
ფარა – კირილ, ჩუალირი...

### რუო ლაწკარი ომარგალეს

ხასლას
ელგაცაცხამუტუქ
შური ეშამიოლუ თიშახ,
დოჩოქინელ ვამძირუდა
გინოფერჩველ ბირგულიშა...

გური ელამიო, მარა
პრიმას-პრიმას გივოშუა,
სქანო მუთუნ დობჭარი და
საწმოხონოთ მითვოჩუა...

რამაზ კუპრა

*საკვირაო საკითხავი* – ***თურმე ნეხვმზიდი ტანკერები იძირებიან!***

# პროკურატურა მალე კახა ბენდუქიძესა და კობა ნაყოფიას მიადგება!

საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსური დეპარტამენტი, **"მადნეულის"**, **"კვარციტისა"** და **"ეროვნული ზარაფხანის"** პრივატიზაციის კანონიერებას სწავლობს. ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში დაუდასტურეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პროკურატურა მალე მიხეილ სააკაშვილის კლანის საჩინო წარმომადგენლებს – კახა ბენდუქიძესა და კობა ნაყოფიას მიადგება. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ამ სამივე სახელმწიფო ობიექტის პრივატიზაცია იმდენად უკანონოდ, მეტიც, ცინიკური სამართალდარღვევებით მოხდა, საეჭვოა, რომ კახა ბენდუქიძე და კობა ნაყოფია ციხეს გადაურჩნენ. გამორიცხული არ არის, **"ვირის აბანოში"** ყოფილი პრემიერი ზურაბ ნოღაიდელი, ქონების მართვის სააგენტოს ყოფილი უფროსი, ირაკლი ჩოგოვაძე და სხვა ყოფილი მაღალჩინოსნებიც მიაბრძანონ.

დღეს **"მადნეულის"**, **"კვარციტისა"** და **"ეროვნული ზარაფხანის"** უკანონო პრივატიზაციის შესახებ მოგითხრობთ და ასევე, იმ განუკითხაობის შესახებ, რაც წლების განმავლობაში ამ თაღლითური გზით შეძენილ ობიექტებში ხდებოდა.

კახა ბენდუქიძე ჯერ ეკონომიკის მინისტრი იყო, მერე უპორტფელო სახელმწიფო მინისტრი, ხელისუფლებაში ყოფნისას და იქიდან წამოსვლის შემდეგაც, ის უხვად აფინანსებდა **"ნაცმოძრაობას"**. ადრე ბევრს ეგონა, ბენდუქიძე რუსეთში ნაშოვნი ფულით ხელისუფლებას ეხმარება და ქართულ საქმეს აკეთებსო. თქვენც არ მომიკვდეთ! მაგის ჩიტია ბენდუქიძე? რუსეთში ნაშოვნ მილიონებს აქ, საქართველოშიც, მრავალი მილიონი აშოვნინა და ამას მუდამ ხელისუფლების ხელშეწყობითა და დანაშაულებრივი წაყრუებით აკეთებდა. შესაბამისად, უბრალოდ, წილი მიჰქონდა სააკაშვილისა და მისი რეჟიმის ბოსებთან, **"ნაციონალთა კლანში"** მასზე გავლენიან ადამიანებთან. მან ჩაწყობითა და უკანონო პრივატიზაციის გზით უამრავი ქონება ჩალის ფასად იყიდა საქართველოში.

კახა ბენდუქიძისა და მისი ბიზნესკლანის სახელს უკავშირდება ქართული ოქროს წარმოების მთელი ციკლის ხელში ჩაგდება და მოკვლა, რის სანაცვლოდაც ათეულობით მილიონი იშოვეს. ეს სპეცოპერაცია ბენდუქიძემ და მისმა კლანმა მაშინ დაიწყო, როცა ის ერთი წლის დანიშნული იყო ეკონომიკის მინისტრად. მათ სახელისუფლებო ბერკეტების მეშვეობით მოახერხეს, რომ ერთი კლანის ხელში მოქცეულიყო **"მადნეული"** (ოქროს მოპოვება), კვარციტი (ოქროს წარმოება) და **"ეროვნული ზარაფხანა"** (ოქროს ნაკეთობათა წარმოება). მათ ეს სამივე ობიექტი უპრობლემოდ იყიდეს, მაგრამ ამ სპეცოპერაციიდან, ბენდუქიძემ რომ დაგეგმა და მისმა **"ხელის ბიჭებმა"** შეასრულეს, განსაკუთრებული ცინიზმითა და არაადამიანურობით, **"ეროვნული ზარაფხანის"** ხელოვნურად გაკოტრება, მისი, ანუ სახელმწიფო სიმდიდრის, გაჩანაგება და მერე იაფად შეძენა გამოირჩევა. შესაძლოა, ვინმეს სჯერა, რომ ამ ობიექტის მფლობელი მხოლოდ მილიარდერი და ყოფილი დეპუტატი კობა ნაყოფიაა, მაგრამ ასე არ გახლავთ. კი, ნაყოფიაა **"ზარაფხანას"** ფორმალური მფლობელი, მაგრამ ეს კაცი ბენდუქიძის კლანის წევრია, **"ზარაფხანის"** გაკოტრების ოპერაციის მონაწილე და მსუყე ლუკმაც ამიტომ ერგო – ფული დიდ ბიზნესში დააბანდებინეს და წილში შეიყვანეს.

ამჯერად გთავაზობთ **"ზარაფხანას"** გაკოტრების შემზარავ ისტორიას. ამის შესახებ ქართულ მედიაში არაერთხელ დაწერილა და ცხადია, ამ გავრცელებულ ფაქტებს გვერდს ვერ ავუვლით და მათაც შეგახსენებთ. ჟურნალისტებმა კლასიკური მაფიისთვის შესაშური ისტორიის შესახებ ექსკლუზიური ინფორმაციებიც მოიპოვეს. თუმცა, **"ეროვნული ზარაფხანა"** სულ ბოლოს გაიყიდა, როგორც ოქროს წარმოების ციკლის ბოლო ეტაპი. ქართული ოქროს **"მომპოვებლებს"**, ყველაფერი იუველირის სიზუსტით ჰქონდათ გათვლილი. საქართველოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, **"იატაკქვეშა მილიარდერი"** კობა ნაყოფია საქართველოში 2005 წელს გამოჩნდა. ის რუსეთში კახა ბენდუქიძის მეგობრად და ბიზნესპარტნიორად ითვლებოდა და სწორედ ბენდუქიძემ გაუხსნა გზა ქართულ ბიზნესსა და შემდეგ პოლიტიკაში ნაყოფიას. ბენდუქიძე ეკონომიკის მინისტრი იყო და ამ პოსტზე დანიშვნისთანავე, საკუთარ ბიზნესზე ზრუნვა დაიწყო. ბენდუქიძე-ნაყოფიას წყვილმა დიდი მარიფათი გამოიჩინა – მათ ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების ნაწილი ჩალის ფასად ჩაიგდეს ხელში. ნაყოფია სახელმწიფო აუქციონებსა და ტენდერებში მონაწილეობდა, კახა ბენდუქიძე და მისი პარტნიორი, რუსი ბიზნესმენი გენერალოვი კი ჩრდილში რჩებოდნენ, თუმცა შეძენილ ქონებასაც და მოგებასაც იყოფდნენ. ერთ დროს ხელისუფლების ფავორიტმა ბიზნესმენმა კობა ნაყოფიამ (იგივე ბენდუქიძე და გენერალოვი), 2006 წელს სს **"მადნეულის"** 97 პროცენტი 40 მილიონად იყიდა. ამ კომპანიის ყიდვა ბადრი პატარკაციშვილსაც ჰქონდა განზრახული და ეკონომიკის სამინისტროში მისმა კომპანია **"ენერგოინდუსტრია-კომპლექტმაც"** შეიტანა ტენდერში მონაწილეობის განაცხადი. ამ დროს ბენდუქიძე უკვე უპორტფელო სახელმწიფო მინისტრია, თუმცა ამით მისი გავლენა ხელისუფლებაში არ შემცირებულა. იმჟამად ეკონომიკის მინისტრი ნაყოფიას კლასელი ირაკლი ჩოგოვაძეა, რომელიც მინისტრად ბენდუქიძის რეკომენდაციით დანიშნა სააკაშვილმა. ბადრი პატარკაციშვილი 36 მილიონ დოლარს იხდიდა **"მადნეულში"**, ხოლო ნაყოფიას კომპანია **"პრომინვესტორი"** – 35 მილიონს.

ჩვენი ინფორმაციით, ჩოგოვაძემ ფარულად გახსნა **"ინდუსტრია-კომპლექტის"** პაკეტი, ნახა პატარკაციშვილის სატენდერო პირობები და ბენდუქიძეს აცნობა. იმავე დღეს **"პროინვესტორმა"** ახალი პაკეტი შეიტანა სამინისტროში როცა ტენდერი ჩატარდა, **"პრომინვესტორმა"** გაიმარჯვა – ის 4 მილიონით მეტს იხდიდა **"მადნეულის"** 97 პროცენტში. ბადრი პატარკაციშვილი ამ 4 მილიონზე უკან არ დაიხევდა, მეტიც გადამხდელიც იყო **"მადნეულში"**, მაგრამ პატარკაციშვილი გააცურეს და ამგვარი მაქინაციით ეს კომპანია გენერალოვისა გახდა, თუმცა, მისი მოწილე ბენდუქიძეც გახლდათ, ვიდრე არ გაყიდეს და პატრონი არ გამოიცვალა.

საინტერესოა, რომ **"პრომინვესტორსა"** და მის ოფიციალურ წარმომადგენლებს – გენერალოვსა და ნაყოფიას, ამ 40 მილიონში **"კვარციტის"** აქციათა 50 პროცენტიც ერგოთ ხურდაში – **"მადნეული"** სწორედ **"კვარციტის"** წილის ნახევარს ფლობდა. არადა, **"მადნეულის"** შეძენა, თანაც გაცილებით უკეთესი პირობებით, უკრაინულ, ამერიკულ, გერმანულ, იტალიურ და სამ ბრიტანულ კოპანიას სურდა. თუმცა, **"ბენდუქიძემ და კომპანიამ"** რეალურ ინვესტორებსა და იმჟამად ხელისუფლების ურჩ პატარკაციშვილს უსიტყვოდ მორჩილი ბენდუქიძე-ნაყოფია არჩიეს.

ამის შემდეგ კობა ნაყოფიამ უკვე **"ეროვნული ზარაფხანა"** ჩაიგდო ხელში. ესეც ჩოგოვაძისა და ბენდუქიძის მინისტრობისას მოხდა, რადგან **"ეროვნული ზარაფხანა"** სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო ობიექტი იყო, მისი გაყიდვა ბენდუქიძეს არ შეეძლო – კანონი არ აძლევდა სტრატეგიული ობიექტის გაყიდვის ნებას. ადგა ეს შენი ბენდუქიძე და მარტივი გამოსავალი მოძებნა – კომუნისტებისგან ისესხა ძველი სახელი და ობიექტს **"საიუველირო ნაწარმის ქარხანა"** დაარქვა, სახელწოდებიდან **"ეროვნული ზარაფხანა"** ამოვარდა და მას სტრატეგიული მნიშვნელობის სტატუსიც მოეხსნა. ვაშაააა, ბენდუქიძეეე!!!

ამის მერე, 2006 წლის მაისში, გაიმართა **"ზარაფხანის"** აუქციონი, რომელშიც ისევ ნაყოფია-პატარკაციშვილი დაეჯახნენ ერთმანეთს. ნაყოფიამ ტენდერამდე 1 კვირით ადრე დააფუძნა კომპანია **"გოლდ ინვესტი"**. საინტერესოა, რომ ეს კომპანია ნაყოფიას საცხოვრებელი სახლის მისამართზე – არაყიშვილის ქუჩაზე იყო დარეგისტრირებული და ამხელა საწარმოს შეძენის მსურველ შპს-ს საწესდებო კაპიტალად 2000 ლარი ჰქონდა მხოლოდ ანგარიშზე.

**"გოლდ ინვესტმა"** სასწრაფოდ 2 მილიონი დოლარი აიღო სესხად **"საქართველოს ბანკიდან"** და ასე მიიღო ტენდერში მონაწილეობა. ცხადია, **"გაიმარჯვა"** და 2 მილიონ 40 ათას დოლარად ჩაიგდო ხელში **"ზარაფხანა"**. არადა, ეკონომიკის სამინისტრომ წინა წელს **"ეროვნულ ზარაფხანაში"** აუდიტი ჩაატარა და მისი ქონება 40 მილიონ დოლარად შეფასდა. ტენდერის მერე, ამ აუდიტის დასკვნა ეკონომიკის სამინისტროდანაც გაქრა, იმჟამინდელი პრემიერის – ზურაბ ნოღაიდელის ოფისიდანაც და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ეკონომიკური სამსახურიდანაც. ამბობენ, რომ ეს ყველაფერი ბენდუქიძის ნამოქმედარია.

ორიოდე სიტყვით იმ ქონებაზეც მოგახსენებთ, 2 მილიონ 40 ათას დოლარად რომ მოიხელთეს ბენდუქიძემ, ნაყოფიამ და სხვა მაფიოზმა ოლიგარქებმა. **"ზარაფხანა"** დიღომში, ლუბლიანას ქუჩაზე მდებარეობს: 4 სართულიანი შენობა, დამხმარე სათავსო-ნაგებობები, ასამდე უნიკალური, ძვირადღირებული დაზგა-მაგიდა, 8 მილიონი დოლარის ოქროსა და ძვირფასი თვლების მარაგი, რომელიც 90-იანი წლების განუკითხაობისას, **"მხედრიონის"** თარეშის პირობებშიც კი ხელუხლებლად დარჩა **"ზარაფხანაში"**. და კიდევ, **"ზარაფხანის"** კუთვნილი 30 ათასი კვ.მ მიწა დიღომში, ლუბლიანას ქუჩაზე; მის მიმდებარე ტერიტორიაზე 2006 წელს 1 კვ.მ მიწის მინიმალური ფასი 230 ათასი დოლარი იყო. თუ 30 ათას კვ.მ-ს 230 დოლარზე გავამრავლებთ, აღმოჩნდება, რომ მარტო მიწა 6 მილიონ 900 ათასი დოლარი ღირდა. აი, ამხელა ქონება ჩაიგდეს ხელში მართლაცდა ჩალის ფასად კახა ბენდუქიძემ და კობა ნაყოფიამ. მიწის ღირებულების მესამედიც კი არ გადაიხადეს ამხელა ქონებაში. აი, ეს იყო კახა ბენდუქიძის ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა. ამიტომაც იყო, ბენდუქიძე თავს რომ იკლავდა და ათობით ობიექტს სახელმწიფოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის სტატუსი მოუხსნა. თუმცა ეს არ არის ყველაფერი. ტენდერის პირობების თანახმად, **"გოლდ-ინვესტს"** უნდა დაეფარა "ზარაფხანის" 6 მილიონი ვალი, რომელიც საწარმოს სახელმწიფოს მიმართ დაუგროვდა. **"ზარაფხანის"** დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, სწორედ ბენდუქიძესთან დაპირისპირების გამო მოხსნეს – ის ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ერთადერთი ასეთი პროფილის საწარმოს გაყიდვას. ლორთქიფანიძის დირექტორობის პერიოდში დაიწყო სახელმწიფო ვალის ეტაპობრივი დაფარვა, მაგრამ ეს არანაირად არ ჯდებოდა ბენდუქიძის გეგმაში – მას გაკოტრებული **"ზარაფხანა"** სჭირდებოდა. ლორთქიფანიძის შემდეგ, დირექტორად დანიშნეს აკაკი რამიშვილი, ოქროს სასინჯი დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი. **"ზარაფხანის"** თანამშრომლებს ამ კაცის დირექტორობა არ სურდათ, რამიშვილი სპეცრაზმით მივიდა სამსახურში და ისე შევიდა დირექტორის კაბინეტში. მერეც, კარგა ხანს დაცვით დადიოდა. მოკლედ, რამიშვილმა ეს ხელოვნურად წარმოშობილი ვალი არ გადაიხადა, შეწყვიტა ლორთქიფანიძის დროს დაწყებული ვალის გრაფიკით დაფარვა. ჰოდა, როცა აუქციონი ჩატარდა, **"ზარაფხანის"** ვალი უკვე 6 მილიონი ლარი იყო. აუქციონის პირობების თანახმად, ეს 6 მილიონი 2 წელიწადში უნდა გადაეხადა "ზარაფხანას". თქვენც არ მომიკვდეთ, ნაყოფიას არც უფიქრია ამ 6 მილიონის ბიუჯეტში გადახდა. ნაყოფიამ ცალკე თანაკლასელ მინისტრს, ირაკლი ჩოგოვაძეს მისწერა და ცალკე ზურაბ ნოღაიდელს: ქართული ოქროს ნაკეთობათა წარმოება უნდა ავაყვავო და ეს ვალი ჩამომაწერეთო. აბა, ასეთი სულის საცხონებელი საქმის გაკეთებაში ხელს ხომ არ შეუშლიდნენ ნაყოფიას ეკონომიკის მინისტრი და პრემიერ-მინისტრი? ერთობლივად გადაწყვიტეს, – ოღონდ ეგ საშვილიშვილო საქმე გააკეთე, 6 მილიონი რა სალაპარაკოაო და... ჩამოაწერეს სახელმწიფო ვალი. როგორი ბექა ოპიზარიც კობა ნაყოფია გამოდგა, ყველას კარგად მოეხსენება. ნაყოფია და მისი ჯგუფი, ძირითადად, ინდოეთიდან და არაბეთიდან ეზიდებიან იაფფასიან ოქროს ნაკეთობებს და მერე **"ზარაფხანის"** დამღით ყიდიან ვითომ ქართულ ნაწარმს. შიგადაშიგ, ევროპაშიც ყიდულობენ დაბალი ხარისხის ოქროს. წალეკა ქართული ოქროს ბაზარი უხარისხო ოქრომ. **"მადნეულში"** მოპოვებულ, **"კვარციტში"** გადამუშავებულ ოქროს კი ნაყოფია უცხოეთში ეზიდება, რადგან მაღალი ხარისხისაა და ევროპაში კარგად იყიდება. **"ზარაფხანის"** ქიმიური ლაბორატორიის ყოფილი თანამშრომელი, ჟანა ქარელიძე ერთ ასეთ შემთხვევასაც იხსენებს: "რამდენიმე მაღაზია აქვს **"ზარაფხანას"** და ერთ-ერთი ვაკეში მდებარეობს. სწორედ ამ მაღაზიაში შევედი და ვათვალიერებდი ქარხნის ნაწარმს. ერთი ვერცხლის ძეწკვი შევნიშნე, რომელსაც მეტად უცხო ფსკვნილი ჰქონდა. დანამდვილებით ვიცოდი, რომ **"ზარაფხანას"** ისეთი დაზგა არ ჰქონდა, რომლითაც ასეთი ფსკვნილები კეთდებოდა. გამყიდველ გოგონას ვკითხე, სიმართლე მითხარი, მაინც ვერ მომატყუებ, ეს ძეწკვი მართლა **"ზარაფხანის"** ნაწარმია-მეთქი? არა, ქალბატონო, უცხოეთიდანაა შემოტანილი და **"ზარაფხანას"** დამღა აზის, ვითომ ჩვენი ქარხნის ნაწარმიაო. აი, ასე ატყუებენ ხალხს წლების მანძილზე, მაგრამ განმკითხავი არავინაა. ერთი ძველი ისტორიაც მოგვითხრეს ექსკლუზიურად. **"ცენტრპოინტის"** თანადამფუძნებელი რუსუდან კერვალიშვილი (მაშინ პოლიტიკაში არ იყო) ესტუმრა **"ზარაფხანის"** ვაკის მაღაზიას. იმ დღეს შინ პატარა წვეულება ჰქონდა, რომელსაც მხოლოდ ოჯახის წევრები და რამდენიმე უახლოესი მეგობარი უნდა დასწრებოდა. ქალბატონმა რუსუდანმა გადაწყვიტა, ყველასთვის მცირე სიურპრიზი გაეკეთებინა, ადგა და ყველას თითო ოქროს ნაკეთობა უყიდა – მამაკაცებს სამაჯურები და ძეწკვები, ქალებს ბეჭდები და საათები... საგურამოში, რჩეულიშვილების სახლში გამართული წვეულება, რომ იტყვიან, ეშხში შედიოდა, როდესაც რუსუდან კერვალიშვილმა სტუმრებსა და ოჯახის წევრებს ოქროს საჩუქრები ჩამოურიგა, თან დასძინა, რომ ყველაფერი ქართული და **"ზარაფხანის"** წარმოებისა იყო. ერთ-ერთმა სტუმართაგანმა დიდხანს ატრიალა ხელში ნაჩუქარი სამაჯური, მერე კი განაცხადა, რომ ზუსტად ასეთი პარიზში ჰქონდა ნაყიდი და ერთი მეორისგან იმით განსხვავდებოდა, რომ ერთს ფრანგული კომპანიის ნიშანდება ჰქონდა, მეორეს კი – **"ზარაფხანასი"** (ისე, ნაჩუქარ ცხენს კბილს ვინ უსინჯავს, შე ოხერო? გაჩუქეს? აიღე, მადლობა თქვი და შეირგე, რა, თუ ინტრიგანი არა ხარ). მოკლედ, დიდი კამათის შემდეგ, ეს კაცი იძულებული გახდა, სახლში წასულიყო და შინიდან **"ზარაფხანის"** სამაჯურის ზუსტი ასლი, ფრანგული სამაჯურიც მოიტანა. თან კატალოგიც მოაყოლა, სადაც ამ სამაჯურის მწარმოებელი ფირმა და დიზაინერის გვარ-სახელიც იყო მითითებული. რუსუდან კერვალიშვილი დარწმუნდა, რომ სასტიკად მოატყუეს. მეორე დღეს, თავის დასთან, მაია კერვალიშვილთან ერთად გამწარებული მივიდა **"ზარაფხანის"** მაღაზიაში და ლამის სახეში შეაყარა ოქროულობა ვაკის ფილიალის დირექტორს. ატყდა დიდი აყალმაყალი. კერვალიშვილებმა დაამტკიცეს, რომ არა მარტო ერთი სამაჯური, რაც **"ზარაფხანის"** მაღაზიაში იყიდა, ყველა ნივთი დუბაისა და პარიზის მაღაზიებში იყო ნაყიდი და მერე, თბილისში ფრანგული ქარხნის დამღა გადაცლილი ჰქონდათ და **"ზარაფხანის"** დამღით იყო ხელახლა დადაღული. რუსუდან კერვალიშვილს, ცხადია, თანხა უკან დაუბრუნეს, მაგრამ დებს თურმე ვერ აჩერებდნენ და ამ ამბის მედიით გახმაურებას აპირებდნენ, – ჩვენ მოვტყუვდით, მაგრამ სხვას აღარ მოგატყუებინებთ, ხალხმა უნდა გაიგოს თქვენი თაღლითობის ამბავიო. ბოლოს საქმეში კობა ნაყოფია ჩაერია. ვახტანგ რჩეულიშვილის, მაია და რუსუდან კერვალიშვილების თუკი ვინმე საერთო ნაცნობი ჰყავდა, ყველა ჩარია საქმეში, ყველას დაარეკინა მათთან, რომ გაჩერებულიყვნენ და ბოდიშიც პირადად მოუხადა დებს. თბილისი, მოგეხსენებათ, პატარა და ხათრიანი ქალაქია – ნაყოფიამ ეს შარიანი საქმე ჩაფარცხა. თუმცა, დროებით. მკითხველმა ხომ ამ წუთას ექსკლუზიურად გაიგო ამ მაქინაციის შესახებ. ოქროს წარმოებაში მეტ-ნაკლებად ჩახედული ხალხი შემედავება ახლა – ფრანგულ ოქროს **"ზარაფხანის"** დამღა რომ დაარტყა, ძველი წაშალო და ახლით გაყიდო, ეგ რა ხეირი იქნება, ფრანგი იუველირ-დიზაინერების ოქროს ნაწარმი უფრო ძვირი არ ეღირება, ვიდრე მისი გადმოქართულებული ვარიანტიო? ასეთი მანიპულაციით რა ხეირი ექნებოდა **"ზარაფხანას"**, პირიქით, იზარალებდა, რადგან საფრანგეთში ნაყიდ, დავუშვათ, **"პერსტენს"**, **"ზარაფხანის"** დამღით თავის ფასშიც ვერ გაყიდდაო. კი, ლოგიკური კითხვაა, მაგრამ ნაყოფია მაგის ჩიტია ახლა, 2000 ევროდ პარიზში **"პერსტენი"** იყიდოს, მერე თბილისში 2000 ლარად გაყიდოს და იზარალოს? აი, დამარხულ ძაღლის თავსაც მივადექით. საქმე ისაა, რომ **"ზარაფხანაში"** არა მარტო ფირმის აღმნიშვნელ ნიშანს ცვლიან, არამედ ოქროს სინჯის მაჩვენებელსაც. ოქროს ყიდულობენ პარიზში და ევროპა-აზიის სხვა ქალაქებში, დიღომში კი სინჯის აღმნიშვნელ დამღას აცლიან, სხვა, უფრო მაღალი ხარისხის ოქროს სინჯის დამღას დაარტყამენ და საქმეც გაჩარხულია – 5 გრამიან ნივთს, რომელშიც 1 გრამში 20 ევრო ანუ, მთლიანად 100 ევრო გადაიხადეს, 1 გრამს 50 ევროდ ანუ, ჯამში, 250 ევროდ გაყიდიან. და ყიდიან კიდეც!

*(გაგრძელება მე-5 გვერდზე)*

# საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა,

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის 03/108 ბრძანებისა და საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ივლისის 563 ბრძანებულების საფუძველზე, საყდრისის 5000 წლის წინანდელი ოქროს მაღარო ამოღებული იქნა კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა სიიდან. პრეზიდენტმა სააკაშვილმა კანონის დარღვევით გამოსცა ეს ბრძანებულება. ეს ბრძანებები დაეფუძნა ტენდეციურად განწყობილი, მატერიალური მოგებით დაინტერესებული მხარისა და ოქროს მომპოვებელი კომპანიის –RMG Gold LLC-is კონტრაქტორების დასკვნებს.

ამ ბრძანებებით აღშფოთდა მთელი მსოფლიოს მეცნიერები და დაგვაყენა ჩვენ იმ თალიბების გვერდით, რომელთაც ააფეთქეს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ავღანეთში.

ცნობილია, რომ საყდრისის ოქროს მაღარო უძველესია კაცობრიობის ისტორიაში და ის არის მტკიცებულება იმისა, რომ ქართველები არიან მსოფლიოში სამთო-მეტალურგიული დარგის ერთ-ერთი პირველი ფუძემდებლები.

გთხოვთ, შეჩერდეს ქართული და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის – საყდრისის უძველესი მაღაროს ავთენტურობის განადგურება და მას კვლავ დაუბრუნდეს უძრავი ძეგლის სტატუსი, ხოლო ჩვენ ქართველებს ღირსება.

საქართველოს უძველესი კულტურული მემკვიდრეობის – საყდრისის 5000 წლის წინანდელი ოქროს მაღაროს გადარჩენის საინციატივო ჯგუფი გთხოვთ თქვენთან სასწრაფოდ შეხვედრას ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიზნით, რათა არ მოგვიწიოს ქუჩის აქციების ორგანიზება.

პატივისცემით,

**დავით სახვაძე,**
**სსიპ ფერდინანდ თავაძის სახელობის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი**

**რაულ გვეტაძე,**
**ინჟინერ-მეტალურგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი**

**მარინე ცინცაბაძე,**
**კულტუროლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი**

**ნანი ჯანიაშვილი,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართულ-შვედური ინსტიტუტის დირექტორი, მედია-კავშირი „ობიექტივის“ წამყვანი**

**გია კვაშილავა,**
**კოლხურ-იბერული ეთნოკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი**

**სოსო მანჯავიძე,**
**საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გენერალური მდივანი**

**დავით მხეიძე,**
**პუბლიცისტი**

**ციალა არდაშელია,**
**მწერალი, პუბლიცისტი**
**სულ პეტიციას ხელს აწერს 400 ადამიანი**

**იხ. შემდეგი ვებ-გვერდი: http://www.petitions24.com/signatures/sakdrisi/start/400**

# პროკურატურა მალე კახა ბენდუქიძესა და კობა ნაყოფიას მიადგება!

*(გაგრძელება მე-4 გვერდიდან)*

შესაძლოა, მკითხველი იმაშიც შემედაოს, რატომ არის ქართული ბაზარი უხარისხო ოქროთი გადავსებული, ხომ არიან ე.წ. ოქროს ბირჟებზე ოქროს შემოწმების სპეციალისტები. კი, იქ არიან, მაგრამ **"ზარაფხანას"** თავისი სპეციალისტები ჰყავს და მათ რასაც დაავალებენ, იმ კატეგორიის დამღას დასცხებენ ნაკეთობას. მერე წაიღე და ამოწმე, რამდენიც გინდა. რაც დებმა კერვალიშვილებმა მოიგეს, სხვაც იმას მოიგებს. რაც შეეხება ოქროს ხარისხზე სახელმწიფო კონტროლს, საქართველო ერთადერთი ოქროს მომპოვებელი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც ოქროს ხარისხის სახელმწიფო სამსახური არ გააჩნია. ეს სამსახური ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შედიოდა, ბოლოს დეპარტამენტის სახით და ოქროს სასინჯი დეპარტამენტი ერქვა. 2005 წელს კახა ბენდუქიძემ ამ სამსახურის გაუქმებაც მოახერხა. ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწია, მხოლოდ ეს სთხოვა ბენდუქიძეს, – მაგ დეპარტამენტის უფროსი, აკაკი რამიშვილი ჩემი ნათესავია და ეს კაცი დამისაქმეო. ოქროს სასინჯი დეპარტამენტი გაუქმდა და რამიშვილი ჯერ კიდევ სახელმწიფოს კუთვნილი **"ეროვნული ზარაფხანის"** დირექტორად დანიშნა ბენდუქიძემ.

**"ზარაფხანაში"** რომ ანალოგიური მაქინაციები ხდება, ეს ჟანა ასანიძემაც დაადასტურა, დავით ლორთქიფანიძეს კი გაეცინა, როცა ვკითხე, მართლა შესაძლებელია ასეთი რამის გაკეთება **"ზარაფხანაში"**-მეთქი და მიპასუხა: ვინც მაგას აკეთებს, იმ ხალხს იუველირები ჰქვიათ, მეტს აღარაფერს გეტყვი და ახლა თავად განსაჯე, შეძლებენ თუ არაო.

ბენდუქიძე-ნაყოფიას ტანდემს ჟანა ქარელიძე სხვა რამეშიც სდებს ბრალს. თვალგაფაციცებულ მკითხველს უთუოდ ემახსოვრება, ამ 3 წლის წინათ, სოსო თოფურიძის ავად სახსენებელმა კუდ-მა ერთი რიგიანი საქმე მართლა გააკეთა. **"ზარაფხანიდან"** დაკარგული ოქროს ქურდები დააკავა და დაკარგული ოქროც ამოიღო. მაშინ თოფურიძემ ბრიფინგზე აღნიშნა, 132 კგ. ოქრო ამოვიღეთო. არადა, ქალბატონი ჟანა ქარელიძე ირწმუნება, 132 კი არა, 176 კგ. ოქრო დაიკარგაო. ამ ინფორმაციას მივდიე და აღმოჩნდა, რომ თავის დროზე, საქმე მართლა 176 კგ. ოქროს ქურდობის ფაქტზე იყო აღძრული კუდში. ეს ინფორმაცია, ქურდობიდან მესამე დღეს ოფიციალურადაც გავრცელდა. მაშ, სად გაქრა დაკარგულ და ამოღებულ ოქროს შორის არსებული სხვაობა – **"ზარაფხანის"** კუთვნილი 44 კილოგრამი ოქრო? ამის გარკვევას, წესით, კიდევ ერთი გამოძიება სჭირდება, თუმცა, **"ქრონიკამ"** ამ კითხვის პასუხს ისევ **"ზარაფხანას"** ყოფილ თანამშრომლებში მიაგნო. 44 კილოგრამი ოქრო, დაკარგულის პოვნით გახარებულ კახა ბენდუქიძესა და კობა ნაყოფიას, ვანო მერაბიშვილისთვის უჩუქებიათ. ვანოს კი, ნაჩუქარი ოქროს ნაწილი სოსო თოფურიძისთვის მიუცია პირად საჩუქრად, ნაწილი კი არაოფიციალურ პრემიად კუდ-ის იმ რამდენიმე მაღალჩინოსანს მისცეს, რომლებიც ამ საქმის გამოძიებაში იყვნენ ჩართულნი. რაც ოქრო დარჩა, ვანო მერაბიშვილი ამდგარა და ბავშვთა დაცვის მსოფლიო ორგანიზაციისთვის შეუწირავს. ეს ხუმრობით, ცხადია. ისე, გსმენიათ ვანო მერაბიშვილის ქველმოქმედების შესახებ? ვიცი, არც გაგიგონიათ და ახლა, მით უმეტეს, ვერც ვერასდროს გაიგებთ. ეს დარჩენილი ოქრო მერაბიშვილს ახალციხეში ჩაუტანია და დედამისისთვის – ქენია თუმანიშვილისთვის ჩაუბარებია. ამბობენ, ქალბატონი ქენია ამ ოქროს მიწაში დამარხვას აპირებდა და ვანოს შეუჩერებია, – შვილი შინაგან საქმეთა მინისტრი გყავს და ოქროს მიწაში მარხავო? მოკლედ, ჩემი შიშით ამ არემარეზე ვერავინ გაჭაჭანდება და ჩემი სახლიდან ოქროს მოპარვას ვინ გაბედავსო, – უთქვამს ვანოს. ახლა სად აქვთ შენახული ის ოქრო, არ ვიცი. შესაძლოა, ქენია დეიდამ მაინც მიწაში ჩაფლა – ვანო ხომ პოლიციის მინისტრი აღარ არის?!

**"ზარაფხანიდან"** მარტო ოქრო არ დაკარგულა. მანამდე, სანამ ქარხნის პრივატიზაცია მოხდებოდა, 1 თვით ადრე, ერთ ღამეში 3 ტონა თითბერი გაქრა. ამ რაოდენობის თითბერს 3-4 კაცი ვერ მოიპარავს, მით უფრო, სპეციალური ტექნიკისა და სატვირთო ავტომობილის გარეშე ვერ წაიღებდნენ ქურდები. საინტერესოა, რომ **"ზარაფხანის"** დაცვამაც ვერაფერი გაიგო. დაცვის ყველა თანამშრომელს, რატომღაც, ერთდროულად ჩაეძინა და მერე, ყველამ, ასევე, ერთდროულად გაიღვიძა, – ასე უწერიათ გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებში. კი, რაღაცით ჰგავს ჰოლივუდური ფილმის სიუჟეტს, მაგრამ ეს ამბავი დიღმის მასივში მოხდა და როგორც ყოფილი **"ზარაფხანელები"** ამბობენ, ამ **"ფილმის"** სცენარი კახა ბენდუქიძის კაბინეტში დაიწერა. ქურდობის ფაქტზე საქმე აღიძრა და იმ პოლიციამ, რომელიც ნარკორეალიზატორებს უკანალიდან 00,1 გრამ ნარკოტიკს აძრობს (უფრო ნაკლებსაც), 3 ტონა თითბერის კვალს ვერსად მიაგნო. ისევ **"ზარაფხანის"** ყოფილი თანამშრომლები აცხადებენ, რომ ეს თითბერი, როცა ბენდუქიძის კლანმა ქარხანა იყიდა, კილოგრამობით უკან ჩუმად ბრუნდებოდა და **"ზარაფხანის"** მაღაზიებში ნაპარავი თითბერისგან დამზადებული ნაკეთობები ძვირადაც იყიდებოდა.

ეს მხოლოდ ნაწილია იმ უბედურებებისა, რასაც ბენდუქიძე-ნაყოფიას კლანი სჩადიოდა **"ზარაფხანაში"** წლების მანძილზე. კახა ბენდუქიძემ 200 კაცი უმუშევარი დატოვა, ერთ დროს უძლიერესი საწარმო დღეს პატარა საამქროდაა ქცეული. რაც მთავარია, საქართველოს დაუკარგეს **"ეროვნული ზარაფხანა"**, რომელსაც იმის რეალური პერსპექტივა ჰქონდა, რომ საკუთარი, ქართული ფული, საკუთარ ზარაფხანაში მოეჭრა. მეტიც, სანამ გაიყიდებოდა, მისი მმართველები იმასაც ვარაუდობდნენ, რომ ამ ზარაფხანას სხვა ქვეყნების დაკვეთების შესრულებაც შეეძლო და არაერთი ქვეყანა საკუთარ ფულს ქართულ ზარაფხანას დაუკვეთდა. ამით კი ქვეყანა სოლიდურ მოგებას ნახავდა და, ცხადია, რაც დასაქმებული იყო, ორი იმდენი კიდევ დასაქმდებოდა. დღეს კი, საქართველო საკუთარ ვალუტას – ლარს საფრანგეთის ზარაფხანაში ჭრის და ეს ბიუჯეტს სოლიდური თანხები უჯდება.

კახა ბენდუქიძეს სულ ფეხებზე არ ჰკიდია ქვეყნის ბიუჯეტი? მისი ჯიბიდან ხომ არაფერი გადის.

კახა ბენდუქიძე ოფიციალური მილიარდერია, ამის შესახებ რუსულ და სხვა უცხოურ მედიაში არაერთხელ დაწერილა და თქმულა. თავის მილიარდებს საქართველოში კაპიკებად ნაყიდი ქონებით რამდენი შემატა, ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, თუ ამ ქვეყანაში ოდესმე სამართლიანობა აღდგება, მაშინ ამასაც აუცილებლად გავიგებთ. და თუ ეს გავიგეთ, მაშინ ამ ნაყაჩაღარი ქონების უკან, სახელმწიფოსთვის დაბრუნების საკითხიც უნდა დადგეს და ამას ბენდუქიძის პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა ჩაებას. თუ ამ ჯაჭვს გავყევით, თავის წილ პასუხისმგებლობას ვერც კობა ნაყოფია გადაურჩება. იმედია, ასეც იქნება.

კობა ნაყოფიას არაოფიციალურ მილიარდერად მოიხსენიებენ და ეს არ არის გადაჭარბებული. ეს კაცი სოლიდურ წილებს ფლობდა და ფლობს იმ კომპანიებში, რომელთაც ქართული ოქროს მოპოვება-გადამუშავება-დამზადება, ანუ სრული ციკლი ჩაიგდეს ხელში. უცნობია, ამ სამ კომპანიაში ვის რამდენი წილი ჰქონდა ან აქვს, არც ერთი არ აქვეყნებს დამფუძნებელთა თუ აუქციონერთა სიას. **"გოლდ ინვესტი"** კი, რომელსაც **"ზარაფხანა"** აჩუქეს, 2007 წელს ოფშორულ ზონაში გადარეგისტრირდა და სახელიც შეიცვალა, ახლა **"კუენტრო პორტფელიო"** ჰქვია და ბენდუქიძემ და გენერალოვმა თავიდან მოიშორეს – გაყიდეს. დიახ, როცა ოქროს მომპოვებელ ქვეყანაში წლების მანძილზე ერთადერთი მონოპოლისტი ხარ, 50 პროცენტს ფლობ ოქროს გადამუშავების კომპანიაში და ოქროს ნაკეთობათა ბაზარზეც, **"ზარაფხანის"** სახით, სრული მონოპოლისტი ხარ, მაშინ ძალზე რეალური და საფუძვლიანია გავრცელებული ინფორმაცია, რომ ნაყოფია **"იატაკქვეშა მილიარდერია"**. ბოლოს და ბოლოს, კაცი ოქროს ყიდდა და არა კარტოფილს.

**ხ. ელბაქიძე**

პოეზიის კუთხე

# მგოსანს

რადგან მგოსანო, შენი ცხოვრება
დაუწერელი, უტყვი ლექსია;
ღიმილით გულის გაცისკროვნება
ნათელ მირონზე უტკბილესია!
ზენას ღვთის მადლი თუ დაესესხე,
პურის სანაცვლოდ ქვებს რომ გესვრიან
იმ ნიადაგზე ნექტარი თესე,
ეს სამოთხეზე უკეთესია!
განუკითხავნო და სხვის მსაჯულნო,
ხედავთ სამყარო თუ რა დღეშია?!
ერთი ურწმუნოც რომ მოარჯულოთ,
ახლის შექმნაზე უკეთესია!
რინა ჩაჰბერე ცხოვრების თონეს,
როცა შენს გვერდით სულნი კვნესიან;
შენ მათ, მგოსანო, გულს მოუფონე,
ეს ყველა მადლზე უკეთესია!
მთელი ცხოვრება, მისი ავ-კარგით,
უნდა შევიცნოთ ყველა ვერსია;
ადამ-სახელი რომ არ დავკარგოთ,
მას გავუფრთხილდეთ უმჯობესია!
შენ ხარ ადამი, უნდა იცოდე:
სულს თუ ეშმაკნი შემოესია...
მოყვასისათვის უნდა იწვოდე,
ღვთაებად ყოფნის უკეთესია!
რომ სასოებით ზეცა გფარავდეს,
სიბრძნე ადამის უკვე თესლია;
ზომიერება ყველგან, მარადის,
ყველა სიბრძნეზე უკეთესია!
თუ განიძარცვა მორალთ სალონი,
რაც ჰომოსური ორან-მყესია;
ვერ დაგიფარავს ვერა კანონი
და ვერც დაგიცავს ქრისტე მესია.
ყური დაუგდე რას გეუბნება
ეს შენი მრწამსი... უტყვი წესია, –
მუდამ გახსოვდეს ზნე-ჩვეულება
ადამის რჯულზე უკეთესია!
სიტყვა კაზმული, ნათელმზიანი,
საქმე, ღვთის მადლით, ნერგითესლია
შენი სახელი: ადამიანი! –
მოძღვარია და ერის მწყემსია!

**ბურამ ჯიქია.**
**ჩხოროწყუ, ს. ლესიჭინე.**

## ჯალაღონია-ჯალაღანიების გვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **კათალიკოს პატრიარქი ილია II** დალოცავს **ჯალაღონია-ჯალაღანიების** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **"ლიბერთი ბანკში"** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანგ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა.

დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღანია.**

# კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



*დასაწყისი "ილორი" №171-230*

**„ქართველებს ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნეების განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდა, მაგრამ, შესაძლებელია შემდეგ გაირკვეს, რომ ამ მწერლობის ენა ქართულ შტოს კი არ ეკუთვნის, არამედ – ლაზურსა ან სვანურ შტოს“** (მითითებული გვაქვს: ჟურნ. **„აია“**, 2001, №9-10, გვ. 41.).

პროფ. გურამ ყორანაშვილმა 1994 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი, რომლის ანოტაციაშიც ნათქვამია: **„კრებულში შესულია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი სტატიები, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე არ ყოფილა გამოქვეყნებული. იგი ცდილობს ნაწილობრივ მაინც შეავსოს ის ხარვეზები, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ისტორიის მეთოდოლოგიისადმი, საერთოდ ისტორიის თეორიისადმი დამოკიდებულებაში დღემდე არსებობს“.**

კიდევ მოგვყავს მხოლოდ ერთი ადგილი, პროფ. გ. ყორანაშვილის აღნიშნული წიგნიდან: **„კოლხეთში ჭაობები უფრო ძნელი დასაძლევი აღმოჩნდა, ვიდრე იბერიაში მშრალი ჰავა, რაც ირიგაციის განვითარებით გადალახეს. მდინარე რიონს მართალია, ნოყიერი შლამი მოჰქონდა ზემო დინებიდან, მაგრამ, ჯერ ერთი, ჰავის სინოტივისა და, მეორეც, ამ მდინარის დაბალი კალაპოტის გამო, აღნიშნული ბუნებრივი ძალის ფართოდ გამოყენება ირიგაციისთვის შეუძლებელი გახდა (ამასთანავე სუსტ სახელმწიფოს არ შეეძლო რიონის დამორჩილება დამბების მეშვეობით).**

**ყოველივე აღნიშნულის გამო კოლხეთი მოსახლეობის სიმჭიდროვით, დასახლების ტიპების სიდიდით და ა. შ. ჩამორჩებოდა ქართლს (იბერიას), რაც შეეხება ზღვასთან მდებარეობის ფაქტორს, ესეც ვერ იქნა კოლხეთის საზოგადოების მიერ ფართო მასშტაბით გამოყენებული. შავი ზღვის ჩვენი სანაპირო ნაკლებ დიფერენცირებულია, კუნძულების გარეშეა, რაც ართულებს ზღვაოსნობას. ამ მიზეზთა გამო, მითუმეტეს საკმაოდ მშფოთვარე შავი ზღვის დამორჩილება დასავლეთ ქართველთათვის უფრო ძნელი იყო, ვიდრე ეგეოსის ზღვისა – ბერძნებისათვის“** (გურამ ყორანაშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ნაწ. I, თბ., 1994, გვ. 32.). ამ ამონარიდიდან გარკვევით ჩანს ავტორის შეხედულება, თვალსაზრისი კოლხეთის შესახებ. დასკვნას, უთუოდ მკითხველი გააკეთებს.

„ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისად კოლხეთის სამეფოს ეპოქის აღზევება უაღრესად ღირშესანიშნავი მოვლენაა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, – წერს ა. შონია, – ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოს ერთიან კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში, ეძლევა ზოგადქართული მნიშვნელობა“...

იგივე ავტორი გარკვევით და სრულად სწორად წერს: „მართალია ქართველ მეცნიერთა უმრავლესობა ვარაუდობს, რომ კოლხეთის (ეგრისის) და იბერიის (ქართლის) სამეფოები ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სამეფოები იყვნენ, ხოლო იბერები (ქართლელები) და კოლხები (მეგრელები) სხვადასხვა ეთნოსის ხალხები, მაგრამ კოლხეთის სამეფოს მცნებაში მოიაზრება მთელი საქართველო, რომელსაც შემდგომში გამოეყო იბერიის (ქართლის) სამეფო, ხოლო კოლხები (მეგრელები) და იბერები (ქართლელები) ერთი ხალხის განაყოფები არიან“ (ანზორ შონია. ეგრისის სამეფო და.., გვ. 29, 43-45.),

ავტორი ამტკიცებს, რომ ცნება **„კოლხეთში“** მოიაზრება არა მარტო დასავლეთ საქართველო, არამედ აღმოსავლეთ საქართველოც, მეტიც – ტერიტორია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. (კვლავ ვამბობ, როგორც ჰეროდოტე წერს) ყოველ შემთხვევაში, ეს ცნობა სრულ უფლებას იძლევა, ცნება, **„კოლხეთში“** მოიაზრებოდეს მთელი სამხრეთ კავკასია და, რომ ამ მოსაზრების გამოსარიცხად ვერავინ ვერ დაასახელებს სხვა რაიმე მნიშვნელოვან, დასაბუთებულ წყაროს.

ამავდროულად, საინტერესოა, თუ რა წარმატება მოიპოვეს ქართველებმა ცოდნის შეძენის მიმართულებით, – მოგვაქვს ამონარიდი ცნობილი მეცნიერის პროფესორის მურმან პაპაშვილის წიგნიდან: – **"ეს ნათლად გამოჩნდა როდია მიქელაძის მხატვრული ნიჭის გაფურჩქვნაში. როდია და მისი მეუღლე ოდიშის გამოჩენილი თავადი მამუკა ბისკაია, თავისი ორმოცზე მეტი ყმით კათოლიკეები იყვნენ. ქართველი ქალბატონი როდია მოწაფე იყო მხატვარი მისიონერებისა, მათგან შეუთვისებია მხატვრული ხელოვნების ყველა ხერხი და კასტელის აღიარებით სახელოვანი მხატვარი დამდგარა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მაშინდელ საქართველოში თითქმის არ წარმოებდა საგანმანათლებლო საქმიანობა, ამ მხრივ მისიონერთა შრომა ფასდაუდებელია. ისინი ხომ ქართველ ახალგაზრდებს აზიარებდნენ დასავლური კულტურის მიღწევებს".**

ამრიგად, – აღნიშნავს პროფესორი მურმან პაპაშვილი, – ლათინელ მამებს ოდიშის სამთავროში კათოლიკობის პროპაგანდის სრული თავისუფლება ჰქონდათ. მათ მიერ ზემოდან დაწყებულ გაკათოლიკოსობას დიდი წარმატებები მოჰყვა. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება ოდიშის მთავრის – ლევან დადიანის, მისი ვაზირის – პაპუნა წულუკიას, წარჩინებული თავადის – კაკუ შელიას, მამუკა ბისკაიას და მრავალი გამოჩენილი საერო თუ სასულიერო პირების მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღება. თუმცა ცხადია, ერთი ხელის მოსმით მოსახლეობის გაკათოლიკება შეუძლებელი იყო. ამისათვის ყველაზე ეფექტური იქნებოდა ადგილობრივი კადრების მომზადება სამისიონერო საქმიანობისათვის. ეს კარგად ესმოდათ რომში. ამიტომ პროპაგანდა ფიდეს კოლეჯში, რომელიც **„მისიონერებს ამზადებდა მსოფლიოს ყველა ერისთავის“,** ორი ადგილი დაეთმო სამეგრელოს მისიონს. გარდა თქმულისა, ეს ფაქტი ნათლად ავლენს პაპების მხრივ მზრუნველობას ქართველებისადმი. ამ კოლეჯში აღზრდილ ქართველ მოძღვრებს ჩვენს ქვეყანაში უნდა მოეტანათ დასავლური კულტურა და განათლება.

ნიჭიერ მთავარს ლევან დადიანს კარგად ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მისი სამთავროს კულტურული განვითარებისათვის პროპაგანდის კოლეჯში ახალგაზრდების გაგზავნას. ამიტომ მან არ დააყოვნა და 1643 წელს ორი ყმაწვილი გაგზავნა რომში პროპაგანდის კოლეჯში გასაწვრთნელად. ამ ყმაწვილებს ერქვათ ანტონი და ანდრია. ამ უკანასკნელს, რომელიც დიდი ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული, შეუსწავლია იტალიური და ლათინური ენები. დაუფლებია ლოგიკას, ფილოსოფიას და თეოლოგიას, მაგრამ მძიმედ ავად გამხდარა და გარდაცვლილა. ანტონი, თუმცა არ ყოფილა დაჯილდოებული ასეთი მაღალი ნიჭით, მაგრამ აღნიშნულ კოლეჯში მიაღწია ხარისხს თეოლოგიურ მორალში და შემდეგ ერთ პრელატთან მოეწყო და დაეთხოვა კოლეჯს.

ამრიგად, რომში ანტონმა ისახელა თავი. ის პირველი ქართველია, რომელმაც საჯაროდ დაიცვა დისერტაცია ღვთისმეტყველების დარგში. ამდენად, პროპაგანდის კოლეჯის ნაყოფიერ ნიადაგზე ჩაყრილმა პირველმა ქართულმა მარცვალმა კარგად გაიხარა. ამის შემდეგ აქ ქართველები არაერთხელ ისახელებენ თავს (მურმან პაპაშვილი. საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1998, გვ. 186.).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აგრძელებს პროფ. მურმან პაპაშვილი, – ასევე დავასკვნით, რომ ლევან დადიანმა რელიგიური პოლიტიკა შეგნებულად აირჩია და მისიონერებისადმი მისი ნდობით აღსავსე ურთიერთობა მიზნად ისახავდა ამ ლათინელი მამების საშუალებით ევროპასთან კულტურულ, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარებასა და რეალიზაციას.

ამ კურსის უპირველესი ამოცანა იყო, სამთავროში მოეზიდა დასავლეთ ევროპიდან ვაჭრები და შავი ზღვის საშუალებით სამეგრელო ჩაება საერთაშორისო ვაჭრობაში. ამ მაღალ, ნიჭიერ მთავარს კარგად ესმოდა, რომ **„ევროპის ქვეყნების სიძლიერის მაცოცხლებელ არტერიას სწორედ დაწინაურებული „ეკონომიკა წარმოადგენდა“.** ამიტომ იგი ცდილობდა, რომ ევროპიდან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირით გამოესწორებინა სამთავროს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ვაჭრობა და ხელოსნობა ევროპულ ყაიდაზე გაემართა.

ამ გეგმის განსახორციელებლად ლევან II დადიანმა ნიკიფორე ირბახთან და მისიონერებთან ერთად შეიმუშავა ევროპასთან საქართველოს გზით ვაჭრობის განვითარების პროექტი, რომლის მიხედვით ირანის აბრეშუმი საქართველოზე გავლით უნდა გაეტანათ შავი ზღვით ევროპაში. ასეთი გეგმა ჰქონდა ცნობილ მოგზაურსა და დიპლომატს პიეტრო დელა ვალეს. მკვლევარები სამართლიანად თვლიან, რომ ლევან დადიანი იცნობდა პიეტრო დელა ვალეს პროექტს მისიონერებისა და ნიკიფორე ირბახის მეშვეობით (მურმან პაპაშვილი, საქართველო რომის..., გვ. 187.).

დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს ნაშრომი და არქანჯელო ლამბერტის **„სამეგრელოს აღწერა“** ერთი და იმავე ხანას ეკუთვნის და **„აღწერილობის ობიექტი ერთი ჰქონდათ, ჯუდიჩის ლამბერტისგან დამოუკიდებლად სრულიად განსხვავებული ფაქტები მოჰყავს და იმდროინდელი სინამდვილიდან ფიქსირებული აქვს სოციალური ცხოვრების ის საგულისხმო მომენტები, რომლებიც ქართულ წყაროებს აკლია... ჯუდიჩესა და ლამბერტის რელაციები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებიან თავიანთი შინაარსით... თეატინელი პატრები სამისიონერო მოღვაწეობასთან ერთად დასაწყისშივე მეგრულ ენასაც სწავლობდნენ და მოსახლეობას სამკურნალო დახმარებასაც უწევდნენ“.**

პატრი დონ არქანჯელო ლამბერტი შესანიშნავი მხატვარი ყოფილა, მას ბევრი პორტრეტი ჰქონია დახატული, როგორც მთავრისა (ლევან დადიანის) და დედოფლის, აგრეთვე სხვა ცნობილი პირისა. ამასთან მთავრისა და დედოფლის დავალებით ეკლესია მოუხატავს, რისთვისაც დიდი მოწონება დაუმსახურებია. სცოდნია სხვა ხელობაც – დურგლობა, დეკორატიული საქმიანობა: როგორც ჩანს ქრისტეფორე კასტელის ალბომში, რომელშიც 500 სურათია, ლამბერტის ნახატებიც არის, რადგან აღნიშნულ სურათებში ერთი სტილი არ არის (რამდენიმე სტილი შეიმჩნევა) და სხვადასხვა დროს და რამდენიმე მხატვრის კოლექციაა. ლამბერტი კარგი მკურნალიც ყოფილა, სამისიონერო საქმიანობის დროს მას სასოფლო-სამეურნეო დარგშიც შეუტანია თავისი წვლილი.

ჯუდიჩე მიუთითებს, რომ დონ არქანჯელოს სამეგრელოს მთავრის და მისი მეუღლის ძალიან ლამაზი სურათი დაუხატავს, რომლითაც მეუღლეები ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. ჯუდიჩე აღნიშნავს: **„დასასრულს, 19 ნოემბერს (1634), შაბათ დღეს მივედით იქ სადაც დადიანი იმყოფებოდა, ეს იყო ის ადგილი, სადაც წმინდა გიორგის საპატივცემოდ დღესასწაულობდნენ“** – შენიშვნაში მიწერილი აქვს **„ილორში“.** მაშასადამე XVII საუკუნეში ილორი სამეგრელოს ტერიტორიაა.

ჯუდიჩე შემდეგ წერს: **„სამეგრელო მშვენიერი ქვეყანაა, მაგრამ რადგან მაცხოვრებელი ხალხი მცირერიცხოვანია, თითქმის მთლად ტყედაა გადაქცეული... მეგრული ენა ქართულისაგან განსხვავებული და შესასწავლად ძალიან ძნელია, მაგრამ, ჩვენ არ დავიზარებთ და დიდ გულმოდგინებას გამოვიჩენთ მის შესათვისებლად“.** ჯუდიჩე კმაყოფილია იმით, რომ მთავარი დადიანი ღვთის განგების შემწეობით ხელს უწყობს ჩვენს მისიონს“ (1634-1640 წლების. პერიოდში და შემდეგაც) და ჩვენ **„დორონთის კოჩს (Coruntius cocci) გვიწოდებდნენ“ – „ღვთის კაცს“.**

**„რაც შეეხება სამეგრელოს მთავარს, იგი დღეს ყველა სხვა მთავარზე უძლიერესია, ომში ყველას სძლია და დაიმორჩილა... მათ შორის ის, ვინც შედარებით უფრო ძლიერია. მის გამგებლობაშია 150 თავადი, რომლებიც მთავარს დესპოტური ბატონობის ქვეშ ჰყავს, 8000 კომლი ყმადნაფიცი, რომელთაც ისე ეპყრობა, როგორც მონებს. საომრად გამოჰყავს 35 ათასი ქვეითი და 15 ათასი ცხენოსანი. ზემოხსენებული სამი მთავარი, რომელთა შორის ერთი იმერელია (მეფე), მეორე მეგრელი, ხოლო მესამე აფხაზი, მოვალენი არის ომის დროს დაეხმარონ"** – წერს ლევან დადიანზე ჯუდიჩე (გვ. 85-86).

აფხაზეთის შემდგომი მთავრები – შარვაშიძეები, რომ შარაშიები იყვნენ, ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული იტალიელი მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, რომელიც წერს: **„აფხაზეთის მთავრის შარაშია აბეძანის (შიარასსია ბედსან, სეტემანის) ქალიშვილი დარუნდია (არუნდია) იყო ლევან დადიანის მეუღლე“.**

ჯუდიჩე მიუთითებს, რომ მეგრელი **„დედაკაცები მეტად თავაზიანები არიან... მეგრელები მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან და იცავენ ბერძნული ღვთისმსახურების წესებს. თუმცა მეგრული ენა ცალკე ენას წარმოადგენს და ყველა დანარჩენისაგან განსხვავდება, მაგრამ საღმრთო და საერო წიგნებს ქართულად კითხულობენ და წირვასაც ქართულ ენაზე ასრულებენ, ისევე როგორც ევროპელები საეკლესიო ენად ლათინურს მიიჩნევენ“.**

გარდა ზემოთ აღნიშნულ აფხაზეთის მთავარ სეტემან შარაშიასი, ჯუდიჩს მოტანილი აქვს მასალები ასევე აფხაზეთის მთავარ ბესელიკო შარაშიაზე, ხოლო ქრისტეფორე (ქრისტეფორო) კასტელს თავის ალბომში შეტანილი აქვს ბესელიკო შარაშიას პორტრეტი. აქვე ვაქვეყნებთ ქრისტოფორე კასტელის მიერ შედგენილ სამეგრელოს რუკას, რომლის შესახებ ჯუდიჩე წერს: მთელი კოლხეთის ანუ დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაა კორაქსიდან (კოდორიდან) ფრიზამდე (რიონამდე) მიწები.

ქართველებსა და აფხაზებს არა მარტო შერეული ქორწილები ჰქონდათ, არამედ ურთიერთ შორის მძიძე-მორდუობაც და ერთმანეთის ახლო ნათესავები იყვნენ. სენაკის ოლქის უფროსის კორნელ ბონოზდინი წერს: (თავად ბეკო საბახთარს (საბახტრაშვილი – საბახტარსქუა) აუარებელი კომლი ყმა ჰყავდა აზნაურებისა და გლეხებისაგან მხარეში განთქმულ და გავლენიან კაცად ითვლებოდა. მამა-პაპათა ზნე-ჩვეულებისათვის სიბერემდე იოტის ოდენადაც არ უღალატია. დაიბადა თუ არა, ძიძას მისცეს აფხაზეთში. ძიძა სამ წელიწადს აწოვებდა ძუძუს, ამის შემდეგ ორს წელიწადს კიდევ ისე ჰყავდა სახლში, მერე საბავშვო უნაგირით შეკაზმულ ცხენზე შესვეს. თან გამოჰყვა ძიძა და მისი ნათესავები და მამის სახლში მიიყვანეს. მამამ შვილის გამზრდელ ძიძას თხუთმეტი ცხენი, ოცდაათი ძროხა და ორი კომლი მოჯალაბე აჩუქა; მთელი ეს ჯოგი მოჯალაბიანად აფხაზეთის გზას გაუდგა. ხოლო თავადის ყრმას თვითონ მამა დაუდგა აღზრდელად.

**კლიმენტი შელია,**
**პროფესორი, მეცნიერების**
**დამსახურებული მოღვაწე**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# “სცნათ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტმან განგათავისუფნეს თქვენ!”

ჯერ კიდევ 2003 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, რომელიც შემდგომ წიგნში შევიტანე (იხ. **“ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი”**,2004, გვ. 493-498), ვწერდი: **“...საცოდავია, უფრო მეტი, მონაა, საზიზღარია ადამიანი, რომელსაც სჯერა, რომ ის თავიდანვე მდაბიოა, მარტივი გლეხია და დარწმუნებულია თავის უძლურებასა და მარტო ჭამისათვის არსებობაში”.** ასეთი რწმენა ყოველგვარი ბოროტებისა და თვითლიკვიდაციის საფუძველია, რომელი რწმენის შთანერგვასაც ცდილობდნენ მუდამ ქართველ ხალხში ჩვენი და, ამავე დროს, თავიანთი თავის უბოროტესი მტრები.

წარმოვიდგინოთ ადამიანი განათლებული, ჭეშმარიტების შემეცნების უნარის და მტკიცე ნებისყოფის მქონე, დარწმუნებული თავის ძლიერებასა და შესაძლებლობაში. მას ხომ წინ ვერაფერი დაუდგება. ასეთი ადამიანები სჭირდება დღეს საქართველოს. არიან კიდეც ასეთი ადამიანები, რომელთა ერთობლივი ძალისხმევითა და ახალი თაობის ჭეშმარიტებაზე ზიარებით, საამაყო წარსულის სრული განცხადებით, დაშვებული შეცდომების სიღრმისეული გაანალიზებით და მომავალი ცხოვრების სწორი მიმართულების დასახვით, შესაძლებელია აღიზარდოს მათსავით სულით ძლიერი და სამშობლოსათვის თავდადებული პიროვნებები. როცა ისინი მრავლად იქნებიან ქვეყნად, უდავოდ, შექმნიან თავისუფალ, ბედნიერ და ღირსეულ ცხოვრებას. სწორედ ამას გულისხმობდა მაცხოვარი, როცა გვმოძღვრავდა: **“სცნათ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტმან განგათავისუფნეს თქუენ!”**

მაგრამ როგორ გადავჭრათ ურთულესი პრობლემა, რომ საზოგადოების უდიდესმა უმრავლესობამ შეიცნოს ჭეშმარიტება, რომელიც გაათავისუფლებს მათ უხილავი ბორკილებისაგან და მოუტანს თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას, როცა ადამიანთა გონება დაბინდულია უმეცრების ბნელი და სქელი ფენით?

დღეს საზოგადოების განვითარების დონე იმდენად დაბალია, საზოგადოება ისეა დაბნეული, რომ როცა ქადაგებ საზოგადოების მომავალი კეთილდღეობის შესაძლებლობას, შეიძლება შერეკილად შეგრაცხონ კიდეც, რადგან ვერ გებულობენ ჭეშმარიტებას და სიკეთეზე ქადაგებას ეშმაკურ ფანდად მიიჩნევენ, ჰგონიათ ატყუებ, მათ გაბრიყვებას ცდილობ და, ხშირად, უაზრო, წინასწარ დაპროგრამებულ წინააღმდეგობას ხვდები. ისინი უფრო იმათ ანკესზე ეგებიან და ემხრობიან, ვინც, საბოლოოდ, სამარეს უთხრის თავად მათ. დღევანდელ საქართველოში კატასტროფულად დაშლილია საზოგადოება, არ არსებობს ერთიანი აზრი, ერთი მიზანი. ეკლესიაც ვერ ასრულებს თავის ფუნქციას. მასონთა მიერ მომზადებულ **“სიონის ბრძენთა ოქმებში”** ჩადებული საზარელი გეგმის ზუსტად განხორციელება სახეზეა. ამიტომ მოქმედებს საქართველოში ორმოცი პარტია, რომელთა ლიდერებს, თითქმის ყველას, პირადი ამბიციები ამოძრავებთ და ვერ ურიგდებიან ერთმანეთს იმ მიზეზის გამო, რომ, რატომ იმან გაძარცვოს საქართველო და არა მეო. რა სიკეთეს უნდა მოელოდო პარტიათა ამ ლიდერებისაგან, რომლებიც არჩევნების წინა დღეს თითო ოჯახზე თითო კილოგრამ შაქარს არიგებენ, ან რიყეზე უფასო კონცერტებს მართავენ?

განა არჩევნებამდე არ არსებობდა ეს ხალხი?

მაგრამ, ვაი უბედურებავ, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ისეა სულიერად დაცემული, რომ ამ უსაზღვრო ცინიზმის ავტორთ უფრო უჭერენ მხარს და არა იმათ, ვინც საზოგადოებას მიმართავს წინადადებით: **“ერთობლივი ძალისხმევით მივაღწიოთ კანონის მიღებას სახელმწიფო მოღვაწეთა თავიანთ საქმიანობაზე პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. ეს კანონი უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ პრეზიდენტისა და პარლამენტის მორიგი არჩევნების დროს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი იქნება პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის გასული მოღვაწეობის შეფასების საკითხიც. უმრავლესობა თუ დადებითად მიიჩნევს მათი მუშაობის შედეგებს, მაშინ ყველა იმ პირს, გამონაკლისის გარდა, უნდა შერჩეს ხელფასები, მანქანები, აგარაკები, თუ უნდათ, ჩვენი დროის გმირებად გამოვაცხადოთ კიდევაც. მაგრამ თუ ამომრჩეველთა ორი მესამედი ქვეყნის ხელმძღვანელობის საქმიანობას უარყოფითად შეაფასებს, მაშინ ყველა ეს მოღვაწე დაპატიმრებული უნდა იქნას იმავე ვადით, რა ვადითაც ისინი ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ, ქონების კონფისკაციით (გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ის პირები, რომლებსაც ისევ აირჩევენ)”** (ალ. ჭაჭია, **“რამ დაგვღუპა, რა გადაგვარჩენს?”**, ტ. 1, 2002, გვ. 29-30).

ე.ი. საზოგადოების უდიდესი ნაწილი ხმას აძლევს მათ, ვის მიმართაც პირადი სიმპათიები გააჩნიათ, ან მათ, ვინც ცდილობს არჩევნების წინა დღეს ერთი კილოგრამი შაქრით იყიდოს მთელი ქვეყანა. ასეთი ქმედება იწვევს საზოგადოებაში ურთიერთძულვილს და შლის საზოგადოებას ურთიერთდაპირისპირებულ ჯგუფებად. ამიტომ დღევანდელი ხელისუფლება თავგამოდებით ცდილობს დაამუხრუჭოს საზოგადოების განვითარება, სპობს და ანადგურებს განათლების სისტემას, რომ უმეცარ და ერთმანეთს დაპირისპირებულ საზოგადოებაში თავისუფლად ითარეშოს...

მაშ რაღა ვქნათ? საჭიროა ყოველმა ადამიანმა უარყოს ამქვეყნიური ნეტარება (დროებით მაინც), ჭამოს იმდენი, რამდენიც სიცოცხლეს შეუნარჩუნებს და ეცადოს, განურჩევლად ასაკისა, მთელი თავისი შესაძლებლობა მოანდომოს ჭეშმარიტი ცოდნის შეძენას. მაგრამ განა ამას შესძლებს ის ახალგაზრდა, რომელსაც მშობლები აიძულებენ იაროს უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ იმდენად ბრიყვია, სასწავლებლის ეზოში შედის, აუდიტორიაში კი – არა, ან კიდევ, ფასიან სასწავლებელში ფულს იმიტომ იხდის, რომ არ ისწავლოს და დიპლომი გამომათხოვრებული (უარეს შემთხვევაში კი – ნაყიდი) სამიანებით აიღოს. ძალზე ძნელია ასეთ ახალგაზრდაზე მოახდინო ისეთი გავლენა, რომ მან რადიკალურად შეცვალოს მუქთახორა, დამღუპველი ცხოვრების წესი და დაადგეს სასარგებლო ცხოვრების გზას. ასე იმიტომ ხდება, რომ განადგურებულია განათლების სისტემა.

უმაღლესი სასწავლებლები, რამდენიც საქართველოშია, პროცენტული რაოდენობით, ალბათ, არცერთ ქვეყანაში არაა, მაგრამ უხარისხოა; სიცრუესაც კი დიდი სიამოვნებით შეასწავლიან ზოგი თანამედროვე პროფესორები, ოღონდ ლექტორები იყვნენ და ფული მიიღონ; კატასტროფულად დაბალია სწავლების დონე, ფიქტიურია დიპლომები.

გაუნათლებელი, დაბალი დონის საზოგადოება კი ვერ იმსახურებს დემოკრატიას. დაბალი დონის საზოგადოებას დემოკრატია მთლად ველურ დონეზე დაიყვანს და სრულ დამოუკიდებლობას კი არა, გარდაუვალ გაქრობას მოუმზადებს. ამიტომ, ხელისუფალნო, მიგვიფურთხებია თქვენს მიერ ქვეყნისათვის თავსმოხვეული ევროპული დემოკრატიისათვის, რომლის ქვეყანაში დანერგვის შემდეგ ევროსაბჭოში გაწევრიანებას გვპირდებიან. არავითარი დემოკრატია არ არსებობს თურქეთში, რომელიც **ნატო**-ს წევრია და სადაც ხუთი მილიონი ლაზი ცხოვრობს, მაგრამ იძულებულია, თურქეთის კონსტიტუციის თანახმად, (**“თურქეთში ყველა თურქია”**), თურქად ჩაეწეროს. დემოკრატიას ჩვენგან თხოულობენ ჩვენდა გასაქრობად, თორემ ძლიერი ქვეყნებისაგან არა! ამიტომ, ფარსია მათი დაპირება, ჩვენი ევროსაბჭოში გაერთიანების შესახებ. ამიტომაც ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ჯერჯერობით (რეალურად) საჭიროა ძლიერი, ზემტკიცე ნებისყოფის მქონე, ჭკვიანი დიქტატორივით (კარგი გაგებით) შეუვალი და პრინციპული პოლიტიკური მოღვაწე, მაგრამ ქვეყნისათვის თავგანწირული პატრიოტი (და არა სააკაშვილივით შერეკილი, უმეცარი მექალთანე), რომელიც, უპირველეს ყოვლისა, განუხრელად გაატარებს ქვეყნის ცხოვრებაში მასიური განათლების უზუსტეს პროგრამას და ზემოთ წარმოდგენილ **“ხელისუფალთა პასუხისმგებლობის კანონს”**.

ასეთი უზუსტესი და საქართველოს გადარჩენისათვის აუცილებელი სტრატეგიული პროგრამა აქვს შემუშავებული ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას და დარწმუნებული ვარ, მას ყველანაირი რესურსი გააჩნია მისი ცხოვრებაში ზუსტადვე გასატარებლად. ამიტომ მოვუწოდებ ქართველ საზოგადოებას, რომ მოაგროვონ ხელმოწერები და თხოვონ ბატონ ალექსანდრეს, დათანხმდნეს, კენჭი იყაროს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში.

**კუკური ფიფია,**
**“ფაზისი”-ს და “აია”-ს აკადემიების წევრი**

# ილია მეორე ვლადიმერ პუტინს შეხვდა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე, 14 სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურსა და წარმომადგენელთან ერთად, რფ-ის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შეხვდა. აღნიშნული შეხვედრა რუსეთის გაქრისტიანების 1025 წლისთავის ფარგლებში შედგა.

ასეთი ტიპის შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტსა და მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს შორის პირველად გაიმართა. ვლადიმერ პუტინმა მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს სიტყვით მიმართა, მართლმადიდებლობის მნიშვნელობაზე ილაპარაკა და განსაკუთრებული ყურადღება კონფესიებს შორის დაპირისპირებაზე გაამახვილა.

**“მსოფლიოს მრავალ რეგიონში, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირება ხშირდება. ირღვევა რელიგიურ უმცირესობათა, მათ შორის მართლმადიდებელი ქრისტიანების უფლებები. ვფიქრობ, რომ ეს მწვავე პრობლემა მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის განსაკუთრებული ყურადღების საგანს უნდა წარმოადგენდეს“,** – განაცხადა პუტინმა და დასძინა, რომ დღეს მსოფლიოში **„განსაკუთრებით საჭიროა ცივილიზაციათაშორისი კონფლიქტების დაუშვებლობისკენ მიმართული ძალისხმევა“.** ამასთან, მან აღნიშნა, რომ რუსეთი კვლავაც განაგრძობს კონფლიქტური სიტუაციების პოლიტიკური გზით გადაჭრისაკენ მიმართულ გზაზე სიარულს და ამ პირობებში **„დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რელიგიათა და კულტურათაშორისი პროდუქტიული თანამშრომლობის განმტკიცებას“.**

**„ჩვენ წინ დიდი შრომა გველის. როდესაც სიტყვა „ჩვენ“ ვამბობ, იგულისხმება ერთიანი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც განუყოფელია. ჩვენი საზღვრები ისტორიამ ჩამოაყალიბა და არა იდეოლოგიამ. ამიტომ ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით, როგორც ძმები, რომლებიც ვემსახურებით ერთიან მართლმადიდებელ ეკლესიას“,** – განაცხადა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილმა.

**„ამ წლების განმავლობაში ეკლესიამ გაიარა ურთულესი გზა, გზა განახლების. ჩვენ ვცხოვრობთ დროში, როდესაც გლობალიზაციის ფონზე გვგონია, რომ სულიერი სიმშვიდე კარგავს ძალას, მაგრამ რეალურად ის ჩვენ გადაგვარჩენს. რწმენა, იმედი, კულტურა და ლიტერატურა – ეს ყველაფერი უნდა შევინარჩუნოთ, რომ ჩვენმა ერებმა შეძლონ განვითარება“,** – ბრძანა, თავის მხრივ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ილია მეორემ.

საქართველოს პატრიარქმა რუსეთის პრეზიდენტის წინაშე ლტოლვილთა საკუთარ ოჯახებში ღირსეულად დაბრუნების საკითხი დასვა, რაზედაც პუტინი დაჰპირდა, რომ პირადად დაინტერესდება ამ საკითხით. ეს კი ბევრ რამეს ნიშნავს. ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ პუტინის სიტყვა და საქმე არასოდეს სცილდება ერთმანეთს, მით უმეტეს, თუ იგი ამ სიტყვას საქართველოს პატრიარქს აძლევს (გაიხსენეთ თუნდაც პერევიდან რუსი სამხედრო მოსამსახურეების გაყვანა, რასაც ადრე პუტინი ილია მეორეს დაჰპირდა...)! ასე რომ, ჩნდება ლტოლვილთა წინაშე ათწლეულობით არსებული პრობლემის გადაწყვეტის რეალური გზა, რაც მისასალმებელია, თუ ჩვენი ხელისუფლება თავისი გაუმართლებელი მოქმედებებითა და რიტორიკით არ გადააფიქრებინებს რუსეთს ამ საკითხის მოგვარებას!

საქართველოსა და რუსეთის პატრიარქებმა მოსკოვის მაცხოვრის სახელობის ტაძარში ერთობლივი წირვა აღავლინეს.

ილია მეორე მოსკოვში რამდენიმე დღე დარჩა და ასტრახანიდან ქართველი მეფეების – თეიმურაზ მეორისა და ვახტანგ მეექვსის გადმოსვენების თაობაზე მოლაპარაკება გამართა, რაც, იმედია, საქართველოსათვის სასურველი შედეგით დამთავრდება.

ამასთან, ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული საზოგადოებრივი კვლევის ბოლო მონაცემების თანახმად დადგინდა, რომ საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობა რუსეთთან 63% არ მოსწონს, გამოკითხულთა 46% კი მიაჩნია, რომ საქართველოში დემოკრატია საერთოდ არ არის...

NDI-ის კვლევის მიხედვით, რომელიც **“თბილისი მერიოტში”** პრეზენტაციაზე გამოქვეყნდა, საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობა რუსეთთან 63%-ს არ მოსწონს.

გამოკითხულთა 25%-ს საქართველო-რუსეთის ამჟამინდელი ურთიერთობა მოსწონს, 10%-მა კითხვაზე პასუხი არ იცის, ერთმა კი პასუხზე უარი განაცხადა. ქვეყანაში არსებული დემოკრატიის ხარისხთან დაკავშირებით, გამოკითხულთა 46%-ს მიაჩნია, რომ საქართველოში დემოკრატია საერთოდ არ არის. 38% თვლის, რომ არის, 15%-მა კი პასუხი არ იცის.

კითხვაზე – **“2012 წლის ოქტომბრის შემდეგ თქვენ და თქვენი ოჯახი შედარებით ხართ”** – 12%-მა უპასუხა, რომ **“უკეთესად”**, 72% – **“იგივე მდგომარეობაში”**, 16% – **“უარესად”**, 1% – **“არ ვიცი”**.

შეგახსენებთ, რომ NDI-ის კვლევის საველე სამუშაოები 12-26 ივნისის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 2,338 რესპონდენტთან პირისპირ ინტერვიუს მეთოდით წარმომადგელობითი შერჩევის საფუძველზე ჩატარდა.

**საქ. ინფ.**

# გოდება სანგრებთან

*ბატონო როლანდ, მოგესალმებით! ეს ნარკვევი ამ რამდენიმე წლის წინათ ას ცალად გამომიცეს მეგობრებმა დ რამდენიმე ცალის გაგზავნა მოვახერხე აფხაზეთში! იქიდან კიდევ მთხოვეს ასამდე ეგზემპლარი მაგრამ... დამატებით გამოცემა ვერ მოვახერხე! თუ თქვენს კარგ გაზეთში დაიბეჭდება, იქნებ გავრცელდეს "იქეთა" მხარეს!*

ზაურ ფიფია

## ამონარიდი უბის წიგნაკიდან, ნანახი და განცდილი ჩანართებით

ვიღებ კალამს, ვჯდები მაგიდასთან და ვიწყებ წერას, მაგრამ არ ვიცი რა გამოვა, რომელი ჟანრისა იქნება ეს სტრიქონები.

არასოდეს დამმართნია ასე!

მოთხრობას ჩავიფიქრებდი, — ავად თუ კარგად, ვწერდი მოთხრობას! ნარკვევს, — ნარკვევს! რეპორტაჟს, — რეპორტაჟს!

და ა.შ.

ახლა კი, არ ვიცი, რა ჟანრისა იქნება ეს სტრიქონები!..

...შავი ბორჯალი დამატყდა თავს!

...მახსოვს, ჩემს ბავშვობაში, ჯვარში ხმა რომ დაირხეოდა, აფხაზეთიდან სტუმრები ჩამოგვდიანო ჯვარელებს, მთელი ჯვარი ზეიმობდა იმ დღეებში. იყო ღვინის სმა და იყო ჩონგური, და იყო პეწი და ეშხი, და იყო ჯირითი და მარულა, და იყო ძმობა და სიყვარული, ნათელ-მირონი და მორდუძუძუმტეობა აცისკროვნებდა საქართველოს!

მერე, აქეთურები ეწვეოდნენ აფხაზებს და ზამთრის გრძელ ღამეებში ძმობისა და სტუმარ-მასპინძლობის ბალადას გვიყვებოდნენ წადილად თვალებდაჭყეტილ ბალღებს დედები და მამები, ბებიები და ბაბუები...

ასე იყო ფიფიებთან თუ არშბებთან, ჭანტურიებთან თუ ჭანბებთან, მანიებთან თუ თარბებთან, დადიანებთან თუ შერვაშიძეებთან.

და იყო ბავშვობა ლამაზი, და იყო ქვეყანა ლამაზი, და იყო სიყვარული და ერთობა!

...ცოცხალი რომ ყოფილიყო, ნეტავი იმ დღესო, იტყოდა ბაბუაჩემი, ყამუ ფიფია, მერე და მერე!..

...მერე და მერე, როცა თანდათან შავი ღრუბელი წამოიმართა გუდაუთას თუ სოხუმს, ზუგდიდსა თუ ოჩამჩირეს!

ცოცხალი რომ ყოფილიყო, რას მეტყოდა, ნეტავი, ყამუ ფიფია დღეს?

ქვეშეცნეულად მაინც ვიცი, რასაც მეტყოდა წინაპარი, ოღონდ ის კი არ ვიცი, რას ვეტყოდი მე მას, თვითონ უკვე სიჭარმაგეში შესული კაცი, როგორ გავიმართლებდი თავს?!

მხოლოდ ერთს ვეტყოდი, ალბათ: „იარაღი არ მეჭირა, ბაბუ!“ — და არც ის ვიცი, გამამართლებს თუ გამამტყუნებს ეს „იარაღი არ მეჭირა, ბაბუ!“

შავი ბორჯალი დაგვატყდა თავს!

რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს?!

დგას კითხვის ნიშანი და მე ვერც შევეცდები პასუხის გაცემას მასზე. მე კი არა, ვერაკაცი ვერ გასცემს გულდინჯ პასუხს ჯერ ისევ. ამიტომ ისა სჯობს, აქედანვე მივაპყროთ გონი და ყური გოდებას სანგრის აქეთაც და სანგრის იქითაც, ძმებს, — ერთნაირად დაღდასმულთ და სისხლდადენილთ!

მოდით, პოლიტიკოსებს დროებით მაინც შევატოვოთ თავიანთი ცოდვები, ღმერთი და დრო თავისას მიუზღავს ყველას, ჩვენ კი, ვეფხისა და მოყმის ლეგენდისა არ იყოს, ერთად ვიგლოვოთ საგლოვარი. ამიტომ და მხოლოდ ამიტომ, მოვიკრიბოთ ნებისყოფა და მოვუთხროთ ერთმანეთს „სიმწარე ცრემლთა ჩვენთა“, რადგან გულში ჩაგუბებული ბალღამი ერთიათად დაგვითრგუნავს გონებას! მოვუოხოთ გული ერთმანეთს!

ჯერ აქეთა სანგრებიდან დავიწყებ, მერე იქითაც გადავალ!

...გადავალ იქითა სანგრებშიც!

დიახაც, რომ გადავალ!..

ვიცი, მიმიღებენ აფხაზები, რადგან წინაპართა მოწიწების წინაშე ავტომატები ვერ იწივლებენ, საშინელ ამბავთა მოთხრობისას ქვემეხებიც დადუმდებიან და სანგრის აქეთაც და იქითაც სისასტიკე გონიერებას დაუთმობს სარბიელს!

* * *

...ამ ადამიანებიდან ზოგიერთს სულ სხვა სახელი ჰქვია, სხვა გვარი აქვს, სხვა მისამართი, და მე თუ შევუცვალე იგი, ალბათ, გასაგებია, რატომ!

თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, რომელი სახელი ჰქვია ჭირს? ჭირს უამრავი სახელი ჰქვია, ლხინსაა, ერთი სახელით რომ მოიხსენიებენ, თორემ...

— ქარჩიები თაგილონიდან ვართ, ძირითადად!.. მე და ჩემი ოჯახი გალში ვცხოვრობდით... კარგი მეზობლობა გვქონდა აფხაზებსა და ქართველებს თაგილონში... ნეტავი იმ დღეს!

...მიშა ქარჩიას სადღაც ნათხოვარი ფანერის ნამტვრევებისგან ბუდრუგანა შეუკოწიწებია და სიგარეტსა და ათას წვრილმანს ყიდის ნავთლუღის ბაზარზე. აქ შევხვდი მას!

— ...თავიდან არ წამოვედი, გამიჭირდა წამოსვლა ჩემი მიწიდან, ჩემი სახლიდან... წამოვსულვიყავი ნეტავი!.. უფროსი დაია და დისშვილის მეუღლე იქ დამიხვრიტეს. მეორე დაია მიცემეს და იმას გადაჰყვა... ძმაც სვანეთის გზაზე მომიკვდა... მერეც რამდენი მოკვდა აქ, იქიდან გამოყოლილი უბედურებით გულგაგლეჯილი! იცით რა?! ქათმისგულისოდენა გაგვიხდა, ჩვენ, ფუძეს მოწყვეტილ ხალხს, გულები... სულ მცირე მოფერება გვახარებს და მცირედმა განჩხრეკმაც, შეიძლება გული გაგვიხეთქოს!.. ისიც კი გვწყინს, ლტოლვილიაო, რომ გვეძახიან. ვაჭრობენო, მესმის აქა-იქ... რა ვქნათ? კუბოს ფულიც არა აქვს ბევრს... ეჰ, რა საჭიროა წუწუნი, მარა...

...ვერ წამოვედი, იმათ საფლავებს ვერ შეველიე!..

იმ დღეს, მანქანა რომ მოადგა ჩემს ეზოს, ენვერ პატარაია და მე სამალავიდან გამოვედით. არ შეიძლებოდა სხვანაირად, ექვსნი იყვნენ. არა, მხეცებს სულაც არ ჰგავდნენ. შესახედავად რა უჭირდათ, კარგი ბიჭები იყვნენ, მაღლები, ლამაზები. ერთი იყო დაბალი, მათი უფროსი იყო, ეტყობოდა. ჭიშკარში არ იყვნენ შემოსულნი, რომ მანქანა და ოქროულობა მომთხოვეს. არ მქონდა და საიდან მოვუტანდი. დედა შემაგინეს, მარა ახლა რას ვიზამდი... ისროლეს შესაშინებლად. შეგვეშინდა კიდეც. თუმცა ისიც ხომ ვიცი, ასეთ დროს შიში ვერ გიხსნის. ძაღლების თუ შეგეშინდა, გიკბენენ. ა, შემოდით და თუ რამეს ნახავთ, წაიღეთ-მეთქი. ამასობაში ენვერმა მოახერხა და თვალს მიეფარა. ორივეს ერთად ყოფნა არ იყო საჭირო... არა, ჩვენ შენი მოკვლა არ გვინდა, მით უმეტეს მძღოლი ხარ და გამოგვადგებიო, მერე, ვნახოთო... ჩვენ მანქანა და ძვირფასი ნივთები გვინდაო... რუსულად ლაპარაკობდნენ, ეტყობა აფხაზები არ იყვნენ... ერთს, ა, ამ თითისხელა ჯვარი ეკიდა. ქრისტიანი ყოფილა-მეთქი, გავიფიქრე... ვერაფერი ნახეს ჩემს სახლში. რას ნახავდნენ, რაც არ მქონდა? მე **„ოცდაოთხი“** მინდაო, — ერთმა. შენს მეზობელს ხომ არა აქვს სადმე გადამალულიო. არ ვიციმეთქი, ვუთხარი... როგორ არ იცი, შენი დედაო... ტყვიამფრქვევით (გრძელლულიანი იყო, რაღაც) სულ დახვრიტა სახლის კედლები... ახლა კი მომკლავენმეთქი, გავიფიქრე და შვილიშვილი გამახსენდა პირველად... ოთხი წლის შვილიშვილი მყავს, ხატია ჰქვია. კიდევ კარგი, ისინი მაინც იყვნენ სამშვიდობოს! წამოდიო, მითხრეს და ისევ ეზოში გამიყვანეს. ამ დროს ეზოში ენვერის ძმა, გოგი პატარაია შემოვიდა, ახალგაზრდა კაცი... ეჰ, საწყალი, რა ბიჭი იყო, გოგი!! როგორ, კაცო, იმდენი აფხაზი ძმაკაცი მყავს და ვინ მესვრის ტყვიასო, ამბობდა ხშირად. მოგვიახლოვდა. რაშია საქმე, „ხლოპციო“, ჩვენ ხომ იარაღი არ გვაქვს, რას გვერჩითო, — მიეშინაურა გოგი იმათ. ვინ არის შენი „ხლოპციო“, შენი დედაო... შეაგინეს. სათითაოდ ხართ დასახვრეტიო, და ესროლეს, მარა, ეტყობა, მოსაკლავად არა. გადარჩა-მეთქი, გავიფიქრე. მართლა არ ნდომიათ ჩვენი მოკვლა-მეთქი, მომეიმედა. ე, ბიჭო გაჩუმდი და სახლში შედი-მეთქი, დავუძახე გოგის. ზურგით ვიდექი მისკენ. ვინ მოგცა შემობრუნების უფლება. ე, ბიჭო, წადი აქედან-მეთქი, მეგრულად ვუყვირე, იქნებ ვერ გაიგონმეთქი. ჩევო ტი არიოშო, მომვარდა დაბალი რომ იყო, ის, — გრუზინამ ნიეტუ მესტა ნა ეტომ ზემლეო... მი კაჟდოვო გრუზინა უნიჩტოჟიმ, ა, ტებია ასობა ზასტრელიაემო... ეტოვო სეიჩას პრიკონჩიმო და მიუშვა ტყვიები... მეც მესროლეთ და გამათავეთ-მეთქი, ვიყვირე და შემოვბრუნდი... გოგი ოდის კიბესთან იყო ჩაკეცილი, არ იყო მკვდარი ჯერ. იქნებ გადარჩეს-მეთქი და მისკენ გავიწიე, მარა... ფეხებთან ავტომატი დამიცალეს... საკუთარი სული უფრო თბილი ყოფილა... საუბედუროდ!

მერე, მახსოვს, იმათ მოპარულ მანქანას ვაწვებოდი... არ დაიქოქა. ქუჩაში კიდევ იდგა სამი თუ ოთხი მანქანა, „ჟიგულები“, „რენო-მოსკვიჩები“... როგორც იქნა დაიქოქა მანქანა. მომაბრუნეს და ჩემს ეზოში შევედით ისევ. ოდის კიბეებთან რომ მივედი, სისხლი დავინახე, კიბეებს მიუყვებოდა. აივანზე ბევრი სისხლი იდგა. „ზალაში“ რომ შევედი... ჩქიმი ცოდა, ახავაი!... გოგი სკამლოგინზე იყო გადასვენებული, ცოცხალი იყო ჯერ ისევ... ეტო, სუკა, იშო ჟივოიო, — იღრიალა რომელიღაცამ. იქვე პირსახოცი ეკიდა, კედელზე და მე მას მივვარდი, მინდოდა აუარება სისხლი მაინც ჩამომეწმინდა გოგისთვის... ეს რას უშველიდა, მარა, ხომ იცით... ატაიდიო, იყვირა ერთმა. ნი ატაიდუ-მეთქი, ვიყვირე მეც. მაშინ კონდახი ჩამაზილა გვერდში და... მტერს იმფერი... რვა ტყვია დაახალა, იმ შობელძაღლმა, ისედაც მომაკვდავ კაცს....

...მერე, წავიდნენ. ისევ მოვბრუნდებით და არსად წახვიდე, თორემო... სად უნდა წავსულიყავი, ნეკნებჩალეწილი და ფეხებდასიებული... ენვერის სროლის ხმა გაეგო, რაც იქნება, იქნებაო, უფიქრია და მობრუნდა. რატომ მობრუნდი ენვერ-მეთქი... შემეშინდა, რომ ენახათ, მასაც მოკლავდნენ, ნამდვილად... ან თვითონ შეაკლავდა თავს... რა მოხდა? სროლის ხმა გავიგე და მადლობა ღმერთს, ცოცხალს რომ გხედავო, მითხრა ენვერიმ. მე კი ვარ, ენვერი, ბაბა ცოცხალი, მარა... გოგი, გოგი... ძლივს ამოვიხრიალე ეს სახელი.

...მეტი რა მოგიყვე, ბაბაგე, შენ თვითონ მიხვდები, რა დღეში ჩავარდებოდა ასე, ტყუილუბრალოდ, ყაჩაღურად ძმამოკლული ძმა! მაინც იყოჩაღა ენვერიმ, — ერთი მომეხმარე და მერე მე ვიცი, რასაც ვიზამო. მის ეზოში გადავასვენეთ გოგის ცხედარი... მე რისი გადამსვენებელი ვიყავი... დასიებულ გვერდებს და ფეხებს ძლივს მივათრევდი... ვითომ ვეხმარებოდი, თორემ, რა შემეძლო... როგორც შეგვეძლო, ისე გავაპატიოსნეთ და „ადიალაში“ და ცელოფანში გახვეული მივაბარეთ მიწას. სააღდგომოდ ათლიტრიანი დერგით მქონდა მარანში დამარხული „ადესა“. გავხსენით, თითო ჭიქით მივაგეთ გოგის სახელს პატივი და ენვერიც წავიდა!.. მე ვიცი რასაც ვიზამო!.. შენც წამოდი და სადმე სამშვიდობოს გაგიყვანო, მითხრა, მაგრამ სად უნდა ავკიდებოდი... მას თავისი საქმე ჰქონდა... მერე არც მინახავს...

ორიოდე დღეში კვლავ მობრუნდნენ ის ღვთისპირიდან გადავარდნილები... ეჰ, ერთ ავტომატზე გავცვლიდი მთელს ჩემს ავლას... თუმცა, რა ვიცი?... გამოცხადებული ჰქონდათ, — ერთი „აფხაზის“ მოკვლისათვის ასი ქართველი უნდა დაეხვრიტათ, აბა! ჩემი თავი არ მენაღვლებოდა, მარა მათი ამბავი ვიცოდი, მართლა გააკეთებდნენ დანაქადნებს...

მერე სოფელ-სოფელ დამატარებდნენ ამ ტკივილისაგან გაუბედურებულ კაცს, ბარითა და ნიჩბით ხელში...

კაკო ხარჩილავას სახლთან რომ მიმიყვანეს, ყველაზე მაღალმა, ჯვარი რომ ეკიდა, იმან მითხრა, შემოდი ახლა ამ სახლში და საქმეს მიხედე, თუ სიცოცხლე გინდაო... ჩემთვის უკვე სულერთი იყო ყველაფერი, მარა რაც იქ ვნახე, საშინელება იყო, — კაკო ხარჩილავა, დედამისი და მისი ნათესავი, გაგრიდან გამოქცეული ახალგაზრდა გოგო, სისხლში ეყარნენ შუა ოთახში.. ვაია, თინეფიში ცოდა, ბაბა! ერთი გავიფიქრე, გამოვტაცებ ამ ავტომატს და ერთს მაინც როგორ ვერ მოვუღებ ბოლოს-მეთქი, მარა, ასე ადვილი არ იყო ეს, მით უმეტეს სამოცდაათ წელს გადაცილებული კაცისთვის...

...სათითაოდ მივაბარე მიწას, საცოდავები... მხოლოდ ეს შემეძლო მე!..

...ყოველდღე, ხან ერთგან, ხან მეორეგან, მკვდრებს მასაფლავებინებდნენ... მადლიან საქმეს ვაკეთებდი მაინც...

ბოლოს ბაბუცა კეშელავას სახლში შემიყვანეს. საწყალი, მოხუცი ქალი მარტო ცხოვრობდა, რასაკვირველია, და არ ვიცი აქ საშიშროებას არ გრძნობდნენ, თუ რა იყო? — სუფრა გაეშალათ! ერთმა გამარჯვებისა და არძინბას სადღეგრძელო ასწია. დალიეო, მითხრა. არაფერი მითქვამს, ისე დავლიე. რატომ არაფერს ამბობ, შენი ასე და ისეო და საფეთქელზე მძიმე მუშტი მომხვდა... ერთი მთლად ბაღანა იყო, თექვსმეტი წლისა თუ იქნებოდა. ფული მოიტაო, მითხრა. რუსული ათმანეთიანი მედო ჯიბეში. ვიფიქრე, რომ გამჩხრიკოს, ამასაც მიპოვის და მიმახვრიტავს-მეთქი და ამოვიღე. არ გამომართვა. აბა, გაშალე და საფეთქელზე მიიდეო. გაშლილი ათმანეთიანი ყურთან მივიტანე. უფრო ახლოსო... ერთი, ხუთიოდე ნაბიჯით დაიხია და არც იყო კარგად შემობრუნებული, ტყვია რომ გავარდა. წამით გავიფიქრე, მკვდარი ვარ-მეთქი... ხელში გახვრეტილი ათმანეთიანი მეჭირა!!! ყურში ხარხარი ჩამესმოდა. სნაიპერი ვარო, ჩამძახოდა ვიღაცა... მერე ერთმა თქვა, პრიკონჩიო! — ნი ეტო, — უპასუხა მეორემ — ონ უჟე მიორტვიო, და მართლაც მკვდარი ვიყავი მე...

* * *

ქალბატონი ცაფა, 65 წლის მოხუცი, მისი აზრით **„უხერხული დასახელების“** ქაღალდს ჰყიდდა ქუთაისის ავტოსადგურთან.

— ერთადერთი შვილი მყავს, შვილო... მეტი არავინ მყავს... ვერავინ მითხრა სადაა ჩემი შვილი, არ მინდა უბედურება ვიფიქრო... მოუკვდეს მაგას თავისი გაუბედურებული დედა!.. ველოდები! მანამდე ასე ვირჩენ თავს. ნათესავებთან ვარ შეკედლებული. რაღაც ხომ უნდა ვაკეთო, იმათაც უჭირთ... ვის არ უჭირს დღეს?! ყველას გვიჭირს, მაგრამ ფუძეაყრილი ადამიანის გაჭირვება სულ სხვა ყოფილა... დავწერ თქვენს ამბავსო, რომ მეუბნები, რად უნდა ამას წერა, ყველამ ყველაფერი იცის, ოღონდ არ უნდათ, რომ იცოდნენ... ლტოლვილებს გვეძახიან და უკვირთ, ასე გამწარებულები რომ დავეხეტებით... ღმერთო, შენ ნუ განაცდევინებ მათ შვილებს იმას, რასაც ჩვენ განვიცდით!..

ლუკმაპურის მათხოვარი გაგვხადეთ, რას გვერჩოდით, შვილო?!.

ზაურ ფიფია

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# სამეგრელოს ღირსეული შვილები

**ჩვენი გაზეთის 224-ე ნომერში მკითხველებს დავპირდით, რომ გამოვაქვეყნებდით მასალებს მწერალ ემზარ კვიტაიშვილის წიგნიდან, რომელიც ეძღვნება სამეგრელოს ღირსეულ შვილებს, ტრაგიკული ბედის მქონე მამულიშვილებს გვანჯი ჩიქოვანსა და მუშნი დადიანს. ვასრულებთ დაპირებას და ვიწყებთ ამ ჭეშმარიტად დიდი ადამიანების ბიოგრაფიების ბეჭდვას.**

*(ჩაწერილია ექიმ დავით კვიტაიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში, ორთაჭალაში.*

## ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

აქვე უნდა აღვნიშნო – მე ამ ქალის მოსვლამდე გაგებული მქონდა, რომ ბნელი და ცივი იაკუტიის გუბერნიაში იმჟამად, იაკუტიის ციხეში მჯდომმა პოლიტიკურმა პატიმრებმა ციხის სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ დიდი საპროტესტო გამოსვლა მოაწყვეს. იქ სისხლიანი შეტაკებაც მოხდა. მოკლულ იქნა რამდენიმე პატიმარი და ციხის

ხელისუფალთაც მოუკლეს თავიანთი წარმომადგენლები. ამას მოჰყვა უმკაცრესი სადამსჯელო ზომები; გამოაცალკევეს ორმოცდაათი ყველაზე აქტიური პოლიტპატიმარი, მიუსაჯეს თითოეულს თორმეტ-თორმეტი წლის კატორღა და გადმოგზავნეს ალექსანდროვკის გამანაწილებელ პუნქტში. ეს პუნქტი კატორღის მთავარი კორპუსიდან დაშორებული იყო კილომეტრით და მოთავსებული იყო ერთ მიყრუებულ გორაკთან, ფრიად განცალკევებულ და საიდუმლო ადგილას. მე ვიცოდი, რომ ხსენებული ორმოცდაათი კაცი იქ იმყოფებოდა და თუ ლადო ჯოხაძეც მათთან ერთად იყო, ეს მხოლოდ ახლა გავიგე. ამ ქალმა მითხრა, რომ იგი იყო ცნობილი პოლიტპატიმრის გინზბურგის და. ჩამოსული იყო, რათა ძმას დახმარებოდა. ეს ქალი საზღვარგარეთ სწავლობდა რომელიღაც უნივერსიტეტში. ახლა საზაფხულო არდადეგებზე ჩამოვიდა ძმის სანახავად, მოუხერხებია კიდევაც ეს და გაუცნია ლადო ჯოხაძე, სხვა პოლიტპტიმრებიც სასტიკი მეთვალყურეობით მოთავსებული იყვნენ ალექსანდროვკის გამანაწილებელ პუნქტში. ლადო ჯოხაძესა და მის ძმას დაევალებინათ ამ ქალისათვის, მათ და დასახმარებლად, ჩემთან ფრიად კონსპირატიულად დაემყარებინა კავშირი. ამ ქალმა მეტად საიდუმლოდ მომიყვა, რომ გამანაწილებელ პუნქტში ლადო ჯოხაძის, გინზბურგის, გურგენაძის და სხვათა ინიციატივით შემუშავებულია ორმოცდაათივე პოლიტკატორღელის გაქცევის გეგმა. კერძოდ, მათ ციხის ქვეშ უნდა გათხარონ გვირაბი და გაიქცნენ იმ ჯოჯოხეთიდან, მაგრამ ამას, გარდა დიდი, დაძაბული მუშაობისა და გაბედულებისა, ესაჭიროებოდა სხვადასხვა იარაღე ბი, მიწა რომ გაეთხარათ, აგრეთვე, სასროლი იარაღები თვით პატიმართათვის, მოსალოდნელი გართულების შემთხვევაში გამოსაყენებლად. გინზბურგის ქალმა მთხოვა, რომ ჯერჯერობით კატორღისგან მოშორებით, მეშოვნა საიმედო, უშიშარი ბინა და შემდეგ გამეწია კონკრეტული დახმარება გასათხრელი და სხვა იარაღების მისაწოდებლად. მე აღვუთქვი მას ყოველგვარი დახმარება, რაც კი შემეძლებოდა. სავსებით დავარწმუნე, რომ ჩემი მხრიდან იმედიანად ყოფილიყო. მან უაღრესად დიდი მადლობა გადამიხადა.

მეორე დღესვე შევუდექი ბინის ძებნას და აღმოვაჩინე ერთი მოზრდილი, საერთო საცხოვრებლის მსგავსი დარბაზი, რომელშიც ვიღაც ებრაელ ფუკს ტყავის ქარხანა ჰქონოდა და შემდეგ საერთო საცხოვრებლად გადაეკეთებინა. ეს ბინა მოეწონა გინზბურგის ქალს და დაიქირავა. მე გამიკვირდა თუ რისთვის უნდოდა ერთ ადამიანს ამოდენა დარბაზი და გაოცებულმა ვკითხე, რატომ არ მოისურვა პატარა ოთახი. ამაზე გაეცინა და მითხრა, რომ მასთან რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვლენ ამ განწირულ კატორღელთა ჭირისუფლები.

მართლაც, რამდენიმე დღის მერე დაიწყეს გინზბურგის ქალთან ჩამოსვლა ხსენებულმა ქალებმა. მათგან მაგონდება მარია სევერიანეს ასული ლვოვა, თავის ქმართან ერთად, პოლია ფოკინა, ამხანაგთან ერთად, და მრავალი სხვა საუცხოო ქალი. მე ბაზარზე მიწევდა ხოლმე გასვლა და მახსოვს, ხშირად მომადგებოდნენ და მეკითხებოდნენ: Простите, молодой человек! вы будете Чиковани Гванджи Алексеевич?

საქმე ის გახლდათ, რომ გინზბურგის ქალს ჩამოსასვლელ ამხანაგებთან წერილობითი კავშირი ჰქონდა და აწვდიდა მათ ჩემს გარეგნულ აღწერილობას. ამიტომაც ახალჩამოსული ჭირისუფლები მაშინვე მცნობდნენ და მე მიმყავდა ისინი გინზბურგის ქალთან. სულ რამდენიმე კვირაში იმ ბინაზე ოცამდე ქალმა მოიყარა თავი. ამ დროს, ჩემი სამსახურის მხრივ, მოხდა მოულოდნელი ცვლილება. ერთ საღამოს გამომიძახა ციხის უფროსმა და მეუბნება – თქვენ ამავე ჯამაგირით ახალ სამსახურში უნდა გადაგიყვანოთ, იმუშავებთ კატორღის მთავარ ექიმ ზვერევთან, ციხის ქსენონში. მე მას მადლობა მოვახსენე და წამოვედი. მეორე დღესვე გადამიყვანეს ქსენონის მნედ. ჩემს ადგილას კი დანიშნეს იმ დროს ცნობილი პირი, კატორღელი პეტრე ალექსანდრეს ძე სმირნოვი. მე დიდი ხალისითა და სიამოვნებით შემხვდა ექიმი ზვერევი. ქსენონს ჰქონდა რამდენიმე საწოლი; აქ მომსახურებას ილებდნენ თვით კატორღის დამცველი ასეულის ჯარისკაცები, როცა ისინი საჭიროებდნენ რამდენიმე დღით პირველად სამედიცინო დახმარებას. აქაურ ავადმყოფებზე მე უნდა მეზრუნა – კვების, თეთრეულის და აბანოს მხრივ. ექიმმა ზვერევმა დამიქვემდებარა ორი სანიტარი, რომელთაც კატორღის მთავარი საავადმყოფოდან ჩვენი ავადმყოფებისათვის სადილ-ვახშამი უნდა მოეტანათ. მე მაშინვე გამახსენდა ჩემს საკანში დარჩენილი ამხანაგები – ხარშილავა და ოვანესიანი და ვთხოვე ექიმ ზვერევს, ისინი კატორღიდან გამოეყვანა. ექიმმა მალე დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა და ორივენი სანიტრებად დამინიშნა. ბედნიერებისაგან რომ იტყვიან, ცას ეწივნენ საწყლები. ჩემმა ახალმა თანამდებობამ განსაკუთრებულად გაახარა გინზბურგის ქალი, რადგანაც, როგორც მას გაეგო, განმანაწილებელი პუნქტიდან კატორღის მთავარ საავადმყოფოში გზავნიდნენ სამკურნალოდ ავადმყოფებს. მე კი ამჟამად საშუალება მქონდა, ციხის მთავარი საავადმყოფოს კორპუსში ჩემს სანიტრებს გავყოლოდი საჭმლის მიღების დროს.

იმ თავგადადებულმა ქალმა ასეთი რამ მითხრა – ახლა შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი ვაჟკაცური გაბედულება, ყველაფერი შეიტანოთ საავადმყოფოში და ფრთხილად გადასცეთ პატიმრებს, რომელთა გვარებს წინასწარ გავიგებთო. მე უყოყმანოდ დავთანხმდი ამ წინადადებას და მართლაც, დიდი სიფრთხილით, ერთი თვის განმავლობაში სხვადასხვა სახის დიდძალი იარაღი (ქლიბები, დანები, წერაქვები, ჩაქუჩები, რევოლვერები და სხვა) შევიტანეთ საავადმყოფოში, შემუშავებული გეგმის მიხედვით გადავეცით **„ავადმყოფებს"**, რომლებიც ხშირად იცვლებოდნენ – ერთნი მიდიოდნენ უკან, მეორენი მოდიოდნენ მათ მაგივრად. გინზბურგის ქალი სიხარულს ველარ მალავდა. იგი აღფრთოვანებული იყო ჩემი თავდადებით და მეც, ჩემის მხრივ, ძლიერ მაღელვებდა და მახარებდა ამ ქალის ასეთი მოხერხებულობა და თავგანწირვა ძმისა და მისი მეგობრებისათვის. ჩვენ გვქონდა ცნობები, რომ გვირაბის გათხრა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. ამ დაძაბულ მუშაობაში გინზბურგის ქალს არდადეგები დაუმთავრდა და პეტერბურგს გაემგზავრა. მალე ამის შემდეგ დიდად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა.

### კატორღიდან განთავისუფლება და ირკუტსკში გამგზავრება

იმპერატორმა გამოსცა მანიფესტი და მაშინვე დიდის ამბით მომილოცეს, გამომიცხადეს, რომ კატორღის შემდგომი სასჯელისაგან გათავისუფლებული ვარ, ე.ი. მეპატია სასჯელის ნახევარი, ალექსანდროვკაში სულ დავყავი ერთი წელი და თერთმეტი თვე. მეორე დღეს გამიმზადეს საბუთები, გამისწორეს ანგარიშები და ირკუტსკის გუბერნიის სოფელ ტელმაში მომცეს საგზური. ალექსანდროვკიდან ქალაქ ირკუტსკამდე ოთხმოცდაათი კილომეტრი იყო. მე დავიქირავე მარხილი, მოვეწყვე შიგ ჩემი ბარგით, ყველას დიდი სიყვარულით დავემშვიდობე და გავწიე. მესამე დღეს ჩავაღწიე ციმბირის ამ ცივ ქალაქში და ის ღამე ერთი ხელოსნის ბინაში გავათიე.

დილით გამოვედი ქუჩაში და ვფიქრობ – ხომ შეიძლება, ამ ქალაქში რომელიმე ჩემი თანამემამულე ცხოვრობდეს-მეთქი და ჩამოვლილ მეეტლეს ვკითხე:

Не знаете ли Вы кого нибудь здесь из грузинов?

მეეტლე მაშინვე მომიტრიალდა და მიპასუხა:

Как-же, барин, сейчас-же могу показать Вам грузина...

მე ჩავუჯექი ეტლში და რამდენიმე წუთის შემდეგ ერთი დიდი მაღაზიის ლამაზ ვიტრინასთან ვიდექით. ავიხედე და აბრის წარწერა წავიკითხე: Колбасное производство гр. Н. Гватуа. მეეტლეს ფული გადავუხადე და გაბედულად შევედი მაღაზიაში. კარებში შემომხვდა ჭაღარა, დარბაისელი კაცი და მობრძანდითო, მითხრა. იგი აღმოჩნდა მელიტონ გეგელია. ძლიერ გაუხარდა ჩემი და ნახვა, რადგან იყო ჩვენი ოჯახის დიდი ახლობელი და მოკეთე. მას ყველაფერი გაგებული ჰქონდა – ბიძაჩემის დაღუპვა, ჩემი კატორღაში გაგზავნა და როცა მიხილა მხნედ და ამაყად მყოფი, კოხტად ჩაცმული, სიხარულისგან ცრემლები გადმოცვივდა, გულში ჩამიკრა, გადამეხვია. შემდეგ მომიყვა, რომ იგი მუშაობდა ნესტორ გვათუასთან, რომელსაც ირკუტსკის გუბერნიაში აქვს ძეხვის წარმოების მონოპოლია და დიდი შეძლების კაცი არისო. მელიტონმა საჩქაროდ მოუყარა თავი ნაცნობ ქართველებს და რამდენიმე საათში ყველანი ჩვენთან შეიკრიბნენ – პლატონ კალანდარიშვილი, იოსებ მკერვალი, გრიგოლ გეგიაძე, კოსტა ჩემინავა, პავლე და მოსე ჩიკვაიძეები და კიდევ სხვები, თხუთმეტ კაცამდე. მელიტონმა კაცი გაგზავნა ნესტორ გვათუასთან და აცნობა ჩემი ჩამოსვლის ამბავი. ნესტორმა შემოთვალა, რომ ყველანი მასთან მივსულიყავით ბინაზე. მართლაც, საღამოს, მელიტონის წინამძღოლობით, ვესტუმრეთ ნესტორ გვათუას. ნესტორი უაღრესად სიმპათიური და სასიამოვნო შესახედაობის კაცი იყო. მეტად გულთბილად და ხალისიანად მიგვიღო. მასაც სცოდნოდა ჩემი გადასახლების ამბავი და მითხრა, ვწუხდი, რადგან შენი ადგილ-სამყოფელი არ ვიცოდიო. იმან კი ძალიან გაახარა, კარგად რომ გამოვიყურებოდი და სულ არ ვგავდი ნაკატორღალ ადამიანს. მალე გააწყვეს დიდებული ვახშამი. გაჩაღდა ჩვენებური ვაჟკაცური სადღეგრძელოები. შემდეგ ნესტორმა ჯიბეზე გაიკრა ხელი, ამოიღო ასმანეთიანი და თქვა – ამ კაცს მარტო ვახშამი და ქეიფი არ ეყოფა, დახმარებაა საჭირო, რომ თბილი ტანსაცმელი შეიძინოს და დანიშნულების ადგილზე მშვიდობიანად დაბინავდესო. ჩემდა თავად, ას მანეთს ვდებ და თქვენც მოგიწოდებთო. ესეც დაამატა – ვისაც არა გაქვთ, მე გასესხებთო. მართლაც, ზოგიერთებმა ისესხეს და ძმური და მამაშვილური სიყვარულით შვიდასორმოცდაათი მანეთი გადმომცეს. მელიტონი ადგა და თქვა – გვანჯი ჩემთვის იმდენად ღვიძლი და ახლობელია, მე პირადად ასი მანეთით და მეტითაც ვერ გავისტუმრებო. მერე ხელი კედლისკენ გაიწვდინა და ჩამოხსნა თავისი ძვირფასი ბეწვის ქურქი, რომელიც იმ დროს ოცდახუთი მანეთი მაინც ეღირებოდა და მხრებზე მომახურა; ეს ჩემი საჩუქარი იყოს და ციმბირის სუსხიანი სიცივისგან დაგიცავსო. მე უხერხულად ვიგრძენი თავი და

უარი ვუთხარი, გამოდიო და, რომ კაცისთვის ქურქი უნდა გამეხადა. მას გაეცინა და მითხრა, მეორე რომ არ მქონდეს მაგისთანა, მაშინ ნამდვილად ვერ გაჩუქებდიო. ამაზე ყველანი გამხიარულდნენ, გაეხარდათ მელიტონის საქციელი და ნასიამოვნები სტუმრები დიდი მადლობით დავემშვიდობეთ ნესტორ გვათუას.

### ირკუტსკიდან ტელმაში გამგზავრება და უკან დაბრუნება

მეორე დღეს მელიტონ გეგელიამ სადგურზე გამაცილა და ირკუტსკიდან უსოლიაში გავემგზავრე. წინ სამოცკილომეტრიანი გზა მედო. უსოლიიდან მარილის მოსახარშ ქარხანამდე ოცდაერთი კილომეტრი იყო. ჩავჯექი მარხილში და მივადექი ვანო ჯორჯაძეს. ვანო გადამეხვია და ბინაზე წამიყვანა. გახარებულმა მარი ინოკენტიევნამ დიდის ამბით მომილოცა კატორღიდან გათავისუფლება. საღამოს წამიყვანეს ქარხნის მთავარ ინჟინერთან და გააცნეს ჩემი თავი. მარი ინოკენტიევნამ და ვანო ჯორჯაძემ ინჟინერს დაბეჯითებით თხოვეს, ეშუამდგომლა ჩემთვის უსოლიის რაიოის პრისტავთან, რომ სოფელ ტელმის მაგივრად, რომელიც აქედან რამდენიმე ათეული კილომეტრით იყო დაშორებული, უსოლიაში გავეწერე. ინჟინერმა დახმარება აღუთქვა მარი ინოკენტიევნასა და ვანოს და მეორე დღეს წავედით უსოლიის რაიონის სამმართველოს მწერალთან, რომელმაც გულთბილად მიგვიღო და უყოყმანოდ მომცა პასპორტი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ნება მეძლეოდა თავისუფალი ცხოვრებისა ირკუტსკის გუბერნიის ყველა რაიონში, გარდა ცენტრალური ქალაქებისა. მე ძალზე გამახარა ამ გარემოებამ, ათასი მადლობა გადავუხადე ყველას (ვანო ჯორჯაძეს ჯერ კიდევ ბლომად ჰქონდა დარჩენილი კატორღის ვადა, როგორც ადრე ვთქვი, იგი ათწლიანი პატიმარი იყო). მესამე დღეს ისევ ირკუტსკში გავემგზავრე მატარებლით და მელიტონ გეგელიასთან მივედი. მელიტონს ძლიერ გაეხარდა ჩემი გაწერა უსოლიაში, იმ ღამეს მასთან დავრჩი. მეორე დღეს ჩვენთან მოვიდა პლატონ კალანდარიშვილი. იმასაც ძალიან გაეხარდა ჩემი საქმის ასე გაკეთება და მთხოვა, თავის ოჯახში წავყოლოდი. მადლობა გადავუხადე და გავყევი. მას პატარა ბინა ჰქონდა ქალაქის ერთ-ერთ უბანში, ე.წ. **„მოსკოვის კარებთან"**. მელიტონმა და პლატონმა გადაწყვიტეს, აღარ შეეწუხებინათ ნესტორ გვათუა და სანამ დამოუკიდებლად მოვეწყობოდი, მათ შეეწყოთ ჩემთვის ხელი. მართლაც, დიდი გულშემატკივრობა და ჭირისუფლობა გამოიჩინეს პლატონმა და მელიტონმა, მეტად გულთბილად მეპყრობოდნენ. მეც ვცდილობდი, რაც შეიძლება მორიდებულად ვყოფილიყავი – ფრთხილად დავდიოდი ირკუტსკის ქუჩებში და ვცდილობდი, ოფიციალურ პირებს არ გადავყროდი. პლატონს ძალიან ვუყვარდი და თავისუფალ დროს სულ ჩემთან იყო, არ მშორდებოდა. ძალიან კარგი დამოკიდებულება მქონდა, აგრეთვე, იოსებ მკერვალთან.

ამ დროს რუსეთ-იაპონიის ომი მიმდინარეობდა და რუსეთის არმიაზე, მის წარუმატებლობაზე ცუდი ამბები მოდიოდა. ირკუტსკში ბევრი სამხედრო პირი იყო, მათ შორის უმაღლესი ჩინის ოფიცრებიც. ერთ საღამოს, გაზეთს რომ ვკითხულობდი, ბოლო გვერდზე ასეთ განცხადებას წავაწყდი: „Доктор Эристовь принимает больных". იქვე მითითებული იყო მისამართი და მიღების საათები. მე ძალიან გამიხარდა, ქართველი კაცის გვარი რომ ამოვიკითხე და გადავწყვიტე, მასთან წავსულიყავი, რადგანაც მეტად უხერხულად ვგრძნობდი თავს, არ მინდოდა ასე არალეგალურად ყოფნა და ამასთან ერთად პლატონისაც მერიდებოდა. მეორე საღამოსვე გავემართე აღნიშნულ მისამართზე. ექიმს უკვე დაემთავრებინა მიღება და ისვენებდა. ზარი დავრეკე და კარები მან გამიღო. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი რომ დამინახა, გახარებული შემეგება – მობრძანდით, მობრძანდით, ჩემო **„ზემლიაკოო"**. მე შევედი და გავეცანი ექიმ ნიკო ერისთავს, ოცდათორმეტი წლის კაცი იქნებოდა, სიმპათიური, სასიამოვნო გამომეტყველება ჰქონდა. იგი მოსკოვიდან გაეგზავნათ ფრონტზე და სამხედრო სარდლის ბრძანებით ირკუტსკში შეჩერებულიყო დროებით. მან გულღიად მიმიწვია ჩაიზე, ვახშამს შევექეცით და მერე ნიკოს ვუამბე ჩემს მდგომარეობაზე, ვთხოვე დამხმარებოდა, რათა ირკუტსკში ოფიციალური გაწერა მიმეღო. შემეკითხა, ამ საქმის გაკეთება ვის შეუძლიაო. ვუპასუხე, უშუალოდ გუბერნატორის საქმეა-მეთქი. ამაზე გაეცინა და მიპასუხა, გუბერნატორთან მეტად ახლო დამოკიდებულება მაქვს, ხშირად ერთად პრეფერანსს ვთმაშობთო. ახლავე შეგვიძლია შევუდგეთ საქმესო.

მართლაც, მეორე დღეს ჩავჯექით ეტლში და გავემართეთ. იგი წინასწარ შევიდა გუბერნატორთან. საგუბერნატოროს მრავალრიცხოვანი ჩინოვნიკები ცნობისმოყვარედ მომჩერებოდნენ. მალე ზარმა დაიწკრიალა და გამომიძახეს. კაბინეტში შესულმა დავინახე, რომ ექიმი გვერდით ეჯდა გუბერნატორს. გუბერნატორი მეტად ახოვანი კაცი ჩანდა,

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*



# ჯორჯ ორუელი: „ცხოველების ფერმა“

ამას წინათ, ჩემმა უმცროსმა მეგობარმა გიორგი გობეჩიამ, მასთან მორიგი სტუმრობისას თხელყდიანი წიგნი გადმომიღო და სანამ გადმომცემდა, მოკლე კომენტარი წარუმძღვარა – **„ამ წიგნმა სასწაული მოახდინა თავის დროზე და იგი გამოსვლისთანავე, 1945 წლის განსაკუთრებულ მოვლენად ჩაითვალა, ხიროსიმასა და ნაგასაკში ატომური ბომბების ჩამოგდებასთან ერთად!“**

წიგნი გამოვართვი და ხელში, ინგლისელი მწერლის, ჯორჯ ორუელის **„ცხოველების ფერმა“** შემრჩა. მე არც მახსოვდა მისი არსებობა, რადგან, ის, რაც ამ წიგნშია აღწერილი, **„ღორების მმართველობა“**, ბოლო ოცდაორი წლის მანძილზე თავადვე განვიცადე საქართველოს მოსახლეობასთან, უწინარეს – მის ქართულ ნაწილთან ერთად!

გიორგი ჯერ ოცისაც არ არის და რა გასაკვირია მასზე დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა ორუელის **„ცხოველების ფერმა“**-ს! ეს გავიფიქრე მაშინათვე და წიგნი გამოვართვი.

იმ საღამოსვე წავიკითხე. პირველი, რაც ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივდა, ის ემოციები იყო, რაც ოცი წლის წინ მქონდა ამ წიგნის წაკითხვისას. გიორგისას შევადარე იგი და თითქოს დიდი განსხვავება ვერ ვიპოვე, მაგრამ, მაშინ, ოცი წლის წინ, ევროპის დიდი ნაწილი მოვლილი და საკმაოდ საფუძვლიანად მქონდა შესწავლილი და ცხადია, ჩემი მაშინდელი ემოციები მაინც განსხვავებული იყო!

ასევე, ბოლომდე ვერ დავეთანხმები მთარგმნელის წინასიტყვაობის ბოლო აბზაცის პირველ ნაწილს: **„ნაწარმოები არის პოლიტიკური სატირა რუსეთის რევოლუციაზე, მაგრამ თავისი ფილოსოფიური განზოგადებით იგი სცდება ამ კონკრეტულ ფაქტს და წარმოადგენს მხატვრულ გამოკვლევას საერთოდ ტოტალიტარიზმის რაობისა. მიჩნეულია, რომ ორუელის ძალის მწერალი-პოლემისტი ინგლისურ ლიტერატურას არ ჰყოლია ჯონათან სვიფტის შემდეგ“.**

კეთილი და პატიოსანი!

როგორც ზემოთ ითქვა – წიგნი 1945 წლის აგვისტოში გამოვიდა, როცა ორუელის **„ცხოველების ფერმის“** ღორების შთამომავლებმა, ხიროსიმასა და ნაგასაკში ორი ატომური ბომბი ჩამოაგდეს და მილიონობით უდანაშაულო და უმწეო ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმეს, ათეულობით მილიონებს კი მომავალი მოუსპეს!

მანამდე კი, ჯორჯ ორუელის თანამემამულეებმა, სამი თვით ადრე, ვიდრე მეორე მსოფლიო ომი დამთავრდებოდა, უფრო ზუსტად, როცა მეორე მსოფლიო ომის ბედი გადაწყვეტილი იყო და მხოლოდ დამარცხებული გერმანიის მომავალი უნდა დაედგინათ – მასირებული დაბომბვებით მიწასთან გაასწორეს: ჰამბურგი, ბრემენი, კიოლნი, ბონი, დიუსსელდორფი, მაინის ფრანკფურტი, მაგდებურგი, ლაიფციგი... მარტო დრეზდენში ერთ ღამეში სამასი ათასი უმწეო მოსახლეობა – მოხუცები, ქალები, ბავშვები და დაჭრილები ამოხოცეს, რომელთაც არანაირი გავლენის მოხდენა არ შეეძლოთ ომის ბედზე, რადგან იგი, როგორც ზემოთ ვთქვით, უკვე გადაწყვეტილი იყო!

ყველაფერი ეს ჩაიდინეს ინგლისელებმა და **აშშ**-ს სამხედრო საჰაერო ძალებმა, რომელთა საქციელი არაფრით განსხვავდებოდა ჯორჯ ორუელის **„ცხოველების ფერმის“** ღორი მმართველებისგან!

მოგვიანებით კი, როცა ომისშემდგომი გერმანელი ერის ბედის გადაწყვეტის საკითხი დადგა, სწორედ ამ ქვეყნებმა (მათ დაემატა საფრანგეთი) გამოუტანეს გაუგონარი განაჩენი გერმანელ ერს (და არა ნაცისტებს!), რომ ისინი აღგვილიყვნენ პირისაგან მიწისა!

რომ არა, მაშინდელი **„სსრკ“**-ს მმართველის, მეორე მსოფლიო ომის ბედის გადამწყვეტის, იოსებ სტალინის კატეგორიული მოთხოვნა – **„არაფერ შუაშია გერმანელი ხალხი, ჰიტლერები მოდიან და მიდიან, გერმანელი ერი კი იქ რჩება, სადაც იგი დაიბადა და წარმოიშვა!“** ჯორჯ ორუელი-ს **„ცხოველების ფერმის“** შთამომავლები სისრულეში მოიყვანდნენ განაჩენს, რომელიც პოტსდამის კონფერენციაზე, ზემოთხსენებული სამეულისგან თითქოს განსხვავებულად ჟღერდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, ომის შემდგომ, გერმანელი ერის გაქრობას გულისხმობდა:

**ინგლისი – „გერმანელები გავასახლოთ მისი ტერიტორიიდან და გავფანტოთ მთელს მსოფლიოში, რომ ვერასოდეს შეძლონ ერთად თავმოყრა!“**

**საფრანგეთი – „გერმანიის ტერიტორიაზე შემოვასახლოთ შავკანიანები და მხოლოდ ისინი დავაწყვილოთ გერმანელ ქალებთან, რომ არ მოხდეს გერმანელების გამრავლება და კაცობრიობას ავაცილოთ მომავალი ომები!“**

**აშშ – „გერმანელებს ავუკრძალოთ ერთმანეთში ქორწინება და იქ ჩამოვასახლოთ დიდი რაოდენობით ფერადკანიანი მამაკაცები!“**

ბუნებრივია, ამ ანტიადამიანური გერმანოფობიის შესახებ კარგად უწყოდა ჯორჯ ორუელმა, ბერნარდ კრიკის დახასიათებით **„ყველაზე დიდმა მწერალ-პოლემისტმა, რომელიც ინგლისს ჰყოლია სვიფტის შემდეგ“** და არ დაარქვა კონკრეტული სახელი **„ღორების სახელმწიფოს“**, რადგან ზემოთხსენებულთა ნამოქმედარის და გადაწყვეტილების შემდეგ უსინდისობა იქნებოდა, რომელიმე სხვა ქვეყნისთვის, შეურაცხყოფა მიეყენებინა და ცხოველების ფერმა ეწოდებინა.

აქ კი, ნამდვილად ვხედავ ორუელის სიდიადეს!

რაც შეეხება მთარგმნელის განმარტებას, რომ **„ნაწარმოები არის პოლიტიკური სატირა რუსეთის რევოლუციაზე“,** ღიმილისმომგვრელია, რადგან ქართველმა მკითხველმა კარგად იცის – მაშინ, როცა ეს წიგნი ქართულად გამოიცა, ზემოთთქმული ფრაზა ნამეტნავად პოპულარული იყო!.. თუმცა არც მიშა-შეურაცხადისა და მისი, ქვეყნის დამაქცევართა ხელში დაუკარგავს მას აქტუალობა!

...მას შემდეგ, რაც ეს წიგნი დაიწერა, როგორც იტყვიან **„ბევრმა წყალმა ჩაიარა“** და მთარგმნელის წინასიტყვაობის ბოლო აბზაცის მეორე ნაწილი უსიტყვოდ მართლდება: **„...მაგრამ თავისი ფილოსოფიური განზოგადებით იგი სცდება ამ კონკრეტულ ფაქტს და წარმოადგენს მხატვრულ გამოკვლევას საერთოდ ტოტალიტარიზმის რაობისა!“**

ხიროსიმასა და ნაგასაკის შემდეგ **„ცხოველების ფერმის“** ევროპელმა და ამერიკელმა შთამომავლებმა, კონტინენტი არ დატოვეს, ათეულობით ქვეყანა დააწიოკეს **„მათი უკეთესი მომავლის მიზნით“**, რომლებსაც დღემდე სდით სისხლი, ზოგ მათგანს ნახევარი საუკუნის წინანდელი ჭრილობებიდან, **„უკეთესი მომავლის“** მოლოდინში!

...მარტო კორეისა და ვიეტნამის მაგალითი იკმარებს, ნათქვამის დასტურად, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ!

მას შემდეგ, რაც **„სსრკ“** დაინგრა, ზემოთნახსენები ლოზუნგი **„დემოკრატიით“** შეიცვალა, რასაც უამრავი აშენებული და დამშვენებული ქვეყანა შეეწირა.

ჩემს თაობას კარგად ახსოვს ევროპის მშვენება – იუგოსლავია, რომელსაც არაფერი აკლდა, გარდა **„ცხოველების ფერმის“** შთამომავალთა მიერ შემოგდებული **„დემოკრატიისა“**, რაც მათი გაგებით და კარნახით – კაცის-კაცზე, ქალის-ქალზე ქორწინებას, ადათ-წესების, ზნე-ჩვეულებების, ერის წიაღში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციების უარყოფას ნიშნავს!..

მოინდომეს და განახორციელეს კიდეც!

– იუგოსლავიის ნანგრევებზე წარმოიშვა რამდენიმე ჯუჯა სახელმწიფო, რომლებიც უსაფრთხოდ საცხოვრებელი მას შემდეგ გახდება, როცა **„დემოკრატიის“** დასამყარებლად ჩამოგდებული ათასობით აუფეთქებელი ბომბებისგან გაიწმინდება! აღარაფერს ვამბობ ათეული ათასობით ადამიანის სიცოცხლეზე **„დემოკრატიის“** დამყარებას პროცესს რომ შეეწირა!

ამ თემაზე, დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევ წაიკითხოს არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისტორიული მემკვიდრეობის“** მიერ, ახლახან გამოცემული, თავზარდამცემი გულახდილობით შედგენილი წიგნები **„ნატო მაკიაჟის გარეშე“** და **„ღმერთო შეუნდე ამერიკას“.**

ფუი ეშმაკს! რად გვინდა წიგნებში ქექვა – გასულ კვირას, ნაძირალა სააკაშვილის ჩასვრილ საქმეთა მისაფუჩეჩებლად, თბილისში ჩამოსულმა, ნატოს გენმდივანმა რასმუსენმა, იმის ნაცვლად, ეთქვა – **„სამართალმა უნდა იზეიმოს, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, უდანაშაულოს სამართალი აღუდგეს და განწმენდილები შევიდეთ ნატოშიო!“**, რომ იტყვიან, გადაატრიალა **„პლასტინკა“** და – **„სანამ მიმდინარე წლის 17 მაისის დემონსტრაციაზე პედერასტების უფლებების დარღვევისთვის ბოდიშს არ მოიხდით, არაფერი გამოგივათო!..“**

და, ასე დაგვტოვა ორ ცეცხლს შუა:

**– ქართველად დარჩენა, რაც ყოველდღე უფრო რთულდება!**

იმიტომ, რომ ჯიუტად გვთავაზობენ **აფრების აშვებას და უზნეობის მორევში გადაშვებას!**

...მკითხველი რომ არ დავაბნიოთ, განსაკუთრებით ისინი, ვისაც (ჩემი არ იყოს) დიდი ხანია დაავიწყდა ჯორჯ ორუელის **„ცხოველების ფერმა“,** საჭიროდ მიმაჩნია შევახსენო, თუ რას ეხება ეს, თავისი დროის, მართლაც საინტერესო ნაწარმოები!

თავისი დროის-მეთქი, იმიტომ აღვნიშნე, რომ, მისი გამოქვეყნების შემდეგ, ბევრად უარესიც კი ვიხილეთ, ზემოთნახსენები ქვეყნების მმართველთა მიერ, უცხო ქვეყნების ტერიტორიებზე ჩადენილი, ვიდრე ორუელის წიგნშია აღწერილი:

*– ერთ ძუნწ ინგლისელ მესაქონლეს, საკუთარ **„მამულში“** ცხოველები აუჯანყდნენ და იგი საკუთარი სახლიდან გააძევეს. გამარჯვებულმა ცხოველებმა როგორც წესი და რიგია, შექმნეს სახელმწიფო და მორალური კოდექსი, რომელთა საფუძველზე ახალშექმნილ **„ცხოველების ფერმა“** სახელმწიფოში, ყველა თანაბარი, ადამიანებისგან დამოუკიდებელი და ბედნიერი უნდა ყოფილიყო. მეთაურად ღორი აირჩიეს, რომელმაც თავის მხრივ ღორები შემოიკრიბა გარშემო და ენერგიულად შეუდგნენ საქმეს... მუყაითმა შრომამ, გარკვეული პერიოდი, შედეგიც გამოიღო და წარმატებაც უნდა ეზეიმათ, როცა თავზე დაენგრათ მათი უპირველესი იდეა – აეშენებინათ წისქვილი, რომელიც მათ გაამდიდრებდა და ცხოვრებას შეუმსუბუქებდა!.. მაგრამ, ღორის გენეტიკურმა საქციელმა – **„...ღორი რომ გაძღება, დარჩენილ საჭმელს კი არ შეინახავს, დინგით გობს გადააბრუნებს, რომ იგი სხვებმა არ იწილადონ!“** – მალევე იჩინა თავი და მიიღეს ის სახელმწიფოებრივი მოდელი, რომელიც დღეისათვის არის გაბატონებული დედამიწის ზურგზე და მას ინგლისი, ამერიკა, რუსეთი და ზოგადად ევროაგაერთიანება (ყოფილი **„სსრკ“**-ს დამახინჯებული მოდელი) წარმოადგენენ!*

...სამწუხაროდ, ნიჭიერი მწერლის ფანტაზიით შექმნილმა **„ცხოველთა სახელმწიფოს ექსპერიმენტმა“** ყველა ზემოთხსენებულ ქვეყნებს გვერდი აუარა და იგი ოცდაორი წლის წინ, საქართველოში დაფუძნდა მცირეოდენი სახეცვლილებით – **„ადამიანების სახელმწიფო – ღორების მმართველობით“** და მას ჯორჯ ორუელის თანამემამულე, ევროპელებმა და ამერიკელებმა **ედუარდ შევარდნაძე** ჩაუყენეს სათავეში.

ამ დროიდან დაიწყო საქართველოს მოსახლეობის გაცხოველება და ქვეყნის საზღვრების შემოკრეჭვა, რადგან, ევრო-ამერიკელთა მიერ დაგეგმილი **„საქართველო-ცხოველების ფერმა, ედუარდ შევარდნაძის თავკაცობით“**, მაშინდელი საქართველოს მთლიან ტერიტორიას არ ითვალისწინებდა, იგი ორჯერ დიდი აღმოჩნდა დაგეგმილზე და ამიტომაც გაგვინახევრეს!

...ისტორიის სიღრმეებში ყურყუმალაობას შევეშვათ, გუშინდელი დღე გავიხსენოთ, როგორი მათხოვართა ხროვა (რომ იტყვიან – ცალ-ცალი კალოშით!) მოვიდა ე.წ. **„ვარდების რევოლუციით“** ქვეყნის სათავეში მიშა-სააკაშვილის თავკაცობით, რომელთაც სწორედ ორუელისეული **„ცხოველების ფერმის“** თანაბარუფლებიანობის და ანტიკორუფციული სახელმწიფოს მოწყობის კოდექსი ააფრიალეს, მაგრამ ცხრა წლის მანძილზე, გაუგონარი ქონება დააგროვეს (ახლაც აგროვებენ!) და ახალმა ხელისუფლებამ, ხელი რომ შეუშალა ქვეყნის ძარცვასა და ნგრევაში, ფეხზე დააყენეს ევროპელი თუ ოკეანის გაღმელი, ორუელის **„ცხოველების ფერმის“** შთამომავლები, ასე ხშირად რომ სტუმრობენ საქართველოს, გასული წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ!

ზოგადად ვიტყვი – არაფერი გვაქვს სტუმრის საწინააღმდეგო **„სტუმარი ღვთისაა“**, მაგრამ არა ისეთი, როგორიც ზემოთნახსენები რასმუსენი და ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლები არიან!..

რასაკვირველია, სტუმარს სტუმრისა უნდა მიეგოს, მაგრამ მისი გადასაწყვეტი არ უნდა იყოს ჩემს ქვეყანაში – ქურდის, კაცის მკვლელის, ქვეყნის დამაქცევარის და კიდევ სხვა ამ კატეგორიის დამნაშავეთა დასჯა!..

გასული წლის ოქტომბრამდე, ორმოცი ათასი თავისუფლებააყრილი ადამიანი იჯდა საკაშვილ-მერაბიშვილის ციხეებში. ყველასათვის ცხადია, მათგან ნახევარი, სრულიად უდანაშაულოდ იყო პატიმრობამისჯილი, მაგრამ ზემოთნახსენებ ევრო-ამერიკელთაგან არავის შეუწუხებია თავი ათასობით უდანაშაულოთა მოსაკითხად! უფრო მეტიც, ყოფილ ხელისუფლებას, ბოლო მომენტამდე საქციელს უქებდნენ, მაგრამ, როგორც კი დარწმუნდნენ, გასული წლის ოქტომბრის არჩევნებში, მათი ფავორიტების მოსალოდნელ მარცხში, ზურგი შეაქციეს, მაგრამ, თურმე არა საბოლოოდ, რადგან მალევე გაჩნდა საშიშროება, რომ გასული წლების კრიმინალურ საქმეებში, მათი მონაწილეობაც გამოაშკარავდებოდა!..

ამიტომაც აატალახეს თბილისის აეროპორტი, მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების წინ **„მაღალი ჩინის“** ევრო-ამერიკელმა სტუმრებმა, ჩემო ძვირფასო მკითხველებო, თორემ მერაბიშვილები და ახალაიები მათ ცალ ფეხზე ჰკიდიათ!..

ყველაფერი ეს, ცხადზე უცხადესია, მაგრამ, ჩვენი ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ, ორუელის **„ცხოველთა ფერმის“** ღორი შთამომავლები, საგულდაგულოდ მალავენ და ფუთავენ საქართველოში დატრიალებული, ყველა უბედურების სათავეს – **„შევარდნაძე-უხსენებლს“**!

ნურავინ ჩათვლის, ყავლგასულად, ან გადამეტებულად, მიხრწნილი მოხუცის გახსენებას, რადგან უთავბოლო ყაყანის გარდა, ქართველ ერს და ქვეყანის ერთგულ მოსახლეობას დღემდე სერიოზულად არ განუხილავს, ზემოთნახსენები, მყრალი გვამის მიერ ჩადენილ ბოროტებათა ვრცელი ნუსხა, გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, რომელიც მარტო – 1991-92 წლების პუტჩით; ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევით; აფხაზეთში, ოცდაათი ათასი, უაზრო ომში ჩაკლული გენოფონდით; სამასი ათასი უსახლკაროდ დარჩენილით, ქვეყანაში დამკვიდრებული შიმშილით და სიღატაკით არ ამოიწურება!..

მე, ადრე, არა ერთხელ მითქვამს და დამიწერია – *ქვეყანა ყველა ვალს გადაიხდის, ჭრილობებს მოიშუშებს, დანგრეულს ააშენებს, მაგრამ არაფერი ეშველება იმ ორმოცდახუთი ათას, თხუთმეტიდან – ოცდაათ წლამდე ახალგაზრდას, 1993 წლიდან მოყოლებული, უცხოეთის არატრადიციულ ქვეყნებში, რომ გააგზავნა **„ედუარდ-უხსენებელმა“** გასაწვრთნელად (და, არა განათლების მისაღებად!) და გასული საუკუნის ბოლოს, სამშობლო საქართველოს დაუბრუნდნენ – სარწმუნოება, ზნეობა, ტრადიცია და ეროვნებადაკარგულნი!*

აღასრულა **„ედუარდ-უხსენებელმა“** თავისი განზრახვა და ჯორჯ ორუელის **„ცხოველების ფერმის“** ევრო-ამერიკელ მემკვიდრეთა თანადგომით, სწორედ მათი **„გაწვრთნილი კადრები“** მოიყვანა, 2003 წელს, საქართველოს ხელისუფლებაში!

ეს წერილი არ ითვალისწინებს, სახელმწიფოს სათავეში ყოფნისას, მათი ნამოქმედარის განხილვას, მაგრამ უნდა შევახსენო მკითხველს, თუ როგორ უყურებდნენ მათ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას მათი ხელისუფლებაში მომყვანები:

*–როცა ამერიკელებმა, პრაქტიკანტ ქალთან ფლირტს, კინაღამ გადააყოლეს პრეზიდენტი კლინტონი, გერმანელებმა კი ქვეყნის პრეზიდენტ ვულფს, მეგობრისგან მცირე საპროცენტო განაკვეთით სესხად აღებული ხუთასი ათასი ევროს გამო (ქართული მასშტაბებით სასაცილო თანხა!) თანამდებობა დაატოვებინეს, საქართველოს დამაქცევარი მიშა-შეურაცხადის განკითხვის და მისი კრიმინალური გარემოცვის თავისუფლების აღკვეთის გამო, იგივე ამერიკელები და ევროპელები, მთელი ქვეყანის მოსახლეობას ყურებს გვიწევენ!*

–რას ნიშნავს ყველაფერი ეს?

–გამოდის, რომ, ის, რაც მათ ქვეყნებში დაუშვებელი და მიუღებელია, ჩვენთან დასაშვები და მისაღებია?

–ე.ი. ჩვენ, ისინი, არასრულყოფილებად მიგვიჩნევენ და ექსპერიმენტის დონეზე განგვიხილავენ!

აი, ეს არის ორუელის **„ცხოველების ფერმის“** თანამედროვე შთამომავალთა დამოკიდებულება გარე სამყაროსადმი და მათი ნამდვილი სახე, რომლებიც დღეს მსოფლიოს მართავენ და ყველა იმ უზნეობას სთავაზობენ, ზემოთ რომ ვახსენე **„დემოკრატიის“** მათეული გაგების განმარტებისას!

სწორედ ამას უფრთხოდა ჯორჯ ორუელი და 1945 წელს გამოქვეყნებულ ნაწარმოებში **„ცხოველების ფერმა“,** კაცობრიობას აფრთხილებდა, რომ – **ფაშიზმის დამარცხებით არ დამთავრებულა კაცობრიობის ტრაგედია, მას უფრო დიდი და მკაცრი გამოცდა მოელის, რომელსაც, ღორების შთამომავლების მიერ მართული ქვეყნები ჩაიდენენ მომავალში!**

ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად, მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებ, წაიკითხოს საზოგადოება **„ისტორიული მემკვიდრეობის“** მიერ ახლახან გამოცემული წიგნები **„ნატო მაკიაჟის გარეშე“** და **„ღმერთო შეუნდე ამერიკას“**!

ზოგიერთი, რუსთმოძულე კოსმოპოლიტი, რომ არ გამიბრაზდეს, მე მას შევახსენებ გადახედოს გაზეთ **„ილორი“**-ს არქივს და ყურადღებით წაიკითხოს, თუ რას ვწერდით ჩვენ რუსული მეზობელთმოძულეობის პოლიტიკის შესახებ. იქვე, იმასაც გაეცნობიან, რომ რუსებთან არსებული პრობლემების დიდი უმრავლესობა, ქართველ სახელმწიფო მოხელეთა უგუნური საქციელის (დიპლომატიას მას ვერ ვუწოდებ!) მიზეზით ხდებოდა. კიდევ ერთხელ გაიხსენებენ (ან პირველად შეიტყობენ), რომ ედუარდ უხსენებელი, საკუთარი ტყავის გადასარჩენად, მისივე სურვილით, 1992 წლის აპრილში, საგანგებო დავალებით ჩამოვიდა საქართველოში, რაც, მისივე მოწყობილი პუტჩის შემდეგ, ქართული სახელმწიფოს საძირკვლების მოშლას ითვალისწინებდა, რაც, უცხოური იმპერიული გეგმის ნაწილს შეადგენდა და პირნათლად შეასრულა კიდეც!

ორუელის **„ცხოველების ფერმის“** მემკვიდრეთა ფავორიტი, მიშა-შეურაცხადისა და მისი გუნდის კრიმინალური საქმიანობა, დეტალურად აღწერა ამერიკელმა ჟურნალისტმა, პოლ რიმპლმა, წიგნში **„ვის ეკუთვნოდა საქართველო 2003-2012“** წლებში, სადაც დაუფარავადაა მოთხრობილი, თუ როგორ ძარცვავდნენ ქვეყანას და როგორი მოხერხებულობით გაჰქონდათ ნაძარცვი ოფშორულ ზონებში, სადაც ეშმაც კი ვერ მიაგნებს მათ კვალს!

და ბოლოს, სულ ცოტა ხნით მივუბრუნდები, წერილის დასაწყისში ნახსენებ, 1945 წელს და აქვე დავსძენ: 1945 წელს, არაფერი მომხდარა იმაზე მეტი და თვალსაჩინო, ვიდრე ფაშიზმის დამარცხება იყო! თუ კი, ვინმეს ეჭვი შეეპარება ამ შეფასების სიმართლეში, მან უპირველესად, ისტორიის არქივებს უნდა მიმართოს, რა საკვირველია, თუ სურს ჭეშმარიტების დადგენა. რადგან, არა მარტო საქართველოში, კატასტროფულად ყალბდება გასული საუკუნის ისტორია იმ დასავლეთში, ქართველთა გარკვეულ ნაწილს რომ სამაგალითოდ მიაჩნია.

ყველაფერ ამის ფონზე, მენანება ქართული გენი და ქართული ნიჭი, რადგან მავანნი: **ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმის“ შთამოამავალთა მიერ გონებადაბინდულ ჩვენს თანამემამულეებზე დაყრდნობით ცდილობენ, სახე უცვალონ ისტორიის ჭეშმარიტ ფურცლებს!**

**დავით ქობალია**

# გაცოცხლებული ისტორია ღია ცის ქვეშ. საჯალაბო სახლი სამეგრელოდან

**გაზეთ "ილორის" მთავარი რედაქტორისაგან:**

**სიყმაწვილისას სასკოლო არდადეგებს ონტოფოში ვატარებდი ხოლმე ჩემს დეიდასთან. ახლაც მახსენდება ნოღელაში მობანავე თანატოლების ჟრიამული, წყურგილეში თევზებისა და კიბორჩხალების ჭერა, სეფიეთის მიმდებარე მინდვრებზე ბურთის დევნა, ღამით კლუბში ფილმების ცქერა, საოცრად თბილი და სალმიანი ხალხი... მართლაც ძნელი ყოფილა ბავშვობის დათმობა, ამიტომ, ახლა მხოლოდ იმ სულიერ "არტეფაქტებს" ვეძებ გაფაციცებით, რომელიც თუნდაც წამიერად დამაბრუნებენ ჩემს ბავშვობაში. სწორედ ამიტომ, უზომოდ გამეხარდა, როცა შესანიშნავი ავტორის, ბატონ ნოდარ შოშიტაიშვილის წერილი წავიკითხე, რომელსაც ვთავაზობ ჩვენი გაზეთის მკითხველებს.**

*„**ღია ცის ქვეშ**" მუზეუმის დაარსებას აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ მრავალი წელიწადი შეალია. ამგვარი მუზეუმის დაარსების მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის დედაქალაქში **"გადმოსახლება"** შესაბამისი ინტერიერითა და ტრადიციული ყოფითი ელემენტების გაცოცხლებით.*

*1960 წლის 27 აპრილიდან კუს ტბის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე ახალმა **"მიკროსაქართველომ"** დაიდო ბინა. დღეს აქ საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა წარმოდგენილი.*

## მეგრული "პიტაფიცარი"

აბაშის რაიონში, მდინარეების ნოღელასა და აბაშისწყალს შორის ერთი უძველესი სოფელია, ონტოფო, ტრადიციული საოჯახო ყოფითა და კულტურით, რწმენა-წარმოდგენებით... აქ დღეს სამასზე მეტი კომლი სახლობს.

დავითაიების საჯალაბო სახლიც ამ სოფელში მდგარა.

საცხოვრისის მშენებლობის უძველეს ტრადიციებზე საქართველოში არქეოლოგიური მონაცემებიც მეტყველებენ. გათხრებით მოპოვებული მასალებიდან ჩანს, რომ უკვე პალეოლითში, ძველი ქვის ხანაში, დასავლეთ საქართველოში აღნუსხულია წრიული ფორმის ნაგებობა ბოძებისთვის განკუთვნილი ღრმულებით. ნაგებობა სავარაუდოდ მოწნული იყო. ასეთი, ფაცხის ტიპის უმარტივესი საცხოვრებლები გავრცელებული იყო მთელი კოლხეთის დაბლობზე, ხოლო სამეგრელო-აფხაზეთში ბოლო დრომდე შემორჩა – როგორც სამეურნეო სათავსი ან საქორწინო ფაცხა, რომელშიც დროებით, თაფლობის თვეს ატარებდნენ ახალდაქორწინებულნი.

დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, საცხოვრისი ტრადიციულად ხისა იყო. წნული ფაცხის შემდგომ გავრცელდა ხის მორებისგან შექმნილი ძელური სახლები, ანუ ჯარგვალის ტიპის საცხოვრისი.

საშენ მასალად გამოიყენებოდა გამძლეობით გამორჩეული მუხა და წაბლი, ზოგ შემთხვევაში დასამუშავებლად უფრო იოლი თელა და ცაცხვი. მაღალმთიან ზონებში მათ ენაცვლებოდა ფიჭვი და ნაძვი, ზოგჯერ სოჭიც. ხანდაზმულ ოსტატთა გადმოცემით, ონტოფოში იცავდნენ მამა-პაპიდან მომდინარე ტრადიციას: სამასალე ხე, ჭია რომ არ გასჩენოდა, აუცილებლად სავსე მთვარისას უნდა მოეჭრათ.

ხის საცხოვრებლის შემდგომ, განვითარებულ ტიპს წარმოადგენდა საჯალაბო სახლი, რომელიც განთავსებულია ეთნოგრაფიული მუზეუმის პირველ კარმიდამოში. ამგვარი ტიპის საცხოვრისს მეცნიერები ზოგჯერ **"გოდორასახლს"** ან კიდევ **"პიტაფიცარს"** უწოდებდნენ, რადგანაც იგი აგებული იყო ნაჯახით გათლილი მუხის ან წაბლის მოკლე და განიერი ფიცრებისგან.

საჯალაბო სახლი, რომელშიც ბევრგან XX საუკუნის პირველ ნახევრამდე ცხოვრობდნენ, შემდგომშიც კარ-მიდამოს შემადგენელი ნაწილი იყო, ოღონდ უკვე **"მისია"** შეიცვალა და სამზად სახლად, ანუ სამზარეულოდ გადაიქცა. ეს იყო ერთკამერიანი, ერთსივრციანი საცხოვრებელი, ძირითადად უფანჯრო, თიხატკეპნილი იატაკით.

## კერა

**"პიტაფიცარა"** სახლის ცენტრალურ ნაწილს კერა წარმოადგენს. სახლის შუაგულში გამართულია შუაცეცხლი – კერა, რომელთანაც იდო ქვა და სამფეხი სკამი ჭრაქისთვის. კერის თავზე ეკიდა ნაჭა, რომელზეც ქვაბი ეკიდა. იქვე იდგა დაბალი მაგიდა.

სახლში მკაცრად იყო გამიჯნული მამაკაცებისა და ქალების სამყოფელი. შესასვლელიდან მარცხენა მხარე მამაკაცებს ეკუთვნოდა, ხოლო მარჯვენა – ქალებს. ტაბაკი იდგმებოდა მამაკაცების მხარეს, რომელსაც ისინი ასაკის მიხედვით შემოუსხდებოდნენ. ისხდნენ ხის დაბალ კუნძებზე ან ჯორკოებზე. არსებობდა საუფროსო სკამიც. ზოგჯერ ამ სკამს ოჯახის უფროსი სტუმარს უთმობდა ხოლმე.

კერა საკრალურ ადგილად მიიჩნეოდა. კერიის ცეცხლი ჩაუქრობლად ენთო. კერას წმინდა ადგილად მიიჩნევდნენ და მისი შეურაცხყოფა (ცეცხლის მიზანმიმართულად ჩაქრობა, წყლის მისხმა, ნაგვის ჩაყრა) დანაშაული იყო და ტრადიციული სამართლითაც განისჯებოდა. კერიის ახლოს იკრძალებოდა ბილწსიტყვაობა. სამეგრელოში კერიის ცეცხლსაც კი იფიცებდნენ. ასეთი წესით ჰქონდათ, კერიის ცეცხლს ორშაბათობით და ახალ წელიწადს არ გასცემდნენ, ოჯახის ბარაქა გაჰყვებაო.

კერას ასევე დიდი ადგილი ეკავა ჩვეულებით სამართალში. მკვლელის მოკლულის ოჯახთან საბოლოო შერიგების ნიშანი იყო დამნაშავის შეშვება ოჯახში და კერასთან, მოკლულის დედის მკერდზე მთხვევა. ამგვარი რიტუალის შემდეგ მონანიე მკვლელი ამ ოჯახის წევრადაც მიიჩნეოდა.

კერასთან ეწყობოდა ასევე ლოცვის სხვადასხვა და სადღესასწაულო რიტუალებიც. ოჯახის უფროსი სწორედ აქ, კერასთან აღავლენდა ფუძის ლოცვას, აქ აცხობდა დიასახლისი საწესო კვერებს, აქვე ნაკვერჩხლებზე აკმევდნენ საკმეველს, ახალ წელიწადს მეკვლე პირველად კერიის ცეცხლს მიულოცავდა, აჩაღებდა ცეცხლს საგანგებოდ მომზადებული ფიჩხით და შემდეგ ზედ გადახტებოდა.

კერასა და მის თავზე ჩამოკიდებულ ნაჭას დიდი ადგილი ეჭირა საქორწინო რიტუალში: ოჯახში პირველად შემოყვანილ პატარძალს სამჯერ შემოატარებდნენ კერას. მას ხელი უნდა შეევლო საკიდლისთვის და ამით უკვე ოჯახის წევრიც ხდებოდა. ასევე მიიჩნეოდა, რომ გარდაცვლილ წინაპართა სულები კერასთან იყრიდნენ თავს. კერაზევე მზადდებოდა საკვებიც. ძირითადად იკვებებოდნენ ფეტვითა და ღომით. სიმინდის შემოსვლის შემდეგ კი ამას სიმინდის ღომი და მჭადი დაემატა. ასევე განთქმულია მეგრული ყველი და სულგუნი...

## სოლომონ მეორის დროისა...

როგორც ტიპოლოგიურად, ისე მშენებლობის ტექნიკითა და ადგილობრივი ხანდაზმული მცხოვრებლების გადმოცემით დასტურდება, ონტოფოს საჯალაბო სახლი XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება. ისტორიულად ეს იმერეთის გმირი მეფის, სოლომონ მეორის ეპოქაა, ხოლო სამეგრელოში გრიგოლ დადიანის მმართველობის პერიოდი. წარმოვიდგინოთ, რომ ამ სახლში სისხლსავსე, ამ სოფლისა და კუთხისთვის დამახასიათებელი ცხოვრება მიმდინარეობდა. შეიძლება ეს იყო დავითაიების ის თაობა, როდესაც ამ გვარის ერთ-ერთი მოდგმის სათავეში მათი ლეგენდარული წინაპარი ძიკუ დავითაია იდგა. მოდგმისა, რომლის წარმომადგენლებიც გამჭრიახობითა და ფიზიკური ძალით გამორჩეული ყოფილან. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ სოფელ ონტოფოში დაფუძნებისას ძიკუს მხრებზე შემოუდია მცირე სამზადი სახლი და მდინარე ცხენისწყალი ისე გადმოულახავსო.

ლეგენდა ლეგენდად დარჩეს, საჯალაბო სახლი კი მართლაც მკვიდრი, მტკიცე და ლამაზი აუგიათ. მთხრობელები ამ სახლის აგებას ლაზ ოსტატებს მიაწერენ. საქართველოში და მთლიანად კავკასიაში ხის სახლების აშენებისა და მათზე ჩუქურთმების გამოყვანის დიდი ოსტატები იყვნენ ლაზეთიდან და რაჭიდან გამოსული ხელოსნები, რომლებიც ითვალისწინებდნენ იმ კუთხის ტრადიციებსაც, სადაც აშენებდნენ სახლებს და იმ დიდ ტრადიციებსაც იყენებდნენ, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

დავითაიების საჯალაბო სახლის საძირკველი ქვისაა. კედლები წაბლის ხის ფიცრისგან არის ნაგები. გადახურვა ორქანობიანია ხის ნივნივებზე და გადახურულია ყავრით. მისი ფართობი 80 კვმ-ია. საჯალაბო სახლი გეგმაში სწორკუთხაა და საფასადო მხარეს აქვს შეფიცრულიატაკიანი, ოთხსვეტიანი აივანი. ჭვირული მოაჯირი სილამაზეს ჰმატებს და მას პერიმეტრზე ხის სკამი გასდევს. აივნის თავხე-სხვენს ფასადი გახსნილი აქვს და იგი საბძლად გამოიყენებოდა. აივნიდან შემავალი კარით ვხვდებით მიწურ იატაკიან ოთახში, რომელსაც სოხანე ეწოდება და რომლის ცენტრში განთავსებულია კერა და შუაცეცხლი.

## ერთი ოჯახის ისტორია

სახლი დავიათაიების საცხოვრისი იყო XX საუკუნის 30-იან წლებამდე. ამ დროს ოჯახის უფროსი ყოფილა ირაკლი დავითაია, მისი ცოლიც ონტოფოდან გახლდათ, მატა გოჩოლეიშვილი. მათ შვიდი შვილი შესძენიათ, სამი ვაჟი და ოთხი ქალი.

ირაკლი დავითაიას თავისი დროისთვის შეძლებულ და პატივსაცემ გლეხად მოიხსენიებენ. იგი ხის ხელოსნობის ცნობილი ოსტატი ყოფილა და ვაჭრობასაც მისდევდა. ამიტომ იყო, რომ XX საუკუნის 30-იან წლებში, როცა სოფლად კოლექტივიზაცია დაიწყო, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ირაკლი დავითაია კულაკად გამოაცხადა და განკულაკებაში მოაყოლა. მანამდე კი მას ძველი, მამაპაპისეული სახლის გვერდით ოდასახლი აუშენებია და საჯალაბო სახლს სამზადის ფუნქცია შეუძენია.

ოდაში საცხოვრებელი სივრცე სეგმენტირებულია და სამი ან ოთხი ოთახისგან შედგება. ოდას აქვს მისაღები ოთახი, საძინებელი, სტუმრის საძინებელი, საკუჭნაო-სამზარეულო. ოდასახლი, როგორც წესი, ხიმინჯებზე დგას: დაახლოებით 0,80-1 მეტრი სიმაღლის ქვის, ხის, ქვითკირის (ზოგჯერ აგურის) სვეტებზე. ამგვარი ჰაერაციის აუცილებლობას დასავლეთ საქართველოს ნესტიანი კლიმატი ქმნიდა, ასეთი შენობა კი გაცილებით ჯანსაღი იყო საცხოვრებლად. ნაგებობის ცენტრში ბუხარია განთავსებული.

ბედმა ისე ინება, რომ ირაკლისა და მატას ოთხი ქალიშვილიდან (თამარი, ივლი, ძიბუ, ანა) არც ერთი არ გათხოვილა და ღრმა სიბერემდე მიუღწევიათ. ბოლოს 1900 წელს დაბადებული თამარი გარდაცვლილა 91 წლის ასაკში. ოთხივე და გამორჩეული ყოფილა შესახედავადაც და ხელსაქმითაც. ადგილობრივ მღვდელს მათთვის წერა-კითხვაც უსწავლებია. საბედოს რჩევაში კი უოჯახოდ დარჩენილან (მამაჩვენზე ნაკლებ კაცს არ გავყვებოდითო). დებს ქსოვა სცოდნიათ. ქსოვდნენ საფეიქრო დანადგარზე (დგამ-სავარცხელზე), რომლითაც ბამბას ამუშავებდნენ და შესაბამის ქსოვილს ამზადებდნენ. ქარგავდნენ კიდეც, მატყლსართავდნენ და ჩხირებით ქსოვდნენ. თავიანთი ამოქარგული ხავერდის მუთაქებითა და ყურთბალიშებით ჰქონიათ მორთული სახლი.

სამივე ვაჟს უმაღლესი განათლება მიუღია. დავითი ექიმი ყოფილა. იმ დროისთვის აბაშაში პირველი ამბულატორია დაუარსებია. მთავარ ექიმ ჯორჯიკიას თავდაჭერილი და განათლებული დავითი სასიძოდ მოსწონებია და თავისი ქალიშვილი ნანი ჯორჯიკია მიუთხოვებია. სამწუხაროდ, შვილები არ შესძენიათ. დავითაიების გვარი ძმებს აკაკისა (კაკოს) და ალექსანდრეს (ალეს) გაუგრძელებია. ორივე ინჟინერი ყოფილა. სამკვიდროზე, მამა-პაპის ადგილას არ დარჩენილან. ახლა მათი შთამომავლები ცხოვრობენ ქუთაისში, ზესტაფონსა და თბილისში.

საბოლოოდ, მამაპაპისეულ ადგილს დები ანა და თამარი შემორჩენილან. მათვე მიუყიდიათ ძველი საჯალაბო სახლი მუზეუმისთვის 1975 წელს და თანხა შთამომავლებისთვის გაუნაწილებიათ. კარ-მიდამოში კი ირაკლი დავითაიას მიერ აგებული ოდასახლი დარჩენილა.

ამ ამბის შემსწრე, ახლა უკვე ხანდაზმული მეზობლები ინტერესით ყვებიან და ცოტა ინტრიგასაც ურევენ მონაყოლში, როცა გვესაუბრებიან ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ შეძენილი საჯალაბო სახლის დაშლასა და მუზეუმში გადატანაზე – ადგილობრივმა ოსტატ-ხელოსნებმა ვერ შეძლეს მისი დაუზიანებლად დარღვევა და ამის გამო თბილისიდან ჩამოიყვანეს ოსტატიო. ხოლო სახლის ღირსებაზე საუბრისას ერთხმად დასძენენ, რომ მის ასაგებად არც ერთი ცალი ლურსმანი არ გამოუყენებიათო.

## დავითაიების კარ-მიდამოში ისევ დავითაია დასახლებულა...

ამჟამად, ირაკლი დავითაიას სამკვიდროში მისივე მოგვარე, გია დავითაია ცხოვრობს. ბედს ასე უნებებია, რომ დავითაიების კარ-მიდამოში ისევ დავითაია დასახლებულიყო. მას აქაურობა 1989 წელს უყიდია.

ოდასახლიც გადაკეთებულია თანამედროვე ყაიდაზე. უცვლელი დატოვეს ოდის ტრადიციული და განუყოფელი ატრიბუტი, – ბუხარი ერთი საკვამურითა და სამი თვალით.

საცხოვრისის გვერდით და უკანა მხარეს სამეურნეო და დამხმარე ნაგებობანი გაუმართავს ახალ მფლობელს. აქ არის თანამედროვე ყაიდის მცირე ზომის სამზადი სახლი, კაპიტალური და ორიგინალური ფორმის მოსასვენებელი ფანჩატური, საქონლის სადგომი ბოსელი, საღორე, საქათმე, და რა თქმა უნდა, მეგრული და საერთოდ დასავლურ-ქართული კარ-მიდამოსთვის დამახასიათებელი აუცილებელი ატრიბუტი – ნალია.

ონტოფოსა და საერთოდ აბაშის რაიონში მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობაა. მაგრამ მთელ საქართველოში განსაკუთრებული მოთხოვნილებაა აბაშურ სიმინდსა და აქაურ სიმინდის ფქვილზე. სიმინდმა კი ონტოფოში, ისევე როგორც მთლიანად კოლხეთის დაბლობზე, ტრადიციული სამეურნეო კულტურა – ღომი და ფეტვისნაირები ჩაანაცვლა.

ეზო-კარი დღეისთვის დასავლურ-ქართული, მეგრული პეწით არის გაწყობილი. ჭიშკარს გასცდები და ოდამდე მარჯვენა მხარეს ხეხილის ბაღია, მარცხნივ კი მთელ სიგრძეზე ხასხასა კოინდარი. სახლის გვერდით ჭასთან ორი უზარმაზარი ხე დგას. ერთი მსხლის, მეორე კი რცხილის, რომელიც სავარაუდოდ, 200 წლის იქნება და სწორედ დავითაიების ტრადიციული საჯალაბო სახლის ხნოვანებისა უნდა იყოს.

ესეც ხომ ტრადიციაა – ჭასთან საჩრდილობლად აუცილებლად რგავდნენ კოპიტს ან რცხილას, რადგანაც, როგორც მთხრობელები გვიყვებიან, მათი ფესვები განსაკუთრებულად ფილტრავს ჭის წყალს.

დავითაიების სამკვიდროზე ცხოვრება გრძელდება!

**მინაწერის მაგივრად** – ეთნოგრაფიულ მუზეუმში ონტოფოდან ჩამოტანილი საჯალაბო სახლი დღესაც ერთ-ერთი პოპულარულია.

**მარინა სირაძე** (სახლის მეთვალყურე): – ონტოფოს სახლი გულგრილს არავის ტოვებს. განსაკუთრებით უცხოელებს მოსწონთ აქაურობა. ყოფილა შემთხვევა, მეორე-მესამე წელსაც ამოუკითხავთ მუზეუმში ამ სახლის სანახავად და სხვებიც ამოუყვანიათ. აინტერესებთ, როგორ ამზადებდნენ სადილს ჩვენი წინაპრები, როგორ თბებოდნენ მიწურ იატაკიან უზარმაზარ დარბაზში, საიდან გადიოდა კვამლი, საიდან შემოდიოდა მზის შუქი... განსაკუთრებით იმით ინტერესდებიან, როგორ და რა **"თანამიმდევრობით"** თავსდებოდა მთელი სახლის სიგრძეზე გაჭიმულ უზარმაზარ ტახტზე (მაგრამ ერთადერთზე!) ოჯახის ყველა წევრი. ბოლოს და ბოლოს, როგორ მრავლდებოდნენ...

ამ და კიდევ არაერთ კითხვაზე პასუხს ჩვენს მკითხველს მომდევნო ნომრებში შევთავაზებთ და ასევე შევეცდებით, საქართველოს თითქმის ყველა კუთხის საცხოვრისი გავაცნოთ და სულ მცირე ხნით მაინც **"ვამოგზაუროთ"** ღია ცის ქვეშ მუზეუმში გაცოცხლებულ წარსულში.

**ნ. შოშიტაშვილი**



# სააკაშვილის დედის საეჭვო ბიზნესით უნდა დაინტერესდეს პროკურატურა!

*მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია, რომელიც წლების განმავლობაში რიგითი მეცნიერ-მუშაკი იყო და მიზერულ გასამრჯელოს იღებდა, შვილის გაპრეზიდენტების შემდეგ როგორ გახდა მონოპოლისტი საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში? როგორ აღმოჩნდა გიული ალასანიას ხელში არაერთი საშუალო თუ უმაღლესი სასწავლებელი და დიდძალი სახელმწიფო ქონება? ამ საკითხებზე ვესაუბრებით საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრს, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასის“ ლიდერს ჯონდი ბაღათურიას, რომელიც გიული ალასანიას უკანონო, კორუფციული საქმიანობის შესახებ სკანდალურ ფაქტებს ახმაურებს.*

**— ბატონო ჯონდი, ყველას ახსოვს თქვენი სკანდალურ გამოსვლა პარლამენტში, რომლის დროსაც სააკაშვილი სკამიდან წამოხტა და სხდომათა დარბაზიდან გაიქცა. თქვენ მაშინ საუბრობდით პრეზიდენტის ოჯახის კორუმპირებულობაზე, მათ შორის, სააკაშვილის დედის გიული ალასანიას მონოპოლისტობაზე განათლების სისტემაში. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა და ქვეყანაში ხელისუფლებაც შეიცვალა. როგორ ფიქრობთ, პროკურატურა არ უნდა დაინტერესებულიყო გიული ალასანიას საქმიანობით?**

— რა თქმა უნდა, პროკურატურა ამ თემით უნდა დაინტერესებულიყო, მაგრამ თავისით რომ არ დაინტერესდა, მე თვითონ გადავუგზავნე დოკუმენტური მასალები განათლების სფეროში პრეზიდენტის დედის კორუფციული საქმიანობის შესახებ. სხვათაშორის, ამ დოკუმენტური მასალებიდან ჩანს გიული ალასანიას მიერ არამარტო სახელმწიფო ქონების მითვისება და კორუფციული სქემების შექმნა, არამედ მისი სახიფათო კავშირები უცხო ქვეყნის ფინანსურ წრეებთან, კერძოდ, რადიკალი ისლამისტ **ფეთულაჰ გიულენთან**. აი, ასეთი ადამიანის ფული შემოიტანა გიული ალასანიამ საქართველოს განათლების სისტემაში და ხომ წარმოგიდგენიათ, რა საფრთხის წინაშე დგანან ის ბავშვები, ის ახალგაზრდები, რომლებიც გიული ალასანიასა და ფეთულაჰ გიულენის მიერ შექმნილ საგანმანათლებლო დაწესებულებებში იზრდებიან?!

**— კონკრეტულად რომელ უმაღლეს სასწავლებლებშია ჩადებული გიული ალასანიას ბიზნესპარტნიორის ფეთულაჰ გიულენის ფული?**

— ეს ფული არამარტო უმაღლეს სასწავლებლებში, არამედ სკოლებსა და საბავშვო ბაღებშიც არის ჩადებული. გიული ალასანიას მეტასტაზები აქვს მოდებული ყველაფერს განათლების პირველი საფეხურიდან დაწყებული უმაღლესი განათლებით დამთავრებული და მონოპოლიზაცია მეტი რა არის? გარდა ამისა, გიული ალასანიას და ფეთულაჰ გიულენის მფლობელობაში მყოფი სასწავლებლებიდან ქართველი ბავშვები მიჰყავთ თურქეთში, სადაც ასწავლიან, რომ საქართველო თურქეთის ნაწილია, უბრალოდ, ქართველებმა რუსების დახმარებით წაართვით თურქებს. დიახ, მაგალითად, აჭარა და სამცხე-ჯავახეთი რომ თითქოს თურქეთის ნაწილია, ამის შესახებ სახელმძღვანელოები იბეჭდება თურქეთში. არ მიკვირდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ამას ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ამას არც საქართველოს ახალი ხელისუფლება აქცევს ყურადღებას!

**— შეგიძლიათ, კონკრეტული მაგალითები დაასახელოთ, რა ქონება ჩაიგდო ხელში გიული ალასანიამ მისი შვილის პრეზიდენტობის დროს?**

— გიული ალასანიამ, მისმა დაქალმა მანანა სანაძემ, ასევე გიული ალასანიას ძმისშვილმა, ანუ პრეზიდენტის ბიძაშვილმა ნიკა ალასანიამ და უცხო ქვეყნის მოქალაქემ ედუარდ რობერტ რაუფმა დააფუძნეს შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“, რომელშიც წილები შემდეგნაირად განაწილდა: გიული ალასანია – 37,5 პროცენტი; მანანა სანაძე – 37,5 პროცენტი; ნიკა ალასანია – 12,5 პროცენტი; ედუარდ რობერტ რაუფი – 12,5 პროცენტი. შემდგომში შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“ წილში შედის სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და-ისაკუთრეს სახელმწიფო ქონებას. ასე, მაგალითად, შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“ ასპროცენტიანი მფლობელობით აფუძნებს „საქართველოს უნივერსიტეტის“ საშუალო სკოლას, სადაც გიული ალასანია დირექტორია, ხოლო მანანა სანაძე – დირექტორის მოადგილე.

**— სახელმწიფო ქონების უკანონოდ მითვისება სად და რაში იკვეთება?**

— მაგალითად, ბათუმში საჯარო რეესტრის ყოფილი შენობა სიმბოლურ ფასად – 1 ლარად არის გადაცემული გიული ალასანიას „საქართველოს უნივერსიტეტისათვის“. გიული ალასანიას უნივერსიტეტისათვის ძალიან საეჭვო სქემით არის გადაცემული მფლობელობაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მესამე კორპუსი – 15 ათასი კვადრატული მეტრი შენობა. სხვათაშორის, ეს შენობა გიული ალასანიას 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში აქვს გადაფორმებული. შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ ასპროცენტიან მფლობელობაშია „საქართველოს უნივერსიტეტის“ სკორტული სკოლა. შპს „საქართველოს უნივერსიტეტს“ სახელმწიფო საკუთრების ბაზაზე შექმნილი აქვს ავეჯის დამამზადებელი ქარხანა, სადაც მზადდება ავეჯი ბაღების, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის და ყველა შეკვეთა მიდიოდა სწორედ ამ ქარხანაში და, პრაქტიკულად, ყველა ტენდერში იმარჯვებდა სწორედ ეს ქარხანა. შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ მფლობელობაშია კაფე „ხადილი“ – ეს არის ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი სასადილოს უზარმაზარი შენობა. შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“ 14-პროცენტიან წილს ფლობს „ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში“. „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ერთერთი დამფუძნებელი და პრორექტორიც გახლავთ პრეზიდენტის დედა გიული ალასანია.

**— ბატონო ჯონდი, მოდით, მივუბრუნდეთ გიული ალასანიას ბიზნესპარტნიორს ფეთულაჰ გიულენს...**

— დიახ, გიული ალასანია ფეთულაჰ გიულენს და მის თურქულ ფულს ექსკურსიამძღოლივით შემოუძღვა საქართველოს განათლების სისტემაში. გიული ალასანიამ და ფეთულაჰ გიულენმა ერთობლივად ჩამოაყალიბეს „ჩაღლარის სასწავლო ცენტრი“ და ახლა გეტყვით, რა სასწავლო დაწესებულებები შედის ამ ცენტრში დემირელის სახელობის საბავშვო ბაღი, თბილისის სკოლა-ლიცეუმი „სხივი“ ბათუმის რ. შაჰინის სახელობის დაწყებითი სკოლა, ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის დაწყებითი სკოლა, რუსთავის შოთა რუსთაველის სახელობის დაწყებითი სკოლა, ბათუმის უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსები და ენათა ცენტრი, დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი, ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლა, ბათუმის რ. შაჰინის სახელობის დაწყებითი ლიცეუმი, ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის ლიცეუმი, რუსთავის შოთა რუსთაველის სახელობის ლიცეუმი და მარნეულის უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსები და ენათა ცენტრი. ვინმეს არ ეგონოს, რომ აქ ჩამოთვლილი სასწავლო დაწესებულებები სადმე ერთ ან ორ შენობაში იყოს გახსნილი. არა, თითოეულ დაწესებულებას ცალ-ცალკე, უზარმაზარი შენობები უკავია და ყველაფერი ეს არის სახელმწიფო ქონება, რომელიც უკანონოდ არის გადაცემული პრეზიდენტის დედისათვის. გიული ალასანია, სანამ მისი შვილი პრეზიდენტი გახდებოდა, ჩვეულებრივი მეცნიერ-მუშაკი იყო, რომელიც 100-ლარიან ხელფასზე მუშაობდა, შვილის გაპრეზიდენტების შემდეგ კი მის მფლობელობაში უზარმაზარი ქონება, მათ შორის, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონება გადავიდა და ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ ინტერესდება პროკურატურა ამ საკითხით?! წარმოიდგინეთ, შვილმა – მიხეილ სააკაშვილმა დედას – გიული ალასანიას სახელმწიფო ქონება 1 ლარად გადასცა. ამაზე დიდი და აშკარა დანაშაული რაღა უნდა პროკურატურას?!

**— რატომ თვლით, რომ გიული ალასანიას ბიზნესპარტნიორის ფეთულაჰ გიულენის ფული სახიფათოა ქართული სახელმწიფოსათვის? კაცი ჩამოვიდა საქართველოში და ინვესტიცია ჩადო განათლებაში. რატომ არის ეს ცუდი?**

— მე უკვე გითხარით, ვინც არის ფეთულაჰ გიულენი. ეს არის რადიკალი ისლამისტი, რომელიც თვით თურქეთშიც კი რადიკალური ისლამისტური გამოხდომების გამო არაერთხელ იყო დაპატიმრებული. როცა ასეთი კაცი დიდი ფულით შემოდის საქართველოში, თანაც საგანმანათლებლო სფეროში, ეს, რა თქმა უნდა, სახიფათოა!

მითხარით, რადიკალური ისლამის მქადაგებელი რატომ უნდა შევუშვათ საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში?

**— კი მაგრამ, ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ გიული ალასანიასა და ფეთულაჰ გიულენის მფლობელობაში მყოფ სასწავლებლებში ისლამის ქადაგება მიდის?**

— ნიშნავს, ჩემო კარგო, ნიშნავს და ქართულმა სპეცსამსახურებმა ეს საკითხი აუცილებლად უნდა შეისწავლონ!

ქართული სპეცსამსახურები ასევე აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ, სააკაშვილს საკუთარი დედის მეშვეობით რა კავშირები აქვს უცხო ქვეყნების ფულთან და ამ ფულის სანაცვლოდ რა გადაწყვეტილებები აქვს მიღებული ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ! და კიდევ: გიული ალასანიას და მის პარტნიორ ფეთულაჰ გიულენს თავიანთი სასწავლებლებიდან უამრავი ქართველი ბავშვი ჰყავთ გაყვანილი თურქეთში. ამ ბავშვებს თურქეთის მედრესეებში მისცეს განათლება და ჩამოიყვანეს უკან, ანუ, რეალურად, საქართველოში მოამზადეს თურქული იდეოლოგიით აღზრდილი, თურქეთის ინტერესების გამტარებელი კასტა! სწორედ ეს არის სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხი და ამას ქართულმა სპეცსამსახურებმა საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციონ!

**ესაუბრა ჯაბა ხუბუა**

---

**გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624**

**თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.**

**საგამომცემო ჯგუფი**




---

# მურმან ბახარია 70 წლისაა

ვულოცავთ ბატონ მურმანს დაბადებიდან 70 წლის იუბილესა და შრომითი საქმიანობის 55 წელს. შესაშური პროფესიონალიზმითა და არჩეული საქმიანობისადმი დიდი სიყვარულით გამოირჩეოდა ეს მშრომელი ადამიანი მთელი ამ დროის განმავლობაში, ბავშვობიდანვე მისი ოცნება იყო, გამხდარიყო მძღოლი. მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად ის 15 წლის ასაკში მივიდა შეგირდად (ე.წ. **"პომოშნიკად"**), რაგან ასეთი წესი იყო დამკვიდრებული XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს – ორწლიანი შეგირდობის გავლის გარეშე არ იძლეოდნენ მართვის მოწმობას.

55 წელი იმუშაო მძღოლად, აქედან 50 წელი საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, ე.ი. იყო ავტობუსის მძღოლი, ამ ხნის განმავლობაში ემსახურო შენს ხალხს, თანაც ფიცხ და მომთხოვნ კოლხებს, გყავდეს მეგობართა დიდი წრე, იყო მათთან ერთად ჭირსა და ლხინში, გიხდებოდეს ხშირად ქეიფი და ალბათ კიდევ სხვა და სხვა თავგადასავლებიც ახალგაზრდობაში, ყოველივე ამას გაუძლო და გაიარო ცხოვრების გრძელი გზა ისე, რომ მნიშვნელოვანი შეცდომა არ დაუშვა, მართლაც უაღრესად ძნელი საქმეა. 55 წელი მძღოლად მუშაობის განმავლობაში ერთი უმნიშვნელო ავარიაც კი არ მოუხდენია (თფუ, თფუ! ღმერთმა დაიფაროს) და მართვის მოწმობა რამოდენიმე საათითაც კი არ ჰქონდა ჩამორთმეული – აი ეს არის პროფესიონალიზმი და ასეთია ჩვენი მეგობარი მურმანი! სამწუხაროდ, ვაი რომ სწორედაც ეს აკლია დღევანდელ მძღოლებს, რომლებიც მხოლოდ კომპიუტერზე სწავლობენ საგზაო მოძრაობის წესებს და ოსტატ-შეგირდობის სკოლის გარეშე სწავლობენ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტარებას...

სწორედ ამის შედეგს იმკის, საუბედუროდ, მთელი ერი.

ვულოცავთ ქალბატონ ნანულის მეუღლის დაბადების დღეს, **„ყოვლისმცოდნე ბებიას“**, როგორც შვილიშვილებმა შეარქვეს მას. არ შეგვიძლია, არ აღვნიშნოთ იმ დიდი ტკივილების შესახებ, რაც მათ ერგოთ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, წელს კი 25 წლის წარმატებული შვილიშვილის ტრაგიკულად დაღუპვა მხოლოდ მათი კი არა, მთელი სენაკის ტრაგედია გახლდათ. ვაი რომ ასე განსაჯა უფალმა...

თქვენი ტკივილი მოურჩენელია, მაგრამ უნდა გამაგრდეთ, უნდა გაუძლოთ. ასაკთან ერთად ეს ძალიან ძნელია, მაგრამ მაინც უნდა შეძლოთ – დანარჩენი შვილიშვილების სიყვარულით. წელს, ხომ შვილთაშვილს ელოდებით, ესეც ახალი სიცოცხლე და სიხარულია!

გმადლობთ, რომ ორივენი აქტიურად ხართ ჩართული სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" საქმიანობაში, რითაც ძალიან დიდ, კეთილ და საჭირო საქმეს აკეთებთ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, ჩვენო ძვირფასებო!

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“,**
**გაზეთი „ილორი“,**
**ჟურნალი „აია“.**



---

# იუმორი

დაქალი ეუბნება დაქალს:
– მაპატიე, რომ შენს ქორწილში ვერ მოვედი. მაგრამ, შემდეგ ქორწილში აუცილებლად მოვალ...

* * *

კონსერვატორიაში, მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტი ეკითხება გამომცდელს:
– მაპატიეთ, მაგრამ მსურს ვიცოდე სიმართლე: ჩემი ხმა არაფრად არ ვარგა?
– რატომ, იგი ძალიან გამოდგება ხანძრის დროს, ან ძარცვისას!

* * *

ახალგაზრდა ქალი მიდის მკითხავთან:
– ხუთი წლის წინ თქვენ მიწინასწარმეტყველეთ, რომ მეყოლებოდა ქმარი და ხუთი შვილი. აი, ხუთი შვილი უკვე მყავს!
– შესანიშნავია!
– ახლა კი მოვედი იმის გასაგებად, თუ როდის მეყოლება ქმარი...

* * *

ამაზონიის ჯუნგლებში ტურისტი ხედავს, როგორ მიჰყავს ადგილობრივ ინდიელს ყელზე ქვაშებმული ქალი მდინარისაკენ.
– მდააა, აქ ძალიან გამარტივებული ყოფილა განქორწინების პროცედურა.

* * *

სტაჟიორი მედდა განყ-

---

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge